


ბისეროყელს



შ ი ნ ა ა რ ს ი

ბ ე ე წ ი ა:

ხარიტონ ვარდოშვილი—ფიქრები ჩემზე

გელა—გადარეული

იასამანი—ქაობის ლელი

ობოლი მუშა } 1. თოვლის ღიმილი
2. ბარათი შორეულს

ვ. რუხაძე } 1. მოგონება
2. ზღვასთან

ვ. ტუქსიშვილი—გზაჯვარედინზე

გ. ქუჩიშვილი—მატარებელი

ს. შანშიაშვილი—ნოე ჟორდანიას

ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა:

შიო არაგვისპირელი—გაბზარული გული

დემნა შენგელაია—ანდრო სავანელი

კ რ ი ტ ი კ ა:

ივ. გომართელი—გასული წლის სიტყვაკაზმული მწერ-
ლობა

ავტორები მოთავსებულია ანბანზე

8105

ს-733

ს-733

ს ის ა რ ს ყ ე ლ ა

სოველ-თვიური ჟურნალი

P-20702

გომიზია ☆☆☆☆

ბელეტრისტიკა

დრამა ☆☆☆☆

კრიტიკა ☆☆☆

გიგლიმგრაფია



№ 14

თ ა ვ ზ ა რ ი

1921

3. 12 0 9 1 5

ხარიტონ ვარლოშვილი

შ ი მ რ ე ზ ი ჩ ი მ ზ ი

7

მე მზის ამოსვლა მსურდა მეხილა
და შუალამის თვალეზი ვნახე.
და ჩემი სული გადატეხილი
სტირის წვიმიან ღღის სივარდლახეს.

და განდევილი როგორც მთაწმინდა
ვდგევარ ლანდებთან, ვით მთვარეული;
მე მზის ამოსვლა აწი რად მინდა
შუალამეა გადარეული.

8

ეს ყვავილები გადახმა მაშინ
შენ რო შეახე უეცრად ხელი;
მე ვიცი ეხლა შენს გულისთქმაში
ბოროტებაა აურაცხელი.

იქნები ჩემი მოსისხლე მტერი
და გეყვარება ღმერთის ძაგება;
თბეზე გადგია ცოდვის ეკვდერი
და აღარ ძალმიძს შენი გაგება.

9

სული აიესო მკნარი იებით
 შავი მთიები გზაზე ეცემა.
 ღამე მიცქერის შურისძიებით,
 გამწირა ღმერთმა, გამწირა მზემე.

ახალ ანთებას მე ისევ ველი,
 ვით უდაბნოს თეთრი ღამპარი;
 მოდის ნაღველი დაულეველი:
 ცრემლები ვარდის და სუსამბარის.

10

დაუდგრომელი და უეცარი
 მიყვარდა ელვის თვალის გახელა.
 შენს სიახლოვეს ვერ მოვესწარი,
 სიხარული რომ გქვია სახელად.

არ ვიცი სად ხარ, რომელ ცას იქით
 სარკეში ხილულ ჩვენებას მისდევ.
 ღამი ავია, ბედი სასტიკი
 და არსად არის მფარველი ქრისტე.



გ ე ლ ა

მ ა ლ ა რ ი უ ლ ი

წამებით, წვალებით,
 ბნელიანი თვალებით
 დიდ ქუჩაზე გადმოხტა აგერ გადარეული!
 არებით, ჩარებით,
 ცხადათ, თუ მიპარებით!
 მოსაკლავათ დაეძებს იგი—ბრაზ მორეული!..

ვის მოკლავს, ნეტავი, გიჟი, უსახლკარო,
 მე—თუ ვისმეს, მეგობარს, ახლობელს, გინდ ნათესავს!..
 მინდა ჩემი ტყვია მე თვით ჩავიბარო,
 ფიქრებს შურისძიების, ვიცი, გიჟი დათესავს!..
 დღე სევდიანია, ცა ჩამობურული
 წყევის ღმერთი დაფრინავს, ღმერთი გადარეული!
 სისხლის მონატრულია, სახე მოღრუბლული,
 მოსაკლავათ მომვარდა იგი—ქვეყნის ეული!..

* *

მე, მეგობრებო, რა კარგია სიკვდილის ნახვა,
 და მეც მოვკალი გიჟი, ურჩი, გადარეული,
 მე დავანგრიე შუადლისას მისი განზრახვა
 და გადვისროლე, ვით წარსულის შავი რვეული!..
 მე მოვკალ იგი, მე მოვკალი გადარეული!
 დღისით, შუადღით, მე მოვკალი გადარეული,
 მოვკალ უშიშრათ, მე ის დავახრჩე ჩემი ზელებით
 და მტკვრის მორევში გადვისროლე გზა არეული!..
 იქნებ იცოდეთ, სად გარიყა იგი მდინარეში!
 მე დაეინახე და მეწყინა, ტალღებს ეჭირა,
 მე კი არ მინდა დაინახოს იგი მზემ, მთვარემ!..
 კვლავ ნაპირიდან ქვა ვესროლე და... ჩაიძირა!..
 დიახ, მე მოვკალ, მე მოვკალი იგი ჩვენებით,
 დღისით, შუადღით, მე მოვკალი გადარეული,
 მოვკალ ლამაზათ, მე დავახრჩე ჩემი ზელებით
 და მტკვრის მორევში გადვისროლე გზა არეული!..

ბერლინი.

მანამანი

ჭამვის ლელი

ცის კამარაზე იშლება შავი
გულჩახვეული წვიმის ღრუბელი.
ციალა სხივი ჰქრება უკედავი,
იმედი დღისა უკანასკნელი.

ღამეა. ქალას გასდევს ხმაური,
თავდაუქერელ სიოს სისინი.
უნდა ეფონოს ღამის ზაური,
რომ ჩაჰკლას ვნება და ტრფობის ყინი:

რაინდი—პირმშო—ყელ-მონაღერი,
უფსკრულის ფიქრი, ქაობის ღელი
სურს გადაგრიხოს, განადოს მტვერი,
გრიგლის საზიდი კორიანტელი.

ტყის ბინადარნი ასტეხენ სტვენას,
ხელის შეწყობით გზას დაბარავენ,
და გასვენებულს ქაობის ღხენას
ეკლები თვალებს დაუცარავენ.

ჩაჰქრება ასე ტყის კელეპტარი,
ქვემძრომთა შორის გაჩაღებული.
წამოვა წვიმა. ჩადგება ქარი.
ტბა დაიძინებს გალაღებული.



ოგოლი მუზა

თოვლის ღიმილი

უნება-ჩამქრალ სხივებით თოვლი ღიმ-მოფრქვეული
 ისე ნახათ ციმციმებს უსპეტაკეს ფერებით,
 რომ ფრთებსა შლის სიამით ოცნება შორეული
 და სულს შვევით ათრთოლებს უმწიკვლო სიმღერებით.
 თოვლი ნახათ ციმციმებს და ღიმილი ფერადობს;
 იღუმალი ფიქრები ოცნებას სხვას ვერ ანდობს.

უცხო მხარეს ვეწვევი, ვით ბავში დაკარგული,
 და მოუხმობ დედა-ჩემს, ვეტყვი—იქ რად დამტოვე;
 შენ გაფურჩქნე ჩემს სულში ოცნება მოქარგული,
 და შორეულ სხივებით რწმენა ძუძუთ მაწოვე.
 დღეს იქ მწარეთ ქვითინებს სულის ანარეკლები,
 აგულს აკვნესებს უღმობელ სევდის მწვავე ეკლები.

ფარდა-ჩამოხეული სანეტარო შშვენება,
 როგორც თოვლის ღიმილი; ისე ამობრწყინდება,
 უკვდავების სხივებით მონარნარე ჩვენება
 მოალერსე ციმციმით ნახათ გადმოწვიმდება...
 მწარეთ აღარ ქვითინებს სულის ანარეკლები,
 და გულსაც არ აკვნესებს სევდის მწვავე ეკლები.

არის მხარე მზიური, შვება და ნეტარება,
 თოვლზე უსპეტაკესი სიყვარული ციური;
 ჟამთა მტვერში გაჰქრება შური და ანგარება,
 და იქნება ცხოვრება მარად წმინდა, ღვთიური!
 თოვლი ნახათ ციმციმებს და ღიმილი ფერადობს,
 იღუმალი ფიქრები ოცნებას სხვას ვერ ანდობს!



გ ა რ ა თ ი უ მ რ ე უ ლ ს

მე შენზე ფიქრით ისე ვეწამე
 და დავიღალე მღელვარ ოცნებით,
 რომ მოსვენება ვერ ვპოვე ღამე,
 და შენსკენ ვილტვი წრფელი ლოცვებით.
 ყრმობის დღეები იყო სიზმარი,
 გაფრინდა ისე, ვით მოჩვენება,
 და დაინისლა უცხო ცის კარი,
 გადარჩა მხოლოდ შენი ხსენება.
 უღრან ტყეებში დავიარები
 და ვეძებ ბილიკს შენსკენ მომავალს,
 გულს შხამავს წყლული და იარები—
 შინდა ავხადო რიდე მომავალს.
 როცა ოცნებას დამსხვრეულ ფრთებით
 კუბოში ჩემთან დაეძინება,
 და მეფისტოფელს არეულ ხმებით
 ცივათ, საზარლათ გაეცინება,—
 ო, მაშინ მე შენს წმინდა არეში
 ვეამბორები სულის სალოცავს,
 და მოვისვენებ ცივ სამარეში,
 გარს შემოვიხვევ ჟამთა სამოსავს.
 და ჩემი ლოცვა უკანასკნელი
 იქნება შენი ქება-დიდება;
 და რაც დარჩება ამოსახსნელი
 მას შენი ცეცხლი წაეკიდება.
 და ცეცხლი იგი მე ისე მინდა
 დაჩირალდნობდეს ქვეყნად მარადის,
 რომ ცოდვილ მიწის ფიქრებზე წმინდა
 ისმოდეს ედერა სულის ბარათის.



3. რ უ ს ა ქ ე

მ მ მ მ ნ ე ბ ა

დღეს მოგონებამ წარსულთა დღეთა
გააღო კარი, წინ დამიყენა:

მწვანე კარვები დიდ კაკლის ხეთა,
გაშლილი ფხო, ზედ ჩემი ფრენა;

მწყემსობა, მახე და ანკესები,
ლამით ზღაპრები დედისგან თქმული,
სად ხალხის სიბრძნე და ნაკვესები
მარგალიტებათ იყო ასხმული;


დაქაბუკება და ტრფობის თასი,
გული ეროსის ისრით დაკრილი,
თეთრი აკაკის წიგნი ძვირფასი,
დედის რძესავით შემრგე და ტკბილი;

და პოეზიის ყვავილი ნაზი,
სულის წიაღში ახლად გაშლილი,
გრძნობა მჩქეფარე, ვითარცა ფაზი,
ფიქრი სხივ-დაკრულ ღრუბლათ აშლილი;

და ძველი მრწამსის ძირს დანარცხება,
მესამე დასი, ახალ გზით სრბოლა,
ხან გამარჯვება, ხან დამარცხება,
ისევ იმედი და ისევ ბრძოლა...

აი სურათი განვლილთა დღეთა,
სახე-ნაფარდი დილის ცისკარი,
მოთინათინე ჩემ სულში მზეთა
და გაპარული, როგორც სიზმარი!

ახ, დღეს ღად არის, ღად, ის ზალისი?
 ახ, დღეს ღად არის ის გატაცება?
 უკვე გაფრინდა ჩემი მაისი
 და ჩემი ბალახი, ვგრძნობ, გადაკვნება!



ზ ლ ე ა ს თ ა ნ

მიყვარს მე ცქერა ბობოქარ დელვის,
 როს კალხზე ჰბტიან ზვირთთა გორები,
 შივდივარ ზღვასთან სისწრაფით ეღვის
 და მოწიწებით ვეამბორები.

ვეამბორები და სული ჩემი
 განცდათა გრიგალს ჩაეკონება,
 გაშლის იალქანს, ვით ზღვაში გემი,
 და ცათ მიმაფრენს ზეშთაგონება!



3. ტუხიზილი

მ ზ ა ჯ ვ ა რ ე ლ ი ნ ზ ე

დაუვიწყარი წარსული ცოდვა,
 მომავლისათვის ნავარაუდი,
 შორს ისმის, როგორც იუდის ბოდვა
 და მის მოლოდინს ველარ აუდი...
 განმეორდება ვიცი ღალატი,
 თავს იცნობს მისი ძველი ბუნება,—
 და ბევრჯერ მოვა კიდევ ჯალათი,
 ვიდრე გოლგოთა მოიღუწება...
 ათასი მოძმე, ათასი ფიცით,
 ერთი მიზეზით თავს ინუგეშებს,—
 მაგრამ ამხილეთ, მაშ თუ ვინ იცით
 შურსა და მტრობას გზას ვინ უგეშებს...
 გზაჯვარედინზე გღია რვეული,
 ბედის საზრისი, ჯადოს წერილი,
 მას გვერდს ჩამოხვეს გადარეული,—
 იცნობს, დახედავს თავდაჭერილი...
 და მის ეტრადზე ეხატვის ბრძენსა
 წინამორბედი ცნობადი გზისა,
 როცა სულ მახინჯს, გულ ანაღრძენსა,
 სკირს შეთქმულება წინაღმდეგ მზისა...
 ავი და კარგი შორ შორს წავლიან;
 ვერ ასცდებიან განგების თვალთა;
 რაც აღარ ახსოვთ—კვლავ ისწავლიან,
 სადაც შემოჰკრეფს ცხოვრების კალთა...
 მაგრამ მაშინებს ძველი მზვერავი,
 გზაჯვარედინზე რომ უყვარს დგომა,—
 ვისაც წინ უძღვის საქმე ჯერ ავი,
 და ვერ უგვრძენია მკვდრეთით აღდგომა!..

10 იანვარი 1921 წ.



გ. კუჩიშვილი

მ ა ტ უ რ ი ბ ე ლ ი

(ჰანგები)

1

ტიკ-ტა-ტაკა! დაგ-და-დაგა!
 ტიკ-ტა-ტაკა! დაგ-და-დაგა!—
 უჰ, ამდენმა ტვირთის ზიდვამ
 არსებობა შემაძაგა!

2

გუ-გუ-გუ-გუ!
 ში-ში-ში-ში!—
 მიყვარს ხალხი
 მრავალ ჯიში!

3

ტიკ-ტა-ტაკა! დაგ-და-დაგა!
 ტიკ-ტა-ტაკა! დაგ-და-დაგა—
 ტაშს ვუკრავ და ცეკვით ვამკობ,
 ვინც რომ ჩემზე იამაგა!

4

ტიკ-ტა-ტაკა! დაგ-და-დაგა!
 გუ-გუ-გუ-გუ! ში-ში-ში-ში!—
 მემანქანე, გეთაყვანე,
 გამაქანე, ნუ გაქვს შიში!



სანდრო შანშიაშვილი

ნ მ ე ჟ მ რ დ ა ნ ი ა ს

1

შენ არ გიჭირავს დავითის სკიპტრა,
 არც პორფირს ისხავ დამამშვენებელს,
 მაგრამ ის შესძელ, რაც მეფემ შესძლო...
 ვაშა! დიდს ნოეს აღმაშენებელს!

იმოსებოდა სამშობლო თალხით,
 დედას ჰმარხავდნენ განსასვენებელს...
 შენ აღადგინე მდაბიო ხალხით!
 ვაშა! დიდს ნოეს აღმაშენებელს!

2

შენს ღრმა გონებას და გულს გრძნობიერს, —
 თვით მტრისთვისაც კი მუდამ ღმობიერს,
 საკაცობრიო შენს მტკიცე ნებას, —
 გზას რომ უკაფავს სამოთხის ცნებას,
 შენს ძველს ქართველურს სიღარბაისღეს, —
 რომელს დათმობა სულ ვერ აკისრეს,
 ზრუნვას უძილოს და დაუშრეტელს, —
 ზარს რომ სცემს შიშით ორგულს და მკრეხელს, —
 ვუმღერ და ვაქებ! ვაშა ჩვენს შმართველს!
 სხვა ოქროს ხანას უმზადებ ქართველს!

3

ზოგჯერ, ვინ იცის, რას მოიქმედებ,
 ბევრი ჩვენგანი ვერც კი მიხვდება;
 შემდეგ თაობა თუ დააფასებს:
 ასე ითხოვდა ერის დიდება!

მე თუმც იმ ვარსკვლავს სხვა გეზით მივსდევ,
 შენ მაინც მწაჰხარ როგორც ნუგეში:
 წინამორბედი!
 არ გადაგვისვრი სხვათა უბეში!
 ხარ საქართველოს მკლავი მაგარი!
 არ წაგვიხდება ნაამაგდარი!

4

შენს უგვირგვინო ტახტს რომ მძაფრად ეკვეთებიან,
ეს არ მაშინებს... შეტევამდე დაინთქებიან!
და რომც ისურვო, სხვას დაიპყრობს შენი ლაშქარი,
სად ხელმწიფებას ავრცელებდა მეფე თამარი!..

5

მსურს კიდევ ღიღბანს, ღიღბანს იცოცხლო,
ღიღბანს ვუყურო მაგ შენს ქაღარას!
შენ აკავშირებ დიდს და პატარას:
ახლად ფრთა-გაშლილ ამაყ არწივებს,
უშიშარსა და გულად რაინდებს,
რომელთა მახვილი ვერაგს ამიწებს
რისხვას აწვიმებს!
შენს კისერზეა სამარადისო...
შენს სულში არის ჩვენი წარსული—შენში ჰმარხია.
შენში ის ძველი აღთქმის ფურცელიც ვერვინ დახია!
ახალ ცხოვრების შენვე ხარ ხიდი!
კანონმდებელი, შორს მკვრეტი დიდი!
როგორც დავითი, თვითვე სწერ ფსალმუნს,
თეთრი გიორგი შენი შემწეა,
ლახვრავს და მუსრავს მოსულ მტრის შავ გულს!
მხოლოდ მას ვნადვლობ: მგოსანს ვერ ვხედავ
შენის ეპოქის დამამშვენებელს;
შეორე შოთას გმირთა მჩვენებელს!
სჩანს, შენ წინ უსწრობ სხვა ოქროს ხანას!
ვაშა, დიდს ნოეს აღმაშენებელს!



ბელესტრისტიკა

შიომ არაგვისპირელი

გ ა გ ზ ა რ უ ლ ი გ უ ლ ი ¹⁾

(ქართული პანკი)

მახარებ თვალეზი დააქყიტა, ისე განცვიფრდა: „ჩემი სული, ჩემი გული, ჩემი“...

— ოო, ძალიან კარგად მოიქცა ი ვიღაც არის, რომ არ გვეჩვენა და მარეხი აღთქმისგან ხსნილ ჰყო... უგულო რომ არ ყოფილიყო, მარეხიც გამთვლებულ ზარს ვერ იხილავდა და იჯდებოდა აღთქმის თანახმად გაუთხოვარი... ეხლა კი უგულოს წყალობით ორი განსაცდელი აგვშორდა... მაშ...

— არა, მამავ, ძალად თავზე ვერავის მოვეხვევი... ვიცი რაც გინდა სთქვა... უგულომაც რომ უარი სთქვას, მაშინ ხომ...

— შეფის ასულო, თუ მიკადრებ... ოდნავი ყოყმანის შემდეგ წაილულლულა მახარებ...

— გიკადრებ?! უგულოვ, მომიახლოვდი... არა... არა... მე მოვალ!.. და სწრაფად იმის გვერდით გაჩნდა...

13

მეფე ნადირამ მოისურვა მარეხის და უგულოს ქორწილის გადახდა, როცა ვთერი დაბრუნდებოდა... უიმისოდ ძნელი იყო სტუმრების მოწვევა... რა უნდა მოემიზებინა, რომ დედოფალი მარეხის ქორწილში მონაწილეობას არ იღებს?! ამაში დიდი მეფე და მარეხიც, თუმცა დიდის ყოყმანით, დასთანხმდა... ეს კი მხოლოდ შემოდგომას მოხდებოდა... მართალია, გახატული უკვე თავდებოდა, სამაგიეროდ მთელი ზაფხული და შემოდგომის პირველი ნახევარი წინ ედოთ... მარეხისთვის ეს დიდი სასჯელი იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა, როცა მამას და ძმას ასე ჰსურდათ...

მახარესთვის კი, ცოტა გასახარებოც იყო, სასიამოვნოც... მანამდის თავის მამობილს და დედობილს ინახულებდა... ეხლა უკვე შეეძლო ასეცად აენახლაუ-

¹⁾ იხილეთ „ცისარტყელა“ № 12-13.

რებინა მამობილისთვის ზარი, მეფეებმა ისე მდიდრულად დაასაჩუქრეს მახარე რა-
შის გახედნისთვის...

ერთი კვირის შემდეგ გამოემშვიდობა მეფეებს და მარებს, ვითომც ტოლ-
ამხანაგების სანახავად, და შეჰპირდა დანიშნულ დროზე დაბრუნება...

მარებმა მალვით ბევრი იტირა, მაგრამ ამას არავის ამჩნევენებდა...

წასვლის დროს მეფეებმა გამოუტანეს კიდევ საჩუქრები ზარის გამთელების-
თვის და სთხოვეს გადაეცა იმ საცოდავ შეგირდისთვის, რომ „თავის მამობილის
ქონების ანაზღაურება შესძლოს“... უბრეს და გადაჰკოცნეს...

თავის მამობილს ირემას დანიშნულ ადგილას შეჰხვდა და ორივე შარავით
კაცია ბატონის საბატონოსკენ გაემგზავრნენ...

ეხლა ირემას სიტყვად აღარ ჰყოფნიდა თავის საქციელი, რადგანაც თავის
თვლით ნახა, რამაც დააფრთხო ჩაბარუხთან და შემდეგ კიდევ სასახლეში... ნახა,
რომ გამკეთებელი მახარე ყოფილა, და აქ აღს არავითარი ადგილი არა აქვს.
მაგრამ ერთი რამ აკვირვებდა მხოლოდ, თუ იმ დამეს ქალთან ერთად ვინ იყო...

რამდენჯერმე შეეკითხა ირემა გზაში, მაგრამ მახარემ პასუხი არ გასცა...

— ირემავე, შენ რომ გაბედულობა გქონოდა და შენი თავი ზარის გამამთე-
ლებლად გამოგეცხადებინა, როგორც გირჩევდი, ეხლა მეფის სიძე იქნებოდი...
მარებს აღთქმა ჰქონია, იმას გაჰყოლოდა ცოლად, ვინც ზარს გამამთელებდა...

— მახარე, ხომ სიტყვად არ ეყოფოდათ, მე რომ ეგ ჩამედინა?! ხომ მი-
ცნობდნენ?!

— შერე რო გიცნობდნენ?! რაც ისენი აღარ გხედავდნენ, განა არ შეგე-
ძლო შეგესწავლა ზარის ჩამოსხმა?..

— რო ეთქვათ მეორის ჩამოსხმა!..

— მე შენთან არა ვარ?!

ირემას ცოტა ეკვი შეეპარა... მარები ცოლად ეძლეოდეს და სხვას სთავა-
ზობდეს, ეს ძალიან ეუცხოვა და გაიფიქრა: „იქნება მცდის ჩემი მამობილი და
უნდა რამ მათქმევინოსო“ და ჩაუკვირდა ამ თავის ფიქრს...

რამდენიმე დღე მოდიოდნენ და ირემას ეს ფიქრი აწუხებდა...

„იქნება ჩემი გულის ზრახვა რითიმე გამოვამყლავნე და ეხლა ნამდვილად
უნდა გაიგოსო?!“ ფიქრობდა ამას ირემა და თავის გულის ზრახვას უფრო დრმად
ჰმარხავდა თავის გულში...

ეს ზრახვა კი... ირემას გულის შორეულ კუნჭულში იმალებოდა და, როცა
თმისი გული მიყუჩებული იყო, მხოლოდ მაშინ გამოჰყოფდა ჯერ ოდნავ თათებს
ნაზად აუსვამდა, შეათბობდა და შემდეგ სულ მთლად გადაეთარებოდა და ჩახუ-
ტებოდა...

ბევრჯერ დაჰმართნია ეს ჯერ მეჯოგეებთან ყოფნის დროს... მახარეს სიმა-
მატე ამუნჯებდა იმას და ჯერ იმაში მიბაძვას იწვევდა, მაგრამ მიბაძვით კინალამ
კისერი მოიტეხა... მერე კი... ჩაენჯსკვა ეს გულში და ველარაფრით გაედევნა...

ესლა კი, როცა მარები მახარეს დანიშნულად შეიქმნა, ფრთა გაშალა იმის
გულში ჯერ შეუმჩნეველმა, ესლა კი მწვავმა შურმა... ცდილობდა ამოეფხვრა
გულიდგან, მაგრამ ვერ ახერხებდა...

მარები იმის თვალწინ გაიზარდა... როცა მარები მოჩიტდა, შეიბუმბლა, ირე-
მას ბევრჯერ უნატრია იმისი თავი და ეს ნატვრა ისევ გულში ჩაუკლავს, რად-
განაც მიუწოდომლად მიაჩნდა, და ესლა კი იმისავით უბრალოს, რა ვუყოთ რო-
ოსტატია, დანიშნულია?!

სწორედ შუა დღე იყო, როდესაც ჩაბარუხის თავდაღმაროს დაეშვნენ... მხე
თუმცა ძალიან მწვავი იყო, მგზავრებს აგრე რიგად არ აცხუნებდა, რადგანაც გზა
თითქმის ხის ტოტებით იყო დაფარული...

— აი, იქ ვიჯექი იმ ღამეს, როცა ზარის ხმა და ქალის სიმღერა შემომესმა...
ქალი, უეჭველია, დედოფალი იქმნებოდა, მაგრამ მეორე კაცის სახით ვილა იქმნე-
ბოდა ნეტავი?! ჩაილაპარაკა ამ დროს ირემამ.

მახარეს ემწვავა ეს სიტყვები და ცოტა სიჩუმის შემდეგ ამოოხვრით, წამოიძახა:

— უთუოდ გაღია იქმნებოდა!...

— გაღია?!.

— ჰო!... მოკლედ უპასუხა მახარემ და ჩაფიქრდა...

წამს თვალწინ წარმოუდგა ის წარმტაცი ღამე, და ისე გაიტაცა ამ სურათმა,
რომ აღარა გაუგონია-რა, თუ ირემა რას ეუბნებოდა და ეკითხებოდა... ირემას
კი პირი არ დაუყენებია...

მახარე მხოლოდ მაშინ-ლა მოვიდა გონს, როცა სულ მდინარის პირს მიად-
გნენ და კლდიდგან გადმომჩქეფი ჩაბარუხის საამო წინწყლები სახეზე შეეპკურა...
სახე მოიწმინდა... მწარედ გაელიმა და მეორე ნაპირს ცხენი საჩქაროდ გააგლო-
ირემაც მიჰყვა... აქ კი ჩამოხდა ცხენიდგან და სადავე ირემას გადუგდო...

— შმაო ირემავე, გაიყოლიე ჩემი ცხენიც და საოქტომქედლოსთან მომიცა-
დე... მამობილი თუ იქ იყოს, უთხარ, მეც ჩქარა მოვალ... მე კი ცოტა ტანს
წავიბან... დიდი ხანია ჩაბარუხში არ მიბნავია... მიყვარს ჩაბარუხში ბანაობა...

ეთერს როგორც კი გამოეღვიძა, მაშინვე შვილი მოიკითხა... დაჰხედა თუ
არა, წამოიძახა, თვალები სულ მამ... და ჩაიკრა გულში...

— ჰო სულ მეფისა აქვს!.. დაათვა გადიამ...

— ჩემო გადი, ჩემ მახარეს თვალეზი ისე უგავს მეფისას, როგორც მტრედს — მგლისას... აბა, ნარგიზ, დაჰხედე ამის თვალეზს!.. ნუ თუ შენი შეილოზილის თვალეზს არ გაგონებს?!

გადიამ გაიფიქრა: „უი, დამიდგეს თვალეზი, გადაირიაო!..“ ნარგიზა კი აწითლდა და მაინც დააშტერდა ჩვილის თვალეზს...

— განა, ნარგიზ?!

— დედოფალო, ჩვილის თვალეზს, ვის თვალეზსაც გინდა დაამგზავსებ!..

— ეჰ, ჩემო ნარგიზ, შენი შეილოზილის თვალეზი არ გხსომებია!..

— დედოფალო, ერთხელაც არ შემიხედნია იმის თვალეზისთვის, და, აბა, საიდგან უნდა მახსოვდეს... აი, ჩემი კაცი კი... ნამდვილად გეტყობდა...

— ჰო, მამისას ძალიან უყვარს მახარე!.. ეგ კარგად ვიცი, და ვხედავ კიდევაც... ახალი საოქრომჭედლო იმისთვის არ ააშენა, მაშ ვისთვის...

— უყვარდა და ეგრე, ლამის არის გადამერიოს კაცი... მთელ დღეს საოქრო-მჭედლოს წინ ზის და გზას გაჰკეპერის... მოვა საღამოთი და გულ-დაწყვეტილი წამოიძახებს: „დღესაც არ მოვიდა, ი საძაგელი ბიჭიო!“ და მიეგდება ტახტზედ, თითქოს მთელ დღეს მუშაობით მჩიქანცაო...

— ჩემო ნარგიზ, მაშ ახარე, რომ შეილი-შეილი დაებადა... მაგრამ ეს კი ჩვენი საიდუმლო უნდა იყოს.

— დედოფალო!..

— მე ჯერ დედოფალი არა ვარ... ვარ მხოლოდ შენი შეილოზილის შეილის დედა... მერე რა იქნება, არ ვიცი... აი, ამ ჩვილსაც მახარეს ვარქმევ...

— ჩემი კაცი გაგიყდება!..

— არა უშავს რა...

მეორე დღეს, როცა ნარგიზა მივიდა, ეთერი მხიარულად დაუხვდა. თავის მახარეს ეალერსებოდა...

— დედოფალო, კინაღამ ჩემი კაცი გადამერია... ჯერ ენა ჩაუვარდა... შემეშინდა კიდევაც... მერე დაიყინა: „მაჩვენეთ ჩემი მახარეს შეილიო და აქით მოიწვედა... როგორც იყო, ძლივას დავარწმუნე, რომ ეს ჯერ-ჯერობით საიდუმლოა მეთქი... დილა აღრჩიანად საოქრომჭედლოსკენ გამოეშურა და მითხრა: „სხვა გზით მოველოდი მახარეს და იქით ვიქტირებოდიო... ეხლა კი ვიცი, საით ვიქტიროვო!“

— ნარგიზ, მამისა მახარეს თვალეზს შორიდგანაც კი იცნობს...

როცა ეთერი სულ გამორჩა და სიარული დაიწყო, ხშირად სარკმლიდგან მამისას გადასცქეროდა, რომელსაც იმისკენ ჰქონდა თვალეზი მოპყრობილი, და

დრო გამოშვებით, როცა გამვლელ-გამომვლელი არ ჰქანდა ბავშვსაც დაანახვებდა... მამისა მაშინ თითონაც ბავშვად იქცეოდა ხოლმე და საოქრომქედლოს წინ, თითქოს თავის მკლავებზედ უწევს ბავშვიო, დაიწყებდა ხელების ნძრევას, სისინს და ალერსს. ეთერისთვის ეს გულის გამალხობელი იყო... დნებოდა იმისი გული, როცა მამისა ასეთ სიყვარულს იჩენდა იმის შვილისადმი...

ეხლა ხშირად ეთერის გასართობი ეს იყო... სარკმელს გააღებდა მამისას დაანახვებდა თავის შვილს. ის კი ამ წუთებს ელოდა... სულ იმის სარკმელს უმზერდა... ნამეტნავად შუადღის დროს, როცა გზაზე არავინ მოჰქანდა, შორიღვან მამისას და პატარა მახარეს ალერსს ბოლო აღარა ჰქონდა...

მამისა დაოთხდა, ვითომ პატარა მახარე ზურგზე დაისო და ისე გაატარ-გამოატარა საოქრომქედლოს წინ... ეთერიც ისე აყოლებდა სარკმელთან თავის შვილს ვითომც ზურგზე ზის და თითონ გვერდით დასდევს, და თან იცინოდა მამისას საქციელით...

ამ თამაშით რო გართულნი იყვნენ, უეცრივ თავს წამოადგა მამისას ირემა ორი ცხენით... ცოტას შეფერხდა კიდევაც, რადგანაც ვერა გაიგო-რა, თუ ეს მოხუცი კაცი რისთვის დადიოდა ოთხზე... ეთერმაც თვალი მოჰკრა ირემას და მაშინვე სარკმელს მოჰშორდა და ბავშვი გადიას გადასცა... თითონ კი მალვით ცქერა დაიწყო... ირემა რაღაც ეშცნაურა... და ფიქრობდა, თუ სად ენახა ეს კაცი... უეცრივ მოაგონდა თავისი მგზავრობა... „ეს ხომ სულ თან გვდევდა... ნადირას ერთგული!“ შეაფრეოლა ამ მოგონებამ და ტანი შეუნესტიანდა...

— აქ რა უნდა?!.. წამოიძახა ეთერმა და... მერე მეორე ცხენით ვინღა იქმნებოდა?! ნუ თუ მეფე ნადირა?!.

ამ აზრმა გაათთრა ეთერი და მოემზადა მედგრად დახვედრას... სარკმელს მოჰშორდა და გადიას მეორე ოთახში გასვლა უთხრა... თითონ კი სიარული დაიწყო იმავე ოთახში... ცოტა ხნის შემდეგ გადასწყვიტა მამასთან ჩასვლა და იქ მიეღო მეფე შესაფერად და სამუდამოდ უარი ეთქვა ცოლობაზე, რადგანაც პირობა არ შეასრულა და დანიშნულ დროზე აღრე მოვიდა... მოიხვია თავმანდილი და კარი გამოაღო...

— მახარე!.. შეჰკივლა ეთერმა და კარებთან მდგომ მახარეს გულზედ უგონოდ მიესვენა...

მახარე დაიბნა... ძლივას-ლა მოასწრო ხელების შეშველემა... უგონო ეთერი შემოიტანა ოთახში და ტახტზე დააწინა... კვილზე გადია შემოვარდა ბავშვით და, რა დაინახა ვიღაც უცხო, შეკრთა...

მახარე ბავშვის დანახვაზე უფრო დაიბნა და აღარ იცოდა, რა ექმნა... მახარე სრულებით არ მოელოდა, რომ კოშკში ვინმე იქმნებოდა. ეგონა მაშინდელი-

ვით შევიდოდა კიდევ შიგ, ცოტა ხანს იქმნებოდა, და შემდეგ იმავე გზით დაბრუნდებოდა. სასახლეში ვერავის ჰკითხა დედოფალზედ, რადგანაც ეშინოდა თავის გამომჟღავნება. მარცხსაც კი ვერა ჰკითხა... მართალია, მარები დანიშნული იყო იმისი, უყვარდა კიდევაც, მაგრამ ეს სიყვარული რაღაც გამოურკვეველი იყო... მზად იყო სიცოცხლე შეეწირა, მაგრამ მარები იმის გულში უფრო დამპურ სითბოს აჩაღებდა, ვიდრე სქესობრივ ცეცხლის კოცონს... ერთხელ არ მოჰსვლიდა ჭინი აღგზნებული კოცონისაც კი... თუ სურვილი ჰქონდა აღერსისა, მხოლოდ თბილი უანგარო აღერსისა...

ეხლა კი ეთერის ხელის ხლებამ ალი მოსდრა და სულ ატრუსა. ეთერის ხსენებაზეც კი ელვასავით სხეულში უვლიდა მწვავე გრძობა... სწორედ ამ შიზებით მარცხსაც ვერ ჰკითხა, რომ თავის ვინაობა სახის გამომეტყველებით ეთერის ხსენებაზედ ვრ გამოემჟღავნებინა... ყველაფერს მოიფიქრებდა, მაგრამ იმას კი ვერა, თუ ეთერი ეხლა თავის კოშკში იქმნებოდა... ამ გარემოებამ და ეთერის შეხებამ სულ დააზნა, აწო, მაგრამ ბავშვის დანახვამ ცივი წყალი გადაასხა და გამოაფხიზლა...

— აი, რისთვის მოსულა ეთერი სამშობლოს... მოსალოცინებლად!..*) რატომ ეს წინად თავში არ მომივიდა, იქ რო ვერ ვნახე დედოფალიო... გაიფიქრა მახარებ და გატრიალდა გასაქცევად...

— სიმაჰრია, თუ ცხადი?! წამოიძახა ამ დროს გონს მოსულმა ეთერმა... სად არის ჩემი მახარე?!

მახარე შესდგა...

— ჩემო კეთილო, აი, შენი მახარე!.. მიაწოდა ბავშვი გადიამ...

— არა... არა... ჩემი... გადმოიხედა და მახარეს ზურგი დაინახა...

წამოვარდა მაშინვე და მახარეს მხარზედ მაგრად დაებლაუჭა...

— როგორ, გული გამელია შენ ლოდინში და ეხლა ზურგს მაჩვენებ?!..

— დედოფალო!

— იქ, ვერხვის ქვეშ ვარ შენი დედოფალი!.. გახსოვს მახარე?!

— რომ არ მხსოვნებოდა, ეხლა აქ არ ვიქმნებოდი!..

— კარი ხომ ღია დაგხვდა?.. ვიცოდი, მაგ გზით მოხვიდოდი და ამისთვის აღარ დამიკეტნია... აი, ის შენი ამოტანილი სუფრა და დოქი შენ სახსოვრად აქვეა...

— მაგრამ დედოფალო, მაინც...

— აკი გეუბნები, დედოფალი იქ ვარ და აქ კი შენი შვილის დედა...

*) იმ დროს პირველი შვილი უშეშველად ქალს უნდა დაევის მშობლების სახლში დაებანდა. ეს უშეშველად დაეხვედნენ იყო.

— როგორ?!

მხოლოდ ძლიერ, გულწრფელ სიყვარულს შეუძლიან ისე ადვილად დარწმუნდეს, როგორც მახარე ეთერის სიტყვებმა დაარწმუნეს, რომ პატარა მახარე იმისი შვილია, და მეფე ნადირასთან ეთერს ცოლქმრული ცხოვრება არ ჰქონდა...

— ჩემო ყველავე, მაშ რად გამწირე იმ ღამეს?!.

— ნულარ ვიფიქრებთ მავაზე, ჩემო სანატრელო, ნულარ... ეხლა მართო ერთმანეთის სიყვარულით ვიცხოვროთ!

15

სასახლეში ნადირ მეფე და მარეხი დღეებს სთვლიდნენ თუ როდის მოვიდნენ და იმათი ბედნიერების დღე... რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო გრძელდებოდა დღე... შემოდგომა დადგა და დარჩა კიდევ ერთი თვე ვადამდის...

მარეხი ზარს არ ჰშორდებოდა... გაიტანდა ბაღში ჩამოჰკიდებოდა ხეზე და ჩრდილოში დაჰლიინებდა სიმღერებს და თან ზარს ახმაურებდა.

მართალია ზარის ხმა იმის ხმას არ ჰგვანდა, უფრო უკეთესად გამოდიოდა. თითონ პირველს ამბობდა და ზარს კი მეორეს... ბანიც რომ ყოფილიყო, მაშინ ზომ სრული გამოვიდოდა... დრო გამოშვებით მარეხი შესწყვეტდა სიმღერას, უნებურად ფიქრს მისცემდა თავს, და ფიქრი კი სულ იმის წინააღმდეგი იბადებოდა... ვერ მოეშორებინა თავიდან ერთი აზრი, რომელიც მალიმალ გაუეღვებდა თავში, სწრაფად მთელ იმის არსებას შეიპყრობდა და ტანს აუწვამდა...

ეს ფიქრი იყო მახარეს და ეთერის დამოკიდებულებაზედ... მართალია, ეთერის ნალაპარაკებიდან ირკვეოდა, რომ მახარემ ზარი მიჰყიდა, მახარესაც, რაც აქ იყო, ერთხელაც არ უხსენებია ეთერი. მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა, რომ მახარე ეთერის მნახველი, და ეთერი კიდევ მახარეს მნახველი ერთმანეთისადმი გულგრილნი დარჩენილიყვნენ... „ან მახარე რად ჩაურთავდა ზარში ეთერის ხმას, თუ“... ველარ ათავებდა მარეხი დაბოლოვებას, რადგანაც იმისთვის მხამი იყო... მერე კიდევ, თუმცა დანიშნული იყო მახარე იმისი, მაგრამ ის მარეხს სულ რაღაც სულ სხვანაირად ექცეოდა, იმისი ნაზი ალერსი, მარეხის ანთებულ გრძნობას ეწელებდა და ჰფერფლავდა... იმაში მარეხი სამაგიეროს ვერ იწვევდა...

ასეთ ფიქრებში იყო ზართული მარეხი, როცა ნადირობიდან დაბრუნებული ნადირ მეფე თავს წამოადგა და, რა ნახა თავისი და ასე დაღონებული, ხუმრობით უთხრა:

— ეჰ, ჩემო დამ მარეხ, შენი უგულო უთუოდ გიორგულებს და აღარ დაგობრუნდება!..

მარეხი შეერტოლდა ამ ხმაზე... ვერ შეჰნიშნა ნადირ მეფეს მოსვლა და იმისი ხუმრობა ისეთ ფიქრებით შებოჭილს ყვავის ჩხავილს დაემგზავსა...

მარეხმა ძლივას მოიკრიფა გონება და უნდოდა უეცრივ ეპასუხნა ძმისთვის.

— თუ მე უგულო არ მომივა, შენც ეთერი არ მოგივაო!.. მაგრამ სხვა სიტყვა:

— თუ არ მომივა უგულო, იმის სული და გული ხელთა მაქვსო!.. და ზარს შეეხო...

— ეგ ხომ უგულოსი არ არის?!

— მეფევ, ჩრდილოეთიდან შიკრიკი კიდევ მოვიდა!.. ამ დროს თავს წამოადგათ მსახური და მარეხს საპასუხოდ გაღებულ ბაგე მოეკუმშა...

მეფე ნადირა შეერთა... ცოტა სიჩუმის შემდეგ მეფე ნადირა და მარეხი ერთად გაემგზავრნენ...

სასახლის წინ ცხენზე იჯდა ნაცნობი შიკრიკი ჩრდილოეთისა, რომელსაც უგულოსაგან გახედნილი რაში დატვირთული სადავით ეკირა...

— რისთვის გასჯილხართო, ზრდილობიანად ჰკითხა მეფე ნადირამ...

— ჩემი ბატონი, ჩემი მეფე ძლიერ განრისხებულია, უკანვე გიგზავნის თავის რაშს და გითვლის:

„გასახედნად გამოგიგზავნე რაში... შენ კი ვირად გიქცევიაო... თუ ამ ვირით, შენი ცოლი არ მოგიყვანია შენივე ფეხით ჩემთვის, მზად ვარ შემოვესიო შენ სამეფოს და მთლად წავლექოვო!..“ მედიდურად უპასუხა შიკრიკმა და ეშმაკურად გადაჰხედა მარეხს...

მეფე ნადირა გაფითრდა... ხმა ჩაუწყდა სიბრაზით...

მარეხს ეხლა ყველაფერი თვალწინ წამოუდგა... უგულოს ცხენის გახედვნი!.. მაშინაც თურმე ესევე მოთხოვნილება ყოფილა... ნადირას მკვახედ გადაჰხედა და შრისხანედ წამოიძახა:

— როგორ, ასეთი წინადადებით მრდის შენთან და შენ კიდევ გაჩუმებული ხარ?! უბძანე ეხლავე ამის დატუსაღება და სწრაფად დაგზავნე ვზირები და ამცნონ ყველას ჩრდილოელთ თავხედობა!..

— ახ, უგულო რომ ეხლა აქ იყოს!.. წამოილულულა ნადირ მეფემ...

— ყველა აქ გაჩნდება, თუ კი აცნობებ... ეგ კი ეხლავე დაატყვევე!.. უგულოსაც მისწვდება ეს ხმა...

ახ, რა სიამით და სიხარულით ჩავიდნენ ეთერი და მახარე სადედოფლოში და რა თავ-დავიწყებას მიეცნენ იქ მახარეს მოსვლის მესამე დღეს!.. რა სინაზით და

მხურვალებით ევლებოდნენ ერთმანეთს თავზე და ერთი მეორეს აღარ აცლიდა დაგუბებული გრძნობა ძღვნად მიერთმია და შიგ გაებანა...

ბოლოს შეცურდნენ ერთად დედოფლის აუზში და წყალს შეჰნატროდნენ, რომ ერთმანეთის სხეულს წყალსავეთ ვერ ჰფარავდნენ...

სიშიშვლე იმათთვის არ არსებობდა. არ ჰრცხვენოდათ ერთი-მეორის სიშიშველისა...

ეს იყო დასაწყისი იმათ ბედნიერებისა, და მხარე იდროვებდა თუ არა, მაშინვე სადედოფლოსკენ გასწევდა, სადაც ეთერი თავის პატარა მხარით და გადიით უხვდებოდა...

როცა ერთად პატარა მხარის აღერსით ჟინს მოიკლავდნენ და აბანავებდნენ კიდევაც, გადიას პატარა მხარით კოშკში გაისტუმრებდნენ, და მაშინ იწყობოდა იმათი დაუსრულებელი სიამე... ერთმანეთი აღარ ეთმობოდათ განშორების წინ... განშორებას კი მხარეს საჭმე თხოულობდა...

ეთერმა პირველ დღესვე კოშკიდან გადაახედა და დაანახვა საოქრომქედლო...

მხარე განცვიფრდა... სულ ვედარ იცნო საოქრომქედლო... სულ ახალი ღამაში შენობა მოჰხვდა იმის თვალს... ირემა და მამისა იქ რო არ დაენახა, ეგონებოდა, რომ ეხლა იქ სხვას ვისმე აუშენებიაო და მამისა კი...

მაგრამ ეთერმა გაუმარტა, რომ მამისას მაშინვე ახალი შენობა აეშენებინა და იმის შემდეგ ყოველ დღე შოდის, ზის დერეფანში და შენ მოგელის...

მხარეს ამ სიტყვებზედ აუჩუყდა გული და ცრემლები მოადგა თვალს, მაგრამ თავი შეიმაგრა და ყრულ წამოიძახა:

— მერე რითი?! თუ რამ ჰქონდა სულ...

— ოო, ჩემო, ჩემო, რანაირი გგონებივარ!.. ნუ თუ სამაგიეროს არას მივცემდი?!

— იმ დროს...

აღარ დაათავებინა, რადგანაც მაგრად, მაგრად ჩაუკოცნა ეთერმა ტუჩები...

— რაც გაიგო, რომ აქ კიდევ პატარა მხარე არის, იმის შემდეგ სულ აქით იცქირება და...

— ეთერ, ჩემო...

— სთქვი!.. სთქვი!.. რა ვარ შენი?..

მხარე ჩაფიქრდა...

— სთქვი!..

— ეთერ, მთლად ჩემში ხარ და მე კიდევ შენში და ამისთვის ვსთქვი: „ჩემო“

— ოოო, მხარე, რა კარგი ხარ!.. და კიდევ აღვზნებით ჩაჰკოცნა...

მახარე ჩქარა გამოემშვიდობა ეთერს, რადგანაც ეგონა, რომ მამობილი ჩამარტახზე ჩაეგებებოდა...

მართლაც ასე მოხდა. მალეულ ბილიკს ჩავიდა თუ არა მდინარის პირას, მამისა და ირემაც მოვიდნენ და მახარე და მამისა ერთმანეთს გადაეხვივნენ...

— ოო, შვილო, რა მინდა გახარო!.. ჯერ წავიდეთ პური ვჭამოთ, თორემ მშვიტობი იქნებით. დედაშენს შევუთვა ლე შენი მოსვლა და კიდევ სტუმრის...

— მამავ, ეს ჩემი ძმად ნაფიცია და ისე უნდა მიიღო, როგორც მე...

— ჩემო კარგო, შენი თავი დაგვანატრულე და ეხლა კი სამაგიეროდ სამკეცად გვახარებ... რა გქვიან, შვილო?

— ირემა!..

— მოდი გადამეხვიე, ირემაც იგრევე დაიბუდებს ჩემ გულში, როგორც მახარემ დაიბუდა...

— ოო, შვილო, მახარე, რას გახარებ?!..

შიდიოდნენ შინისკენ და მამისა ხშირად ლაპარაკის დროს ამას ჩაურთავდა...

მახარე არც კი ეკითხებოდა, რადგანაც იცოდა, თუ რას ახარებდა...

როცა საოქრომქედლოსთან მივიდნენ, მახარემ განგებ ჰკითხა:

— მამავ, ეს ხომ არ უნდა გეხარებინა?!..

— ოო, ეს რა სახარობელია! ეს მხოლოდ შენთვის ავაშენე... უფრო კი ჩემთვის, რომ ჩემი სახელი იხსენიებოდეს... შენ უნდა იმუშაო, აიყვანო შეგირდები და მამისას საოქრომქედლოში ამუშაო... ეს ჩემი საფლავის ქვა იქნება, როცა მოვკვდები... შენთვის, ოოო... სახარობელი სხვა არის!.. ეს დედიშენის და კიდევ ერთის საიდუმლოებაა... თუ ისენი ნებას მომცემენ, მაშინ...

— პირობას გაძლევ, მამავ, შენ საოქრომქედლოს სანამ ცოცხალი ვარ, არ მოვშლი...

— ოო, თუ შენ პირობას გაძლევ, შენი შვილი უფრო მომცემს!..

მახარემ არა უპასუხებდა...

ხშირად, ხშირად ნახულობდნენ ერთმანეთს ეთერი და მახარე და ერთხელაც არ უფიქრიათ იმაზე. თუ რითი დაბოლოვდებოდა ამათი დამოკიდებულება... ერთხელ მამისაც წაიყვანა სადედოფლოში, რადგანაც გადაეკიდა და მოსვენებას აღარ აძლევდა „ჩემი შვილის-შვილი ერთხელ მაინც ხელში ამაყვანინეო“...

ოოო, რა სიცილი და კისკისი იდგა სადედოფლოში, როცა მამისამ პატარა მახარე ხელთ ივლო და ვერხვის ქვეშ აათამაშა?!.. რას არ სჩადიოდა მამისა?!.. მგე-

ლი, დათვი, მელა ტურა, კატა, ვეფხვი და ან კიდევ ფრინველები სულ თვალწინ დაუხატა თავის მოძრაობით და ხმით...

— ეხლა კი ბედნიერი ვარ!.. წამოიძახა მამისამ და პატარა მახარე დედას გადასცა... მავრამ... დაუმატა... ასე მალვით, ბატონის ასულო, როდემდის...

— ჩემო ოქრომჭედლო, ბატონის ასულს ნულარ მიწოდებ... ეხლა...

— ჰო, მართლა, მაპატიე! დედოფალი უნდა მეთქვა და...

— სუუ... ეგ უფრო უარესი!.. მახარეს ცოლი ვარ და. თუ მახარე შენი შეილია, შენი რძალი... მაშ დღეის შემდეგ რძალო ეთერ, ან სულ ურძლოდ ეთერობით მომმართე ხოლმე!..

— იყოს ნება შენი, შეილო ეთერ!..

— ოჰ, მამავ, აი, ეგრე სჯობია!.. თითქმის ორივემ—ეთერმა და მახარემ ერთად წამოიძახა...

დიდად ნასიამოვნები წამოიყვანა მახარემ მამისა, რომელიც გზაში სულ პავშის ქებაში იყო და ზეცამდის აჰყვანდა... მხოლოდ საოქრომჭედლოში გაჩუმდა, რადგანაც იქ ირემა იყო, და იმასთან კი კრინტს არა სძრავდა ეთერზე და იმის შეილზე... არც მახარე ამჟღავნებდა ირემასთან...

ირემა კი თვალს ადევნებდა და თითქმის მიჰხვდა კიდევაც, თუ საქმე რაშიც იყო... ის პირველი ღამე შოაგონდა, როცა შეშინებული ჩაბარუხიდან გამოიქცა და მეორე არსებად მახარე დააყენა...

ერთხელ კიდევაც შეეკითხა ირემა—გახსოვს მახარე, ტყეში რო მითხარი: „შენ ალებს გაურბი, და მე კი იმას ვეძებო“... წავიდეთ ვიპოვოთ ი შენი ალი...

— ოო, ჩემო ირემავე, მე თურმე სხვაგან ვეძებდი, ის კი თავის ბუდეს დაჰბრუნებია და...

ირემამ ხმა აღარ ამოიღო და ხმის ამოუღებლივ მახარეს თვალი აღარ მოაშორა, რომელიც ამ დროს რაღაც სამკაულს ამზადებდა...

ეხლა უკვე ცხადი იყო ირემასთვის, რომ ეთერი და მახარე იმ ღამეს ერთად იყვნენ... მავრამ ვერა გაეგო-რა, თუ რა კავშირი ჰქონდათ, მაშ მარეხის დანიშვნა და საქორწილოდ მზადება რაღა იყო?! ფიქრობდა ირემა ამას და... „ეჭვ, ორ ადგილას ბუდის გაკეთებას ხომ არ აპირობს?!“ გაიფიქრა ირემამ, და შუბლზე უკმაყოფილოდ აეგსო...

— მახარე, ცოტა სიჩუმის შემდეგ მიჰმართა ირემამ მახარეს... იი, მესამე მთოვარი დაიბადა, რაც აქა ვარ, და შენი ხელობისა ვერა ვისწავლე რა... საბერვლის დაბერვის მეტს ვერას ვახერხებ... ვეკვობ, ან კიდევ შემდეგში მოვახერხო რამ... გადივწყვიტე, ისევ ჩვენ მეჯოგეებისკენ წავიდე... იქ უფრო შინაარსიანი ცხოვრება მქონდა...

მახარებ შესწყვიტა მუშაობა და ირემასთან მივიდა...

— ძმაო ირემავე, მეც ვხედავ, რომ აქ მოწყენით ხარ... როცა აქეთ წამოვიყვანე, სრულებით არ ვფიქრობდი აქ დიდხანს დარჩენას... მინდოდა მენახა ჩემი შამობილი და დედობილი, მიმეცა იმათთვის ის, რაც მე დავაკელი, და ისევ ერთად გადგომოდით ჩვენ გზას. მაგრამ აქ სულ შემეცვალა გარემოება... ამ გარემოებაში, მეგონა, შენც ჩაერთვედი და გასწავლიდი ცოტაოდენ რამეს, რაც გამოგადგებოდა, რადგანაც... მაგრამ აღარ გაათავა.

რო გაეთავებინა გულ ახლით უნდა ყველაფერი ეთქვა, მაგრამ რო ვერ შეესრულებინა ეს, მაშინ თავის ძმობილის წინ დამნაშავე გამოვიდოდა...

— მართალი ხარ... აქ უმოძრაოდ ყოფნა ძნელია... წადი და იცოდე, თუ რამ დაგჭირებს, მხად იქნება შენი ძმობილი თავს შემოგვევლოს... აგრეთვე, თუ მე დამჭირდა რამ, გაცნობებ და, იმედია, შენც მაგრე მოიქცევი...

— მახარე... განა ჩემში ექვის შეტანა შეიძლება?!. მარეხთან ხომ არას და-მაბარებ?!.

— მარეხთან?!. ირემავე, ჰნახავ მეფეს და მარეხს?!.

— იმათ არა, მაგრამ მეჯოგეებმა ხომ იციან ერთად წამოველით... ისენი უმჯევლად მკითხავენ „უგულოს“ ზმბავს... მეჯოგეებიდან კიდევ მეფის სასახლეში დისაც მივა შენი ამბავი...

— ჰო, მართალს ამბობ... უთხარ... „უგულო აქეთ რო მოვიდოდით ცხენ-მა გაიტაცა და უფსკრულში ორივე—ცხენიც და უგულოც—ჩაიღუპათქო...

— რას შეუბნები?!.

— სწორედ მაგრე უთხარ... სასახლეში აღარ დავბრუნდები...

ირემამ ცერად შეჰხედა, მაგრამ აღარა უთხრა-რა...

18

კაცია ბატონი ეთერის დაყენებამ სახლში წისვლაზე ჯერ დაადარდიანა და უცხადყოფილებას უცხადებდა თავის ასულს; მერე კი, როცა ჩაუფიქრდა გარემოებას. კიდევაც გაუხარდა... კაცია ჩვეული არ იყო სასახლის ჩვეულებებს და ამის გამო თავისთავს თავის ტაფაში არ ჰგრძნობდა... როცა ეთერი თავის გარემოებაში ჩააყენა, იგრძნო, რომ ეთერიც ვერ იტანს ამ ჩვეულებებს და ამისთვის მიილტვის შინისკენო...

რაკი დაბრუნდნენ შინ, მაშინ იგრძნო რა დიდებული ყოფილა თავის კერა, თავისი კარ-მიდამო, სადაც თავისუფლად შეუძლიან ადამიანს ამოსუნთქვა და სხვას არ შესცქერის... წინად ამას არ აფასებდა... ეხლა კი თითქმის სულ ამას ეუბნებოდა ყველას...

როცა მახარე დაბრუნდა და ნახა, მაშინვე ეს უთხრა:

— დაუბრუნდი, განა, მახარე, ისევ შენ მამობილს?! სხვაგან უთუოდ უეკლო შეყვანილი გეგონა, და თურმე კი უფრო ქარაფიანია, ვიდრე შინ... თუმცა სხვაგან ძალიან დაჰყავთ ცხობილხარ... ბედნიერებას სხვაგან ვეძებთ, და თურმე კი ცხვირ წინ გვიძებს!..

— მართალს ბრძანებ, ბატონო, მართალს!.. ბედნიერებას სხვაგან ვეძებდი და აქ კი ყოფილა... უპასუხა მხურვალედ მახარემ...

— ეხლა აღარ გაიქცევი და შენ მამობილს აღარ დააძმარებ, თორემ...

— ოო, ეხლა აღარსად წავა ჩემი მახარე... აი, ახალი საოქრომქედლო, შენის წყალობით...

— ჩემით კი არა, ეთერის, ისეთი სასყიდელი...

— ისაც შენია, ჩემო ბატონო, განაგრძო მამისამ... და ამისთვის გეუბნები შენის წყალობით...

კაცია ბატონი თითქმის გაახალგაზრდავდა, რაც გული დაიმშვიდა და მთხოვნელები აღარ აწუხებდნენ...

ერთად-ერთი რამ აწუხებდა, რომ ეთერი შეიძლება კიდევ დანიშნულ დროს შემდგეაც ვერ შეეჩვიოს სასახლის წეს-წყობილებასო...

კაცია ბატონი ამით ჰხსნიდა ეთერის დაჟინებას, სახლისკენ წამოსვლას და სწყევლიდა იმ წამს, როცა ნადირ მეფე ესტუმრა და ისე გულუბრყვილოდ ორბევე — მამა-შვილი სასახლისკენ გაიტყუილა...

„ხესიძეთ, რო შემოგვეყვანა ვინმე, მაშინ ეთერიც შინ იქნებოდა და ჩვენ ბედს ძალიც არ დაჰყეფავდაო“...

მაგრამ რაც დრო გადიოდა, და იმისი ცხოვრება ისევ ძველებურად ეწყობოდა, თითქმის ავიწყდებოდა თავისი მეფის სასახლეში ყოფნაც კი... იქნება ათას ში ერთხელ რომელიმე მებატონე შეაწუხებდა თავის გაჭირვებით და დახმარებას სთხოვდა...

ასე გადიოდა იმის დღეები მშვიდად, აუშფოთებლივ, რომ უეცრივ გაოფლიანებული ცხენით მეფის გზირი შემოდგომის კარს შეექრა კაციას:

— ქუდზე კაცს თხოულობს მეფე... ჩრდილოელთ მეფე შემოიჭრა და მთელ სამეფოს წალეკას უპირებს!.. თუ უგულო აქ მოიპოვება, იმასაც იბარებს მეფე!..

დიდად შეაწუხა კაცია ბატონი ამ ხმამ... მშვიდობის მოყვარე იყო ჯერ ახალგაზრდაშიც და ეხლა ხომ სულ დააძმარა კაცია ამ ამბავმა... მაგრამ რა გაეწყობოდა?! კარს გაჭირვება მოსდგომოდა და მტერს მტრულად უნდა შეჰგებებოდა... მაშინვე თავის მხრივ თავის საბატონოში თავისი გზირი კომლიურად დაატარა და შეუთვალა: ვინაც გული და მკლავი უჭრის გამოვიდეს, რადგანაც მტერი კარს მოგვდგომილია!..

კაცის ყმებში თურმე ყველას გულიც და მკლავიც მჭრელი ყოფილა. ოჯახებში ქუდოსანი აღარ დარჩა... მოხუცებულნი და მცირე წლოვანიც კი გამოცხადნენ კაცის სასახლეში და ემუდარებოდნენ მტერზე წაყვანას...

კაცია ბატონს გული აუტოკდა, ასეთი ერთსულობა რო დაინახა, და შეემუდარა მცირე წლოვანთ და მოხუცებულებს ოჯახს დაჰბრუნებოდნენ და კერა არ გაეციებინათ, ვიდრე გამარჯვებული მეომრები უკან დაბრუნდებოდნენ...

თუმცა გულნატკენებმა, მაინც მყისვე შეასრულოს კაცის თხოვნა...

მესამე დღეს ყველა შეიარაღებულნი კაცია ბატონის ეზოში იყვნენ და ის ათვალთვლიერებდა.

მეფის გზირიც იმის ახლოს იდგა ამ დროს. ეს მესამე დღეა, რაც მეომარნი თავს იყრიან კაცია ბატონის ეზოში... კაცია ბატონი წაპირის ბატონი იყო, ვისთანაც უნდა უკანასკნელად მისულიყო. გზა და გზა ყველას შეატყობინა, ყველგან უგულოსაც კითხულობდა, როგორც მეფემ დააბარა, მაგრამ ყველგან ეუბნებოდნენ: „მაგისთანა სახელის კაცი არ გვინახავსო“... კაცია ბატონისაგან აქაც ეგავე პასუხი მიიღო... ჯავრი მოუვიდა, რომ იმას არა ჰხვდა უგულოს შეტყობინება და სხვა გზირებს, რომლებით სხვა მხარისკენ იყვნენ დაგზავნილები... მაინც ისაც ყველას ათვალთვლიერებდა...

როცა კაცია ბატონმა თავის ეზოში შეგროვილი მეომარი შეათვალთვლიერა, შელონდა...

„ვარი, თუ ამ გულადთ ჩემი სიბერით ვერ ვუწინამძღვრო და რაიმე ხიფათი შეევამთხვიო“, — გაიფიქრა და გამოსავალ გზის ძებნა დაიწყო...

სწორედ ამ დროს წარსდგა მახარე კაცია ბატონის წინ და მოახსენა!

— ბატონო, მეც ნუ გამომწირავ მეომრებში და წამიყვანეო...

— შენც, ჩემო მახარე?! მართალია, კაი ვაჟკაცი ხარ, მაგრამ ოცნების კაცი ხარ, ჩაქუჩიც კარგად გიჭრის, მაგრამ, ვაი, თუ ისარმა და სატევეარმა...

— უგულოვ, ჩქარა შეგექ რაშზე და მეფესკენ მოუსვი!..

— რას ჰბოდავ?! თითქმის ერთად შეეკითხა კაცია ბატონი და მახარე...

— ებოდავ?! მოხარშული რო მოეტანათ უგულო, მაშინაც ვიცნობდი, და ცოცხალს ველარ ვიცნობ?!.

— ვინ უგულო, რას ამბობ?! უკვე მრისხანედ შეეკითხა კაცია ბატონი.

— უთუოდ მიმამგზავს ვისმე!.. მოკლედ მოუქრა მახარემ...

— შენი გახედნილი რაშით მე გამომგზავნა „დიდმა მეფემ... კიდევაც მეწინააღმდეგედარიყავი, მაგრამ რო შევჯექი, მერე კი გავიფიქრე: „უგულოს გახედნილი რაში საშიშო აღარ არის მეთქი“ და მოვკურცხლე... დამავალა: „საცა შეგზვდეს, რაში იმას გადაეცი და აქეთ სასწრაფოთ გამოეშუროსო...“

— გცდება, ძმობილო, გცდება!.. უპასუხა მახარემ და შემდეგ კაცია ბატონს მიჰმართა... იქმნება სატევარმა და მსარმაც გამიჭრას!..

— მცდებაა?!. სასახლეში რამდენჯერ ვნახე?!. იქმნება რაშს არ შესცდეს... ბუტბუტებდა გზირი და სადღაც მიიმალა...

— მერე მამისას რაღა პასუხს აძლევ?!.

— მამისა ორივე ხელით ზენას ლოცვა-კურთხევას შესთხოვს, ჩემო ბატონო კაცი, და ჩემი მახარე ისევ უკან დამიბრუნდება...

— თუ კი აგრეა, ზენამ გაკურთხოს!.. მოემზადოს მახარეც და დილაზე ადრინად გზას გავუდგეთ...

ამ დროს მეომართა შორის ჩოჩქოლი შესდგა... ყველამ ყურადღება იქით მიაპყრო... ჩქარა გამოჩნდა გზირი, რომელმაც ცხენით მოარღვევდა მეომრებს, რის გამოც უკმაყოფილებას იწვევდა მეომართა შორის... მოვიდა თუ არა მახარეს ახლოს, ჩამოხტა და თავი მიანება ცხენს... ცხენი დააშტერდა მახარეს... ძლიერად დაიჭიხვინა და თავი მალა ასწია. თან თვალეში დააკვესა... მახარემ უნებურად ხელი ასწია და იმის ნესტოებს შეახო...

ცხენი მაშინვე მოტკბა... სიამოვნებით ოდნავად წაიფრუტუნა, ფეხები და კუდი აათამაშა და ტუჩებით იმის ხელს, მერე სახეს ცმუცვნა დაუწყა...

— ეხლაც არ გჯერათ?!. მედიდურად წამოიძახა გზირმა... ეი, უგულოვ, მაგასაც ხომ უარს ვერ ეტყვი?!. მახარე მართლაც დამუნჯდა...

ცხენი კი აფორიაქდა... შეჰქმნა ჭიხვინი, კალხზე შესდგა... თითქოს რაღაც მოაგონდაო და...

მახარე იძულებული გახდა სადავესთვის ხელი ეტაცნა, თვალის დახამხამებაზედ ზურგზე მოაჯდა და...

— წინ დაგიხედებით... გამოეშურენით კი!..

ესლა მოასწრო ეთქვა... ცხენმა რაკი შესაფერი მხედარი ნახა, ძველებურად აენტო, ათამაშდა ადგილობრივ, რადგანაც სადავეს არ უშვებდა მახარე და მძლავრად იზიდავდა... მეომრები ტალღად ერთ მხარეს მიაწყდნენ და გზა გახსნეს... მაშინ კი მახარემ სადავე მიუშვა, და ცხენიც ადგილს მოსწყდა...

— ეხლაც არ გჯერათ, რო ეგ უგულოა?!. შემოესმა მახარეს ამ დროს გზირის სიტყვები...

ნადირ მეფემ მარხის დასამშვიდებლად განკარგულება მოახდინა შიკრიკის დატუსაღების და გზირების დაგზავნის შესახებ, მაგრამ ჯერ არავინ ასრულებდა,

იმ ლამეს დიდ მეფესთან საიდუმლო რჩევა ჰქონდა... დიდ მეფეს ძალიან ეწყინა ნადირ მეფის გადაწყვეტილება, მაგრამ ეს წყრომა არ აგრძობინა და თითქოს დასთანხმდა კიდევაც... მეორე დღეს დიდის ამბით წაეყვანათ მარეხი, ვითომც დედოფალი, ჩრდილოეთ მეფისთვის...

დიდმა მეფემ, როდესაც ნადირ მეფე დასაძინებლად გაისტუმრა, ცოტახანს იშფოთა ნადირ მეფის თავხედურ გადაწყვეტილების შესახებ, შევიდა მარეხთან და...

— ეხლავე მოემზადე გასახიზნავად... უბრძანა...

— განა უბრძოლველად უნდა გავიდეთ?! ხომ გზირები დაგზავნა?!.

— სანამ ყველა მოგროვდება, მარტონი ვიქნებით. მტერი კი ახლოს არის... დააჩქარე... ეხლავე გასახიზნად ცხენებს დაგამზადებინებ...

დიდმა მეფემ გზირები დაგზავნა ყველა მებატონებთან და ვეფხვა კი რაშით კაციასკენ და დაავალა: „რაკი კაციაძის ბევრი მებატონეა, ყველას აცნობე და უგულოც იკითხეო და თუ შეგხვდეს ეგ რაში იმას გადაეციო“... და გასახიზნავადაც დაამზადებინა ცხენები. აღსრულებას თითონვე ადევნებდა თვალ-ყურს...

„რაკი დილაზედ მარეხს არ ჰნახავს ნადირა, ფიქრობდა დიდი მეფე, ძალაუნებურად საბრძოლველად შეემზადება და შინა ყმებს საომრად იხმობს და ვიდრე მებატონეები მოვლენ, მტერს დროებით მაინც მოიგერიებს“... ამასთანავე ერთს დაავალა, რომ ნადირ მეფისთვის დილაზე მოეხსენებინა: „მებატონეებთან გზირები დაგზავნილია და ჩქარა ისენი თავს მოიყრიანო...“

ნადირ მეფე არხეინად იყო... არ ჩქარობდა ადრე ადგომას. როცა ადგა და სასახლე დაცალიერებული ნახა, დაიბნა... მეტი ველარა მოიფიქრა-რა, რომ თითონაც ცხენს მოახტა და რამდენიმე მხლებლებით ტყეს შეათარა თავი...

დარჩა სამეფო უპატრონოდ...

20

იგრძნო რა რაშმა შესაფერი მხედარი, გაკაჟდა... რასაც სხვა ცხენი ერთ დღეს გაივლიდა, ის საათში მიდიოდა და თითქმის ერთი კვირის სავალი ორ დღეს განვლო... მახარე წამს თუ შეასვენებდა, რომ რაშს ფერდი ამოეღო და ოდნავად მოეწიწვნა რამ, თორემ სულ მიდიოდა... უპირველეს ყოვლისა მახარემ ირემა მონახა... იცოდა მეჯოგეების ბინა ამ დროს და ამისთვის იქით გაეშურა“...

მეჯოგეებს ძალიან გაუხარდათ მახარეს ნახვა. ირემა ხომ სულ აღელვდა და აღარ იცოდა, როგორ გამოეთქარავებინა თავისი სიხარული...

— ლომავ, აქით რა ამბებია?! მოკლედ ჰკითხა მახარემ...

— შენი მტერი, რაც აქ ამბებია!.. უპასუხა მეჯოგეთ-უხუცესმა და უამბო, თუ რაც ამბავია...

თურმე მეფეების მიმალვამ ხალხში შიშის ზარი დაბადა და ისაც—დაიბნა... ზოგმა ტყეს მიაშურა, და ზოგმა კიდევ ველს... ყველამ თავს უშველა... ვისიც იმედი გქონდა, რომ რკინის გული ჰქონდა, ისაც კი მიიძალა, ცვილის გული ამოუჩნდა... ეხლა თავისუფლად შემოესია მტერი, დაისაკუთრა სასახლე და მიდამოები, და ეხლა ჩვენც ველოდით ტყეებში იმათ შემოსევას, მაგრამ რაკი შენ მოხველი, იმედი მოგვეცა... ვგონებ, მტერს გავდევნით...

— ნუ გეშინიანთ, ძმებო; აუარებელი მეომარი მოდის... თქვენც ფხა გამოიჩინეთ და მტერს მტრულად დაეუხვდეთ... ლომავ, შენ ყველა გიცნობს ტყეებში და ველად გაბნეულნი, აიხადე ეხლა პირბადე და მოიხმე ყველანი საომრად და აცნობე ყველას, რომ მეომრები მოდიან... ეს ირემაა, ამ ერთი წლის წინად დაიკარგა...

— მოიცა... მოიცა... ირემა... და დააცქერდა ირემას მეჯოგეთ-უხუცესი... გამოცხადებული ირემაა... რამდენჯერ შინაწავს სეფეწულთან ერთად?! თვალები ისე როგორ დამიბრმავდა, რო აქნობამდის სულ ვიღაც ლომა მეგონე?

— ჰო და, ირემავ, ეხლა საჩქაროდ წადრ და ყველა მოიხმე, ვისაც კი საბრძოლველად გული სრჯის, რომ ქვეყანა მონობისგან დავიხსნათ!..

— ოო, ეხლა მეც კი გული ამბტოკდა და, გეფიცები ზენას, მეც წამოვალ საბრძოლველად!.. აღტაცებით წამოიძახა მეჯოგეთ-უხუცესმა...

— მაშ ეგრე, ირემავ!.. შეაგროვო თუ არა მეომრები, მაშინვე აქ მოდი და მერე განვსაჯოთ, როგორ მოვიქცეთ...

— ირემავ, გვითხარ მაინც მაშინ რად დაიძალე... მერე რა გაფაციცებით გეძებდნენ?!

— ოო, ეხლა მივისწრაფვი სწრაფ შევასრულო ჩემი ძმად ნაფიცის განკარგულება... ეგვე გიამბობთ, რადაც!..

— სულ უბრალოდ... მოკლედ გადასცა მახარემ მიზეზი, თუ რად დაიძალა ირემა... დედოფალი ალად მიიღო და ეგონა, ეს ოჯახი დაიღუპებაო, და, თიფონაც რო ამ დაღუპვას არ მოჰყოლოდა, არჩია გაქცევა!..

— მართლა უფიქრია!.. წამოიძახა მეჯოგეთ-უხუცესმა... სასახლეში ყველამ იცის, რო დედოფალს ნადირ მეფისთვის ცოლობა არ გაუწევია... ამას ბალღიც კი ამბობს, და მერე მართლა იმის უბედურება სწორედ მაშინ დაიწყო...

მახარე აღტაცებით ისმენდა ამ სიტყვებს. ეთერის სიტყვები მტკიცდებოდა... თუ რამ სადმე კუნჭულში ექვის სიო მოძრაობდა, მეჯოგეთ-უხუცესის სიტყვებმა ისაც დაახშო და ექვის მაგივრად მხოლოდ სიყვარულის ალი ჩაეშო...

— ირემავე, ველად გასვლაც არ დაგავიწყდეს!..

— ჩემო მახარევე, სწრაფად შემოვირბენ ტყე-ველ-მინდორს!.. უპასუხა და სწრაფად მოსწყდა ადგილს...

ირემამ მართლაც ორ დღეს შესძლო ის, რასაც სხვა მთელ კვირას მოუნდებოდა...

აქა-იქ გაბნეული ვაჟკაცი მეჯოგეების ბინაზე გროვდებოდნენ და ჩქარა დიდი ძალი მეომარი მოგროვდა, გამხნეებულნი მაშველით მზად იყვნენ ცეცხლში გადაცივებულიყვნენ...

მახარემ რაკი ასეთი სული შეამჩნია, ირემა ცალკე იხმო და უთხრა:

— ჩემო ძმაო, ამათ წინამძღვრად შენ იყავ. გზები კარგად იცი და მალვით ჩრდილოელთ უკან დაბრუნების გზა გადუქერ... ვეცადნეთ, ამბის მიმტანიც არ გაუშვათ... ეხლავე გაემგზავრენით, თორემ დაიგვიანებთ... დღეს თუ ხვალ მეომრები მოვლენ და შევეუტევთ... მინდა ამბის მიმტანიც არ გადარჩეს...

21

მზე იცინოდა... შემოდგომის მზემ მერე რა თბილი გამამხნევებელი სიცილი იცის!.. არც ერთი იმის სხივი სიცილით ნატყორცი უშედეგოდ არ იკარგებოდა; სასახლის წინ შეგროვილ ხალხს სხეულში საამოდ უვლიდა... იმის სხივი ირემასაც ჰხვდებოდა და უფრო ძლიერად აღიზინებდა იმის ოცნებას და ფრთებს უფერავდა... ის კი მოუთხრობდა ხალხს ომის ამბავს... „მე მოვუყარე ტყე-ველად გაბნეულ მეომრებს თავი... წავიყვანე ეს მეომრები და ზურგით მოვექცეით... ჩვენ რო არ ვყოფილიყავით, დღეს თქვენ აქ ასე სიხარულით მოცულნი არ იქმნებოდით... ჩვენმა მეომრებმა ერთიც არ გადუშვა მთის იქით და აქითაც არ გადმოუშვა... ჩვენ რო არ ვყოფილიყავით, ყველას განადგურება მოელოდათ...

— გაუმარჯოს ირემას, გაუმარჯოს იმის მეომრებს! ყვიროდა გამოფენილი უძლოური და მანდილოსანი...

— გაუმარჯოს ირემას! ყვიროდა იმისი მეომრები...

— რა ტანჯვით და გველებსავით ხევ-ხუვებში ვძვრებოდით!.. განაგრძო ირემამ თავის ამბავი... ასეთ ტანჯვას ვერავინ აიტანდა... ჩვენ კი შევძელით და აი... ამ დროს გამოჩნდა ნადირ მეფე თავის მხლებლებით და წინ წასდგა...

— ირემავე!.. წამოიძახა ნადირ მეფემ.

— ხალხო, აი თქვენ წინ სდგას ის, ვინც გაქირვების დროს მიგატოვავთ და თავის თავს უშველა... თქვენ კი მტერს მიგცათ პირში... ეხლა თქვენ იცით რა სასჯელსაც მიაყენებთ...

მეფე ნადირა ათრთოლდა ამ სიტყვებზედ...

— ჩაქოლოთ!.. მოისმა ირემას მხლებლისგან ერთი ხმა...

— ჩაქოლოთ!.. ჩაქოლოთ!.. ახმაურდა ირემას მხარე...

უეცრივ ქვამ გაიზუზუნა და ნადირ მეფეს საფეთქელში მოჰხვდა... ის მაშინვე დედამიწაზე დაემხო...

— რაკი დაიწყეთ, დაათავეთ!.. დაიძახა ირემამ, — ჩაქოლოთ!..

მახარე ხის ძირას იდგა და უსმენდა ირემას... გონს ვერ მოსულიყო, თუ რას ამბობდა... რა იყო იმის გამარჯვება, ან კიდევ იმისი ასეთი ხალხის წინ დამახურება... „იქმნება მარალაც ისეთი რამ ჩაიდინაო“, ფიქრობდა, როდესაც ირემა თავის ღვაწლს აზვიადებდა და მწარედ იღიმებოდა... მაგრამ მწარე ღიმი სწრაფად აღშოთების ნასკვებმა შეიპყრეს, როდესაც მეფე ნადირა დაემხო და ირემამ წამოიძახა: „ჩაქოლოთ!..“

სწრაფად წინ წავარდა და მეფის გვერდით გაჩნდა...

— რას შვრებით, უგუნურებო?! მრისხანეთ დაიყვირა უგულომ...

— ეგაც მიაყოლეთ, ვერ ჰხედავთ, როგორ ესარჩლება თქვენს დამღუპველს... პასუხად წამოიძახა ირემამ...

მაგრამ ყველას გაწვდილი ქვა ხელთ შეჰრჩია... მახარემ ნადირ მეფეს ხელი სტაცა, მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო...

მახარემ შეჰხედა ირემას... ირემამ თვალი თვალში გაუყარა და წამოიძახა:

— უნდა გიხაროდეს!.. ეგაც ჩემი წყალობაა!..

— გაუმარჯოს ირემას, გაუმარჯოს!.. ყვიროდა ამ დროს ირემას მეომარი...

წამს მახარე მხად იყო მიედრჩო ირემა, მაგრამ სწრაფად გონს მოვიდა, გული მოეკუმშა და...

სწრაფად გატრიალდა და მეომრებს შეეფარა...

მაშინ კი, აქნობამდის მუდმივ მშრალ თვალებს ჩაბარუხის მგზავსათ ცრემლი გადმოსკდა და იმისმა გულმა ჟღერიალი გამოიღო, როგორც გაბზარულმა ზარმა, როდესაც ის უნებურად სტყორცნა...

— შვილო, მახარე, ალერსით მხარზე ხელი დაადო კაცია ბატონმა, მახარე რომ ასეთ მდგომარეობაში დაინახა...

— მამავ!.. სასოწარკვეთილებით წამოიძახა მახარემ და გულზე მიესვენა...

— წავიდეთ აქედგან, შვილო, ეხლა ყველაფერი ვიცი და...

— მამავ, მამავ!.. ქვითინებდა მახარე... ძმად ნაფიცმა ხალხის მოლალოტელ გამომატხადა!..



დამნა შენგელაია

ანდრო სავანელი¹⁾

V

შუალამეს გადასული იყო.

ანდრო მიდიოდა სახლისკენ, მიბარბაცებდა და თავი ისე უბრუოდა, თითქოს შიგ წისქვილის ქვები ბრუნავენო. ყურებს ხუილი და ხმაურობა გაჰქონდათ, თვალეზი ერეოდა და ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, თითქოს მოქანავე ნავში იღგა და სხეულს ვერ აწონასწორებდა.

ათასში ერთი თუ გაივლიდა მიყრუებულსა და მიბნელებულ ქუჩაში და ეჭვის თვალით აათვალღერებდა ანდროს.

ქვეით ჩასუდრულ შეითან-ბაზრისაკენ და სეიდაბადისაკენ შექეიფიანებულ ნაძირღებისა და დეზერტირების სროლა გაისმოდა.

მუხრანის ხიდი კუზიან დედაბერივით მოკუთხულიყო და მოზნეკილ გამხდარ მკლავით გულში მხურვალე, როკაპული ფუსფუსით იხვევდა მოდუღუნე და მოდიღებულ მტკვარს.

სიწყნარე იყო სამარისებური და ამ სიჩუმეს აქა-იქ კანტი-კუნტი სროლა და ფრონტიდან გამოქცეულ, გაველურებულ მთვრალ ჯარისკაცთა რუსული გინება არღვევდა. ღამე სიარული უკვე სახიფათო იყო, მეტადრე სუფთა ტანისამოსით, მაგრამ ანდრო ამას ყურადღებას არ აქცევდა და მიდიოდა მთვრალი იმ აისორით, რომელიც მაღალ ტაძრის გუმბათიდან ძირს ნოტიო სარდაფებში ჩაეშვბ... ხა-ხა!.. ნოტიო სარდაფებში!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. ასეთია ბედისწერა, ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა!.. ხო-ხო!.. ნუ დაიჯერებთ!.. თქვენი ნებაა!.. ხე-ხე!.. მაღალ გუმბათიდან ნოტიო სარდაფებში, ასეთია ჩვენი ცხოვრება, ხა!.. ხა!.. ხა!.. ასეთია!.. ასეთია!..—მოლაპარაკობდა იგი მთვრალი და სიარულში ხან ტელეგრაფის ბოძის წინ შეჩერდებოდა და ინდაურივით ფხორავითა და მხრების უშნო აჩეჩვით რალა-ცას ედავებოდა, უტევდა და მერე ისევ ბარბაცითა და თავის უილაჯო რყევით განაგრძობდა გზას...

¹⁾ იხილეთ „ცისარტელი“ № 12—13.

იგი მთვრალი იყო აისორით. მის სულში ამ აისორმა გაიდგა ფესვები ძირ-
მოდემულად და ტვინი საშინელ უსიამოვნო ხმით უჭყიოდა რალაც უშნო ბაია-
თებსა და მუხამბაზებს კოლოს ნაღვლიან ბზუილივით, რომელთაც კალატოზები
მღერის ხოლმე მაღალ ხარაჩოებზე ფეშტამალ აფარებულნი ქაფჩითა და თით-
ბრის შვეულთ ხელში, მაგრამ ბარდლას რა უნდა მისგან, რად არ ჰშორდება იგი
მის გონებას?.. იგი აქ რა შუაშია! თუ აისორია, აისორი იყოს, თუ ბარდლა—
ბარდლა!.. ის კი მაინც არ ჰშორდება და ტვინს უხაკავს საშინელი, წითელ ინით
შეღებულ ფრჩხილებით.

თითქოს ამ აისორ კალატოზმა ბარდლა მის სულში თითბრის შვეულად ჩაუ-
შვა და, დარწმუნებული მისი სულის კედლების სიმრუდეში და მალე დაქცევაში,
მაღალ გუმბათის დარღვევაში, იცინის მხიარულად, შხამიანად და სკყივის თავის
გულის გამაწვრილებელ ბაიათებსა და შიქასტებს. განა სულ ერთი არ არის რას
მღერის?.. ხომ მღერის ის საზიზღარი ქონდრის კაც, რომელიც ბელურების სა-
ფრთხობელას უფრო ჰგავს ვიდრე ადამიანს?..

ეს გუმბათი ოდნავი მიწის ძვრასაც ვერ აიტანს და ფქვილივით დაიფშვნება,
დაილეწება, ხე-ხე!..

სიჩუმე...

ანდრომ ოდნავ ჩიხითხითა თავისთვის გულიანად და ისევ სიჩუმე!..

ღვინო თითქოს გამოუშუშდა, მაგრამ აისორი კი არ ჰშორდება მას თავის
ძმობილ ბარდლათი, არ ჰშორდება და მან გაბრაზებით ვილაცას გულიანად შეა-
ფურთხა.

— დაე დაინგრეს!.. — დაიძახა მან საოცარი განრისხებით და მერე განაგრძო:
— დაიშხვრეს. ჩემი სულის კედლები და თაღები, ჩამოიქცეს ცაში ამაყად აზიდული
დიდი გუმბათი, განა ცოტაა ნოტიო სარდაფები სირაჯხანაში?.. მეც დაუწყებ
მათ აღებასტრით ლესვას, ვითომ რა უშავს, ჰა?.. მითხარ რა უშავს?.. — შეუტია
მან ვილაცას წუთით შეჩერებულმა.

და მძლიოდა იგი მახინჯ აისორისაგან, დამბლა დაცემულ კალატოზისაგან
დალეწილ სულით თავის მახინჯ და შერყეულ ბარდლასთან, რომელიც მას ახლო
ალბად მოუთმენლად მოეღის სახლში.

„სირაჯხანიდან მეტეხში, აისორიდან ბარდლასთან!..“

„სირაჯხანიდან მეტეხში, აისორიდან ბარდლასთან!..“

ხიოდნენ ყურები და ანდრო სახლს ისე მიუახლოვდა, რომ არაფერი გაუგია.
ფანჯრებში სინათლე მოსჩანს...

ბარდლა აანთებდა...

მთელი ერთი თვე ეწვალა ანდრო, რომ ბარდლას შეეგნო, რომ იმ პატარა

კახრაკის გადაბრუნებით ენთებოდა ელექტრონი და რომ ელექტრონი ანათებდა ოთახს.

მთელი ერთი თვე ეწვალა და, როდესაც ბარდლამ როგორც იყო ისწავლა მისი ანთება, სიხარულით არ იცოდა რა ექნა და ერთი კვირის განმავლობაში არც ერთი კატა არ ჩამოუღრჩვია ანდროს საყულოზე, არც ერთი ძაღლი არ მოუკლავს ნემსიან პურით, არც ერთი თავგი არ დაუწვავს, ისე გაიტაცა ამ ახალმა მოვლენამ, ამ ახალმა ამბავმა იგი და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ხან ანთებდა იგი ელექტრონს, ხან ჩააქრობდა და ველურ კანიბალივით ფერხულს უვლიდა მის გარშემო, ხან შუშას ენას აუსვამდა გემოს გასასინჯად, ხელს მოჰკიდებდა, ხან ძირს ჩამოდგამდა საწერ მაგიდიდან, გვერდით მოუწვებოდა და იცინოდა, ხითხითებდა იდიოტურად ყურებამდე ახეული ყბებით და გულში იხუტებდა ელექტრონის ასანთს.

და აი ახლაც ბარდლას აუნთია ელექტრონი ოთახში და მის საწერ მაგიდაზე ფეხებ მორთხმული ზის, უცქერის, სტკება საშინელო უაზრო თვალებით იდიოტურ გაბრწყინვებით და ელის თავის საყვარელ მამას, ელის ძვირფას ანდროს...

ანდრო ძლივს ალასლასდა კიბეზე და კარი შეაღო. ბარდლა მის საწერ მაგიდაზე ზის ჩვეულებრივად და წვერ წატეხილ კალმით ფეხის ფრჩხილებს იკიკნის და თან თავისი საშინელი თვალებით უცინის ანდროს იდიოტური უაზრობით.

ანდრო სიბრაზით აენტო...

რა უნდა ამ იდიოტს, რა, რომ ასე ელის, და მიუხედავად იმისა, რომ ლამის ორი საათია მაინც უცდის ეს იდიოტი.

ანდრომ თავი შეიკავა, გაბრაზებულმა სველი პალტო იქვე მიაგდო და მერე ვენურ საქანაო სკამში ჩაესვენა და ფიქრებს მიეცა. ის საშინელი სიმთვრალე გაჰქრა, მინელდა და ფიქრობდა იგი, ფიქრობდა იმ აისორზე, ფიქრობდა ბარდლაზე და ეს ორი ადამიანი მის გონებაში შედუღდა, შეერთდა და არ ასვენებდნენ მის გონებას, აშფოთებდნენ.

ბარდლა კი ზის, ფეხის ცერი ხელში უჭირავს და უცინის შას იდიოტურად და უზარმაზარი, ოთხკუთხი შუბლი საშინლად, ყარაჩოლულ მაღალ ჩექმის ყელივით ანაოჭებია.

ანდროს არ უნდა მას ყურადღება მიაქციოს, მაგრამ იგი ჰგრძობს მის საშინელი უაზრობით გაყინულ თვალებს, ჰგრძობს მის მოლაქუცე ღიმილს და ტვინი ემღვრევა.

— უუუ!... — დაიღმუილა ბარდლამ და უწარბო შუბლი მრისხანედ მოხუშა.

ანდრო კი ზის ისევ და ყურადღებას არ აქცევს მას, არ უნდა მიაქციოს ყურადღება, არ უნდა...

— უუუ!.. — დაიღმუვლა კიდევ უფრო საშინლად ბარდლამ და ანდრო შიშით შეჭრჳოლდა, მაგრამ თავი შეიკავა და ყურადღებას არ აქცევს, თითქოს ბარდლა არც არსებობს ქვეყანაზე!.. ოო, რამდენს ნეტარ წუთებს დასთმობდა იგი, რომ ეს იდიოტი მის სახელს არ ატარებდეს!..

უცებ ბარდლა რწყილ ნაკბენ ლეკვივით ერთ ადგილას აფუსფუსდა, საწერ მაგიდიდან წვალებითა და ვაივაგლახით ჩამოცოცდა და თავისი მოგრეხილი შიშველი ფეხებით მიფორთხდა მამასთან, მუხლებზე ხელი ლეკვური ლაქუცით მოუცაცუნა და განიერად გაულიმა.

ანდრომ შეხედა და ზარდაცემული საქანელას ზურგს მიაკვდა. ბარდლა კედელზე დახატულ იდიოტსა ჰგავდა, საშინელს იდიოტს, რომელსაც ქუჩის ბიჭები ჰხატავენ ხოლმე სახლის კედლებზე პირველ ყოფილი ადამიანის მხატვრულ ხერხით:

ჯერ სიმრგვლე, მერე ორი დიდი წერტილი, შემდეგ გრძელი ჩამოშვებული ხაზი და ამ ხაზთან კიდევ სიგანეზე გასმული ხაზი და გათავდა ბარდლას პორტრეტი, საშინელი სურათი იდიოტიზმისა...

— უუუ!.. — დაიზმუვლა კიდევ ბარდლამ საშინელი, გულის შემზარავი ხმით, მგლოური ონავრობით და შარვლის ტოტს მოსწია.

ანდრომ შეხედა და ბარდლას საშინელმა უბსკრულიანმა თვალებმა დაიპყრო მისი შეხედვა, იგი თითქოს სულში უძვრებოდა და ძაგძაგი დაიწყო...

რა უნდათ ამ იდიოტებს, რომ არ ჰშორდებიან ამ კაცს, რა?.. რას გადუკიდნენ, რა უნდათ მისგან, რომ არ ასვენებენ.

ღმ მან ანთებულმა ისე, როგორც ეს გაბრაზებულმა კატამ იცის ხოლმე, კბილების ხრქიალით ხელი იმ ერთი ბეწვა თმაში წაავლო, რომელიც უფრო ღორის კუდს მოაგავდა შუბლის თავზე ამოსულს და გაათრებით, შეუბრალებლად მოსწია.

ბარდლამ არა ადამიანურად, გულშელონებულ ქალივით უძლოური ხმით იკივლა ტკივილისაგან და გაკაპასებულ ლეკვივით თითში კბილები წაავლო და მოუჭირა.

საშინელი იყო მათი შებმა.

ცნობილი მწერალი ანდრო სავანელი თმებში ჩაჰკვდომოდა თავის იდიოტ პირმშო ბარდლას, რომელიც მას ხელში კბილებით წასტანებოდა და საშინელ შეუბრალებლობით უჭერდა ყბებს.

ანდრო ჰგრძნობდა, რომ ბარდლას კბილებმა ძვლებამდის დააღწიეს და მიუხედავად საშინელი ტკივილისა მაინც არ უშვებდა ხელს თმაში, მაინც არ უშვებდა, მაგრამ დაბოლოს მან ვერ აიტანა ტკივილი; ბარდლას კბილები მამის სისხ-

ლით დაისვარა, თითიდან სისხლი თქრიალით მოდიოდა, მან მეტი ვერ აიტანა, თმაში უცებ საოცარ განწირულებითა და სისწრაფით ხელი გაუშვა და ყელში
 ესა.

ბარდლამ ხრიალი დაიწყო, მოეშვა, სისხლიანი კბილები გაეხსნა და საზარე-
 ლი თვალების კაკლითა და ბრიალით, რომელიც ჯოჯობხეთურ ხილის საშინელ
 მკვახე მარცვლებს უფრო ჰგავდნენ, იატაკზე მოწყვეტით დაეშვა უმოძრაოდ...

ანდრომ ცხვირსახოცით ხელი შეიხვია და რალაც გამეხებით, გულ-გაკაფებით,
 ბარდლასათვის ყურადღების მიუქცევლად ფეხზე წამოიჭრა, კედელს მიეყრდნო და
 ისე გასაფრდა, თითქოს რალაც საბედისწერო საშენელების თავდასხმას მოეღისო.

ბარდლა კი ყელგამოჭრილივით ეგდო უმოძრაოდ... ცოტა ხანის შემდეგ მომა-
 კვდავივით ოდნავ შეირხა, უზარმაზარი თვალები ერთი წუთით ტანჯულ გამომე-
 ტყველებით, საცოდავად, პირუტყვეულად გაახილა და შემდეგ ისევ დახუჭა და
 ცალი ხელი გულზე მოწყვეტით დაისვენა.

იგი გრძნობაზე მოდიოდა...

ანდრო კი გაყუჩებული, დამფრთხალ ნადირივით აცახცახებული, თვალყურს
 ადევნებდა შვილს, რომელიც ნელ-ნელა სუნთქავდა და ძლიერი, არა ბავშვური
 მკერდი ხან აღიოდა და ხან დადიოდა, მერე უეცრად ძილში სიზმრით შემინებუ-
 ლივით შეკრთა და ნახევრად წამოიწია, თვალები აქეთ-იქით ნაცემ ძალღივით სხ-
 ცოდავად მოაველო, მერე ლოგინთან წელმოწყვეტით კენესით მიბოლღდა, ჩაეგ-
 დო შიგ და საშინელი, გულის გამგმირავი ქვითინი დაიწყო. ზმუოდა იგი დაჭრილ
 ნადირივით, საცოდავად, გულის დამღევად და მის ცრემლებისაგან, თითქოს ჯო-
 ჯოები ქვირითდებოდნენ და დატანტალობდნენ რუხი, ტიტველი და უშნო სხეუ-
 ლებით კედლებზე, იატაკზე, მაგიდაზე, ყველგან და ყველაფერში.

ანდრო შემფოთდა, ბარდლას მღუღარებამ მასაც ცრემლები მოჰგვარა თვა-
 ლებზე და გული სინანულით შეეკუმშა, ყელში ბოღმა მოაწვა და ჰგრძნობდა:
 რომ ეს ბოღმა საშინელ და მწველ სიტყბოთი უნდა გადმოხეთქილიყო მის გუ-
 ლიდან, რომელიც უსივდებოდა.

ანდრომ მეტი ვერ შესძლო და მოწყვეტით დაეცა თავის ნაცემ, იდიოტ
 შვილთან და მანაც შემზარავი, აცახცახებული, დაწეწილი ქვითინი დაიწყო.

ქვითინებდნენ ორივე, სტიროდნენ მოსვენებაზე, რომელიც მათმა სულმა
 ვერ ჰპოვა ვერაფერში.

ელექტრონი კი ისევ სისხლნაკლებ სინათლით ანათებდა. სიჩუმე იყო სამა-
 რისებური და ფანჯრებზე ჩამოფენილი მძიმე ფარდები თითქოს უფრო აიდუმბ-
 ლებდნენ, ხაზს უსვამდნენ ამ მყუდროებას და მხოლოდ ამ ორ ადამიანის ცეცხ-
 ლივით მწველი და ცხელი ქვითინი გაისმოდა ოთახში მკაფიოდ.

ჰქვითინებდნენ 'მამა-შვილნი და ის ზიზღი და სხვაობა მათ შუა სადღაც იკარგებოდა, ღნებოდა და ისე სასიამოვნო ზღებოდა ეს ქვითინი, როგორც თავდავიწყებულ შეყვარებულთა ტკბილი და სათუთი ალერსი. მათ თითქოს უყვარდებოდათ ერთი მეორე, მათ შორის რაღაც ინტიმური, იღუმალის, მოსიყვარულე და საერთო ძაფი იბმებოდა და ამ ძაფით დაკავშირებულნი ერთი მეორეზე საოცარს სინაზესა და სიამეს განიცდიდნენ. ანდროს განუსაზღვრელად უყვარდა ამ წუთში ბარდლა, ქვეყანას ერჩია და გულში ჩაკრული ჰქვითინებდნენ საშინელ წარსულზე მონანიების ცრემლებით, გულის გამგმირავად... რა უყოთ მერე, ბარდლა რომ იდიოტია. უწინარეს ყოვლისა იგი შვილია მისი, სისხლი და ხორცი. და აი მას უყვარს თავისი პირმშო, იგია მისთვის ყველაფერი. განგებამ მისთვის მხოლოდ ეს გაიმეტა და ისიც კმაყოფილია, რადგან მას სხვა არაფერი გააჩნია ამაზე უკეთესი. განა ის ლილიმ არ ჰშობა?.. ლილის არ უყვარდა?.. და ამის შემდეგ განა აქვს ანდროს უფლება სძაგდეს იგი, ეზიზღებოდეს!.. არა, ბარდა მისი შვილია, მისი საყვარელი პირმშო, იგი მას ვერავისში ვასცვლის, მას გატაცებით უყვარს იგი, ვერავის დაუთმობს!.. და იგი ეხვეოდა ბარდლას, ეალერსებოდა და თან ჰქვითინებდა ჯოჯოხეთურად...

სიჩუმე კი ისევ იღუმალობდა და ამ იღუმალობას კიდევ უფრო ასაიდუმლოვებდა კედლის საათის ერთფეროვანი და გულის გამაწყალებელი კაკუნი.

ზევით სართულში ვილაცის ფეხის ხმა მოისმა. ალბად შეწუხდა ვილაც ზევით ამ საშინელ ცრემლებით, ლოგინში ვერ მოისვენა და აი იგი დადის რბილად ლამის ფოსტლით ფეხის ქუსლზე ტაში-ტუშით. აი ნაბიჯის ხმაც შეჩერდა...

მიწყდა...

და უეცრად როიალის პირველი აკკორდი აკრიალოხნდა, კლავიშები არაკრაკდნენ და როიალის წკრიალა და ნაზი ხმა გამოიკვერა სამარისებურ, მაგრამ ოთახის ჯოჯოხეთურ მყუდროებაში და ამ ხმებმა ნაზი ალერსიანი როინი დაიწყეს ოთახში, ეალერსებოდნენ ყველაფერს...

ბარდლა შეკრთა...

თვალები საშინლად დაჰკაკლა, მამას მკლავებიდან გამოუძვრა, ლოგინზე ფაფარ-აყრილი, აკაპასებული გველივით წამოიძაბა და ხარდამცემი გამოხედვით ერთ დონეზე საოცარი იღუმალ ყურადღებით გაიყინა, თითქოს დედამიწიდან მიცვალბებულთა ჯოჯოხეთურ ლაღადისს ისმენსო.

ანდრო წამოიწია და შეშინებულ, ცრემლებით გაბრწყინებულ თვალებით მიაჩერდა ბარდლას საბედისწერო მოლოდინით.

კიდევ განმეორდა აკკორდის უკანასკნელი ნოტების სულის დაღვევა და მას

გამაწამებელი ნახი, ნაღვლიანი მუსიკა მოჰყვა, რომელსაც ლილი უკრავდა ხოლმე თავის სიცოცხლეში და რომელიც ისე გატაცებით უყვარდა ანდროს.

ბარდლა ჩასაფრებულ ავაზაკივით გაძაბული, შემაშინებელ ონავრობით ფრთხილად, მთვარეულივით საშინელ იღუმალობით ლოგინიდან ჩამოცოცდა და გაჩერდა, გაიყინა, მერე ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგლის და შემზარავ ზმუილით მივარდა კარებს და მაგრად, მჭიდროდ შიაწვა, თითქოს ვილაც საშინელს აკავებდა, არ უშვებდა ოთახში, მაგრამ მუსიკა მკაფიოდ ისმოდა, როკავდა ოთახში, ფერხულობდა ნახად და გამაწამებლად.

ბარდლა მოსწყდა კარებს და გაფაციცებით, უშნო ღმუილით მივარდა ფანჯრებს, დარაბებს მიაწვა და მერე ისევ მიუგდო ყური, — მუსიკა მაინც ისმოდა, მაინც ჰქვითინებდა კლავიშებით ასულდგმულვებული.

ჰკენესოდა მუსიკა, ჰქვითინებდა, ნახობდა, კოპწიაობდა და როკავდა ნახ ნებვირობით ოთახში, ცეკვავდა...

უგდო ყური ბარდლამ სულიერი ტკივილებით დაპრანქულ სახით, უსმინა, მერე უეცრად მოშორდა ფანჯარას, შუა ოთახში გაიყინა და ყურები თითით დაიკვა და თვალების საზარელი ბრიალით გაყუჩდა, მაგრამ მუსიკა მაინც ისმოდა, ვერ დაადრჩო ამ იდიოტმა მუსიკა ოთახში, ვერ შესძლო, ვერ გააძევა თავისი უზრობით... ცეკვავდნენ ხმები, წკრილობდნენ და გახელებული, გააფთრებული, დორბლ-მორეული იდიოტი დასდევდა ამ ხმებს და ხელს ისე იქნევდა, თითქო ბუზებს იჭერსო და ვერ ატყვევებდა, ვერ ჰკლავდა იგი მუსიკას და კიდევ უფრო გააფთრებული, ანთებული დასდევდა იგი, ხელებს ასაგსავებდა, ღმუოდა... და საშინელება დასადგურდა ანდროს ოთახში: საშინელება და მუსიკა... მუსიკა და იდიოტიზმი...

მერე დაღლილი შეჩერდა საშინელი მოკმუნხილი თვალებით კუმტად და განაბული ყურს უგდებდა მუსიკას, ყურს უგდებდა... უეცრად იგი დაქრილი ნადირივით ჰაერში შეხტა და იატაკზე განართხული აქვითინდა, მაჯებს იკბენდა, ტანისამოსს იგლეჯდა სხეულზე და ჰღმუოდა საზარლად.

ანდრო კი იღვა თავზარდაცემული, დამუნჯებული, საძრაობა დაკარგული და უცქეროდა ამ ჯოჯოხეთურ სურათს და მან იგრძნო, რომ თმებში სითეთრე სიცივიტ იჭრებოდა და თავის ქალა ეყინებოდა, სხეულზე ბუსუსები შეციებულად ლურჯად წამოიშალნენ...

მუსიკა კი ისევ ჰქვითინებდა, ისევ ჰკენესოდა.

ანდრომ უცქირა, უცქირა და შემდეგ განწირული ხმით მიაკივლა:

— რა იყო ბარდლა?..

ბარდლა შეკრთა.

— უუუ!...— დაიღმუვლა მან და კიდევ უფრო ააბრიალა თავისი ჯოჯოხეთური მკვახე ხილივით მწვანე თვალები და წინ გაწვდილი, ყურებამდე ახეული ყბა აუკანკალდა...

— უუუ!... უუუ!...— ზმუოდა იგი.

— ბარდლა!...— მიაძახა კიდევ ანდრომ.

ბარდლამ, თითქოს ეხლა შეიგნო ამ სახელის საშინელი შინაარსი, აფუსფუსდა, მერე ფეხზე წამოიჭრა და გაიქცა, სკამს წამოედო, — წაიქცა და ოთახის მეორე მხარეს გაჩერდა და ბარდამცემ თვალების ცეცება დაიწყო აცახცახებულმა.

მუსიკა კი ისევ ჰქვითინებდა, ისევ სტიროდა.

ლილის როიალიც, რომელიც იქვე კუთხეში იდგა შეთანხმებულ უცხო ხმებით თრთოლდებოდა საპასუხოდ და ნაზი იღუმალობა გამეფდა მუსიკისა.

უეცრად ბარდლამ საშინლად გულის გამგმირავი ცივი ხმით დაიკვილა და თავგასრესილ გველის წიწილივით დაიწყო იატაკზე ფართხალი, დორბლ მორეულმა მანკვით, ბნედა დაცემულმა.

ანდრომ მეტის ატანა ვერ შესძლო და იქვე სავარძელში ჩაემხო, თავი ხელებში ჩარგო და გულ-ამოსკვნილი კვითინი დაიწყო.

მუსიკა კი ჰკვნესოდა, ჰქვითინებდა...

ჰკვნესოდა ლილის როიალიც შეთანხმებულ ხმებით აჟრჟოლებული, ჰკვნესოდა...

VI

როიალის ხმა კარგა ხანია რაც მიწყდა.

ოთახში სიჩუმე იყო სამარისებური და ღამის სანათი მკრთალად იბჟუტებოდა. ბარდლას ეძინა და თავისი მოქანცული მკერდით ღრმად სუნთქავდა და ხანდა-ხან რაღაცა გაუგებარს თავის საკუთარ ენაზე წამოაბოდებდა ხოლმე.

ანდროც იწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა და არ იცოდა რა ექნა. თვალები ხესავით გაშეშებოდა. ლოგინში მოუსვენრად ტრიალებდა, ხან ერთ გვერდზე დაწვებოდა.— უხერხული ეჩვენებოდა, მეორეზე გადაბრუნდებოდა ესეც უხერხული იყო, ხან ზურგზე, ხან ყურთბალიშს გაისწორებდა, მაგრამ ვერ ისვენებდა... ვერ ისვენებდა... აისორი, ბარდლა, სირაჯხანა, სოსანა, ნუშო, ლილი, ქორია ჯიბგირი, ყველაფერი ერთი მეორეში აარბ და გასაოცარ ჯადოქრულ იღუმალობით ჟრჟოლავდა მის გონებაში ფიქრის სისხლ-ნაკლებ სახეებით.

ოთახში ლანდები და მიცვალებულნი დაბორგავდნენ და იგი რამდენჯერმე წამოიწია და ფანჯარაზე ჩამოფენილ ფარდას მიაჩერდა თავზარდაცემული, თითქოს იქ ვიღაც ჩაცუცქულიყო ფარდის ფოჩვიან ნაოქებში მაიმუნის ლეკვივით მომუშტული და იცინოდა იგი გესლიანად, იცინოდა, დასცინოდა ანდროს...

ანდრო დამფრთხალ სახით, ყალყზე წამოწეულ თმებით დააკვირდა ამ საშინელ მოლანდებს და, როდესაც მაიმუნის ლეკვის მაგივრად მან ფარდის წელის ასაკრავი მძიმე ფოჩვიანი თოკი გაარჩია, დამშვიდებულმა გაიღიმა და ისევ მიწვა, წუთით გავინაბა, სულთქმა შეიკრა, თითქოს ის აბეზარი ფიქრები, რომელნიც მას მოსვენებას არ აძლევდნენ კბილით ჰყავდა შებოქვილი და ჩაღრჩობას უპირებდა სულის უბეში, მაგრამ ისინი მოუსვენარ ბუზებივით მაინც გარს ეხვეოდნენ, საშინელ მოთმინებიდან გამოძყვან სიჯიუტით და ძილს უფრთხობდნენ.

ყველის საათი კი ერთფეროვნად კაკუნობდა და ოთახის ლანდებს ფრთას ასხამდა თავისი ძღუმალი ერთხმოვანი ხმაურობით. უზარმაზარი, მაღალი შუა გადაბზარული ძველებური, სარკე, რომელშიც ბარდლას ისე უყვარდა მანქვა, მდორე წყალივით ამღვრეულიყო და შიგ ღამის სანათი მკრთალი ბჟუტვით იმქრქალებოდა.

ანდრო ცნობილი, ნიჭიერი მწერალია, დიად, ცნობილი!.. მას ყველა იცნობს, თვით სირაჯხანაშიც იხსენიება მისი სახელი, იგი ერთი საუკეთესო მწერალთაგანია ახალგაზდა საქართველოსი და თუ დღეს არ იცნობენ ასეთად, სცნობდნენ მას, ბარდლას მის სულში მოვლინებამდე, რომელმაც ყოველგვარი გაქანება შეშბოქა მასში და საშინელ მუხრუჭად, გაწრო ფეხსაცმელივით შემოეჭირა მის სულს.

მან საუკეთესო ნიმუშები შესძინა ქართულ კაზმულ მწერლობას და მისი სახელი გაუკვდავდა, მის სახელს ყველგან მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებდნენ.

და აი ეს ცნობილი, ნიჭიერი მწერალი მასალად გამოიყენეს უნიჭო, ტვინდამთხვეულმა ფელეტონისტებმა და მისი წყალობით, მისი ლანძღვით ოდნავ გამოჩნდნენ საზოგადოების თვალში.

და აი ეს ცნობილი მწერალი დღეს ვიღაც ტვინდამთხვეულ აისორთან ერთად თავისი დაცემით თვრება, მაგრამ რა უშავს, დაეცეს, ჟურნალისტები მოგებაზე თუ არა თავნზე მაინც არიან, ხე-ხე!..

ეხლა ფელეტონებს დიდი ნიჭის დაცემაზე ააყბებდნენ და შეატყობინებენ ამ ამბავს ქვეყანას.

გაზეთის ნომრები კორიკანა დედაკაცებივით დაიწყებენ სუნსულსა და ჩურ-

ჩუღს კლუბებში, სამკითხველოებში, რედაქციებში, კულუარებში და თეატრებში, რომ ცნობილი მწერალი ანდრო სავანელი დაეცა, რომ იგი დღეს ვერაფერსა სწერს, რომ იგი ამოშრა და ყურადღებას არ მიაქცევს; მათ ამისთვის არა სცალიათ, არ სცხელათ თუ რა საშინელი იდიოტი უდარაჯებს მის აღმაფრენას ბარდღას სახით. და აი ეს ფელეტონები დაიწყებენ ტანტალს ხალხში, ხან ერთს ჩაუღაპარაკებენ ამ დიდ ამბავს საპატიო კილოთი; ზვიად სიღინჯითა და საიდუმლოებით, მრავალმნიშვნელოვნად და თითქოს ნიშნის მოგებითაც, ხან მეორეს, მესამეს და ასე დაუსრულებლად!..

ხა!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. რა სისულელეა ეს გაზეთები!.. ვინ მოიგონა ნეტავი; ამბობენ: გაზეთი იტალიური სიკვავაო, სირცხვილი შენ, იტალიავ, სირცხვილი, ჯუხუბე გარბალდის, დანტეს, რაფაელისა და სხვა დიდებულ პირთა სამშობლოს არ შეჭფერის ესეთ ქორიკანის ნათლიობა!.. ხო-ხო!..

პრესა ინტელიგენციის ქორის გუდაა, სხვა არაფერი და მოცვივა იქიდან მტვერივით ცარიელი ფქვილის ტომარით ქორის მტვერი, იბღღვირება, აწუხებს ყველაფერს და შიგ კი არაფერია, ცარიელი!.. ასეთია პრესა, ასეთია გაზეთი, ხა!.. ხა!.. ხა!.. და განა ღირს მისთვის ყურადღების მიქცევა?.. განა ის ამის ღირსია?.. არა ღმერთმანი!.. ის აქამდის არ დაეცემა!.. აქ საშინელი და ზარღამცემი მხოლოდ ბარღდა... არა აისორი... აისორი თუ ბარღდა, რომელი უფრო საშინელია?!.. ორივე საშინელი არიან, ორივე განუყრღად არიან დასადგურებულნი მის წამებულ სულში და ასეთი საშინელება, ასეთი საზარღელობა, ასეთი წამება მხოლოდ ციურ ინკვიზიციას თუ შეეძღო მოვეღინა მისთვის და აქ გამიღტონის, დანტონის, თუ ვიღაცის, სულ ერთია, თუნდაც მიღტონის, თუ მეღღანხტონის ორღენის ინკვიზიცია მკრთალღება, ფერსა ჰკარღავს და თავშესაქცევ, გულღბრყვიღო თამაშობასა ჰღავს!..

რა უნღა მერე ბარღღას ანღროსაღან, რისთვის მოვეღინა იგი მას, რა ჯანაბა უნღა მისღან, დატეულიყო თავისთვის დასაბადღებღოთა ქვეყანაში თავის ცისფერ სამოსელითა და შეშღიღ თვალღებით!..

უეცრად კარი ნღლა შემოიღო და შავ კაბიუშონით შებუღნიღი ღიპიანი კაბუცინი მიღტონი შემობრღანღა ოქროს ჯვრით მუცელღზე, მას იეზუიტი დანტონი შემოჰყვა გრღველ ანაფორიუ, იეზუიტს ინკვიზიტორი გამიღტონი, გამიღტონს ღეღატი მეღღანხტორი!..

შემოვიღნენ ისინი წყნარად, იღუმალ ფეხაკრეფით შავი ყორღებივით და ანღროს საწოღს მიუახლოვღნენ.

ანღროს სისხღი გაეყინა სხეულში.

— ნებითა ღვთისათა გიახელით დიდებულო პაპა პიო პიპინ პირველო, მე, მართლმორწმუნე კაპუცინი მილტონი კონკლავსა შინა კარდინალთა კონკორდატისა გამო!..—სთქვა პირველმა რაღაც გაუგებარი სიტყვების რატრატით, ბოდვასავე და პირჯვარის გადასახვით ეამბორა მის ბალიშზე გადასვენებულ ხელს.

— ნებითა ღვთისათა გიახელით დიდებულო პაპა პიო პიპინ პირველო, მე, რჯულის დამცველი იეზუიტი დანტონი კარდინალთა კონკლავსა შინა კონკორდატისა გამო!..—სთქვა მეორემაც რაღაც გაზეპირებული სულელური ფრაზა და ისიც პირველივეთ ეამბორა მის ხელს.

— ნებითა ღვთისათა გიახელით დიდებულო პაპა პიო პიპინ პირველო, მე სიმართლისა და სიყვარულის განმამტკიცებელი ინკვიზიტორი გამილტონი კარდინალთა კონკლავსა შინა კონკორდატისა გამო!..—და ისიც ისე ეამბორა მას ხელზე.

— ნებითა ღვთისათა გიახელით დიდებულო პაპა პიო პიპინ პირველო, მე, ინკვიზიციის ორდენის შემქმნელი ლევატი მელანხტონი კარდინალთა კონკლავსა შინა კონკორდატისა გამო!..—და ისიც ისევე ეამბორა მის ხელს, როგორც სხვები.

ანდროს ძარღვებში სისხლი გაეყინა, იგი დამუნჯებული უცქეროდა ამ შავსა და საშინელ ხალხს, რომელიც მის ლოგინს ირგვლივ შემოაჯვდნენ, თითქოს წესის ასაგებად და მას შიშის ზარით შეაცივა.

და იგი ჰფიქრობდა, ჰფიქრობდა ცხადლივ იყო ყოველივე ეს თუ სიზმარი, მაგრამ იგი აზროვნებდა, მაშასადამე ყველაფერი ეს საშინელი სიცხადე იყო.

— Coqito,—erqo sunt!..—დაიძახა მან ამაყად ხმა მალლა.

მის ირგვლივ დარაზმულმა ყვავებმა თავები საბედისწერო მოწიწებით ერთად ერთნაირად, თითქოს განგებ დაჰხარეს და გაჩერდნენ.

უეცრად მის წინ სკამზე ვიღაც დაკონკილი შეირხა, ყვავებმა იქითკენ მიიხედეს და მოწიწებით კიდევ უფრო დაჰხარეს მდაბლად თავი საშინელი და საბედისწერო იდუმალობით. ანაზდად ეს დაკონკილ ტანისამოსში ჩაცმული ეღვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს და საშინელი კვილით, მიმინოსავით დაასკდა ანდროს და ყელში ხელი წაუჭირა და აღრჩობდა ანდროს, აღრჩობდა, ყვავები კი რაღაც საშინელ requiem aethernam-სა ჰგალობდნენ საქადაგო ბანებით, საღდაც საეკლესიო ორგანის ხმაც მოისმა და ანდროს ბედიც გადაწყდა...

და აი უეცრად იგი სასაფლაოზე გაჩნდა და წევს იგი მიცვალებული სხვა მიცვალებულთა გვერდით, მთლად ცივი აბალღამებულ წყალნარევ მკვდარ სისხლით სხეულში...

გალობა კი ისევ გაისმის, გალობა მიცვალებულის საშინელ უხმო ვედრებასავით, რომელიც სამარისებურ ნოტიო ფუსფუსით შენდობას ითხოვს:

— Reguem aethernam dona mea ei, Domine!..

ლოცულობდა, ქვითინებდა ორგანიც საშინელ ბნელ და ნალვლიანი რაკრაკით და ირყეოდა ყოველივე ამ ლოცვით.

სასაფლაოა მთლად დაბნელებული... ბნელი კიპარისები კოპჩია ქვრივებით აწანწალებულ, უბინაო ქარიშხალით წელში მიწამდისან იზნიქებოდნენ და გონების დამაბნელებელი ზუზუნი და სტვენა გაჰქონდათ.

ქარი ხან საფლავის მოაჯირის რიკულებში აქვითინდებოდა გაყინულ ლეკვით წკმუტუნით და ხან ჯვრების ჩუქურთმებში...

ცაში აზიდულ გოტიურ ბნელ კოსტელის ფანჯრებში სანთელი ბრმა თვალის გუგასავით იბუტებოდა და თეთრი ზეწრები დაწეწილ სულელებით დაფრიალობდნენ. უეცრად ზეწრები შიშველ სხეულებად გადაქცნენ და ცეკვავდნენ ეს გაძვალტყავებული სხეულები, ჰკიოდნენ გიჟურად, სადღაც ფაფარ აყრილ რაშების ჭიხვინიც მოისმა და დაყარყუმდა ყოველივე...

ანდრო კი წევს ამ საფლავებში და ის დაკონკილი, საშინელი ვილაცა ხელს უჭერს ყელში, აღრჩობს და ყვავები ჰგალობენ ბნელად თავისი საქადაგო ბანებით, ჰგალობენ... უნდა გაბრძოლებს, მაგრამ სისხლი წყალივით უდგას სხეულში და საძრაობა, გაბრძოლების უნარი დაჰკარგვია, მაგრამ მან მაინც მოიკრიფა უკანასკნელი ძალღონე და ძლიერი ძალდატანებით ძლივს გაინძრა და ფეხზე წამოიჭრა ქირის ოფლ დასნმული... დაკონკილი უეცრად მოსწყდა და ისევ თავის სკამზე დაეშვა, ყვავებიც გაჰქრნენ, ორგანიც დადუმდა...

ანდრო სკამს მივარდა, დაჰხედა და დაკონკილ საშინელ კაცის მაგივრად მისი ტანისამოსი ეწყო.

ბარდლას ეძინა და ღრმად ჰსუნთქავდა.

ანდრომ საათს დაჰხედა, 8 საათი იყო, შერე დარაბები გააღო და ოთახში ზამთრის ცივი ნოტიო წყლის ფერი სინათლე შემოიჭრა.

ანდრო საშინელ მტვრევასა ჰგრძნობდა სხეულში და თვალების ფშვინეტა დაიწყო.

ოჰ, რა საშინელი სიზმარი იყო!.. რა უნდა ამ საშინელ ხალხს, რა, რომ ვერ გაუგია, რად არ აძლევენ წუთით მოსვენებას, რა უნდათ მისგან?..

მან ფანჯარაში გადიხედა. ქუჩაში დილის ყინვა იყო. მობუზული მუშები ქარხანაში მიეჩქარებოდნენ. მოახლეები კალათებით სანოვავისთვის მალაზიებში მიფუსფუსებდნენ. ეტლის კოფოზე შემსხდარი მეეტლები თავიან დაუძინებელ მკერს

მხლიციონერს მხიარულად ემუსაიფებოდნენ. სისხამი დილა ყველაზე დამამშვიდებლად მოქმედობდა.

ანდროს სულ მხოლოდ მიავიწყდა ყოველივე, გახურებული შუბლი დაორთქლილ ფანჯარას მიადო და ისე იყო მილულული. მის გულში რაღაც სიამე იყო დასადგურებული, მერე ფანჯარას მოშორდა და ზევით მინას მიაჩერდა, სადაც ყინვას ორთქლი ლამაზ არშიებად მიეყინა და ნაძვის ტყის პეიზაჟს მოაგონებდა. და ამ სურათმა მასში ახალი სურათი გამოიწვია აგარაკ წალვერისა, სადაც დილისთან ერთად ბევრი საამო ზაფხული გაეტარებინა. და უეცრად მან გასაოცარი ენის იგრძნო, გული აუკანკალდა, გონება რაღაც დიადმა, შემოიღობა და გზა აუხვეველმა შეიპყრო. იგი დასწერს რამეს, დასწერს. ბარდლას სძინავს, ბარდლას სძინავს და იგი დასწერს დიდებულ პოემას, სიყვარულის დიდებას, არა იგი სულ ხვავს დასწერს, მის თვალ წინ საშინელი და წარმტაცი სცენა გადიშალა რევოლუციისა: საშინელი ქარიშხალი უბერავს, ბნელი დაყარყუმებული ღამეა და ქარიშხალი შემადრწოლებელ ღმუილითა და ზუზუნით ესრისება სამქედლოს კედლებს. ყვითელ ფოთოლებს ლაშქარი აბრეშუმის შლეთიფით შრიალებს. თვალ-ალმასა მგლებზე ამხედრებული კუდიანები საშინელ კივილითა და კისკასით დაჰქრიან, ჭიხვინობენ თმაგაშლილნი. კბილებ ჩაბდღვნილი და ნიკაპ დაგრძელებული როკაპი მალალ ბორცვზე ჰკივის და ბუქნავს გატაცებით და ხითხითებს, ხითხითებს...

სამქედლოში კი ბუზღუნა საბერველი იბერება; ქმინავს, ოხრავს... და სჯედავს მქედელი თავისი დაკორძებული ხელებით მძიმე გრდემლზე რკინის მომავალს ალისფერ აღტაცებით... და ანდრო სწერს, სწერს შემოიღობით შემოფოთებული, მისი კალამი ელვის სისწრაფით აჭრელებს, აფერადებს ამ შემოიღობას, მაგრამ რა ემართება ანდროს?.. იგი გაიყინა, თითქოს ვილაცა უშლის მას, აზრი ეყინება, გრძნობა ცივდება და მან სასოწარკვეთილმა თავი აიღო და—მის წინ საშინელი ბარდლა საწერ მაგიდაზე ნიკაპ ჩამოდებული მისჩერებია მას თავისი საშინელი ამღვრეული თვალებით და ანდრო თითქოს იღუპება... ტვინში რაღაცამ საშინელი ტკივილით გაჰკაწრა და, თითქოს ქურდობაში მოასწრესო კალამი ხელიდან გააგდო და უკან მიაწყდა. ბარდლა კი ისევ ისე დგას და მის ბაგეებს საშინელი გესლიანი, მომწამლავი ღიმი ალბექდვია და შხამავს ანდრო საფანელს, სწამლავს.

— გამანებე თავი!.. — იკივლა მან საშინელი, არა ადამიანური ხმით და მუშტი მოჰკუმშა.

ბარდლა კი იცინის, იცინის, არ აშორებს თავის შხამიან, გამყინავ შემოხედვას.

— გამანებე თავი!..— დაიკვილა მან კიდევ და მისკენ მიიწია, რომ გაეგლიჯა იგი, გაესრისა მისთვის თავი გველის წიწილივით, მაგრამ ბარდლა შეირხა ისე ზანტად, როგორც შუადღის გვალვაში ანებივრებული მზმორავი გველი და ამ გულგრილობით შემფოთებული ანდრო საშინელ ქვითინით დაემხო შავს როიალზე და მდულარე ცრემლებით აქვითინდა...

VII

წვიმამ გადილო და აზამთრებულ ნესტიან ქუჩებში აუტანელი, სულის გამყინავი სიცივე იყო. და თითქოს ნოტიო საყასბოები და ჩანგლებზე ჩამოკიდებული ცივი ხორცები სინესტესა და ძვლის მომტეხ სიცივეს კიდევ უფრო აძლიერებდა.

ანდრო მილასლასებდა სახლში, მიდიოდა მოღლილი და მოაანცული მთელი დღის უმიზნოდ ნახეტიალევი.

უკვე ბინდებოდა.

კარგა ხნის შემდეგ იგი თავის უბანში მივიდა, ერთი შესახვევიც და იგი თავის ქუჩაზე გავა.

წინ, პატარა მოედანზე რუსის ჯარისკაცებს თავი მოუყრიათ.

რა უნდათ მათ, ისედაც თავი მოაბეზრეს ყველას თავისი ჩივილითა და ბაქსობით, რომ ისინი ოთხი წელიწადი პოზიციებზე ეწამებოდნენ. და ამ ჩივილმა მთლად დაუკარგა მათ პატივის ცემა. გააშიშვლეს ფრონტი და ეხლს სახლში მოედნიან გაველურებულნი, რომ თავისიანები მაინც კაიკლონ და ააოხრონ.

ვილაც ოფიცერს ეღავებიან.

ანდრო მიუახლოვდა.

ოფიცერი გამშრალი იდგა და სახეზე მიწის ფერი ედო. ნაცრის ფერ მაზარებში ჯარისკაცები შესცქეროდნენ რამდენიმე უფრო თამამ ამხანაგებს, რომელნიც ოფიცერს რაღაცას ეჩხუბებოდნენ და უცდიდნენ რაღაცას, უცდიდნენ თავშესაქცევ ამბავს.

— Сними погоны!..— ჰყვიროდა ერთი ჯარისკაცი გამხეცებული თვალებითა და სიამაყით, რომ მას ეღირსა უბრძანოს ოფიცერს; ოფიცერი ყურადღებას არ აქცევდა და რაღაცას დამამშვიდებლად ელაპარაკებოდა აღეოვებული და ფერშემკრთალი.

— Сними погоны, буржуй ты кровожадный!..— უმატა ხმას იმავე ჯარისკაცმა და ამხანაგები ნიშნის მოგებით, გაბოროტებული თვალებით შესცქეროდნენ საცოდავ ოფიცერს, რომელიც აშკარად ჰგრძნობდა თავის აღსასრულს.

— Чего тамъ еще разсуждать, бей его!..—წამოიძახა იქვე ვილაცამ მოწყენილი ბოხი ხმით.

— Бей его!.. бей!..—დაიყვირეს აქეთ-იქიდგან კიდევ ვილაცებმა.

ბრბო გასაფრდა და ყალყზე შედგა, მას სისხლის სუნი ეცა და საშინელი წყურვილი იგრძნო სისხლიან სანახაობისა.

ანდრო კი იდგა გამშრალი და უცქეროდა ამ ქერა გამხეცებულ ხალხს და იგრძნო, თუ როგორ მწიფდებოდა თვითგასამართლების საშინელება მის თვალწინ.

ოფიცერი კი იდგა ფერდაკრული, დამფრთხალი და სცდილობდა დინჯად ელაპარაკა. საოცარს და საშინელი იყო მისი მდგომარეობა. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ასე ძალადობით და სასირცხვოდ, ლაჩრულად აეჭრა პაგონები, არა და მის წინ სისხლიან თვალეზით, გამხეცებული, მაზარაში შეხვეული თვითგასამართლება იდგა თავისი საშინელებითა და ან თავმოყვარეობის გათახსირაბას მოითხოვდა მისგან, ან და სისხლს.

უეცრად ერთმა ახოვანმა ჯარისკაცთაგანმა მრისხანე სახით, უზრდელად, მუჯლუგუნის კერით გააპო გამხეცებული ბრბო მიიქრა ოფიცერთან უსიტყვოდ, მოუხეშავად და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუშტი ჩაარტყა სახეში.

ოფიცერი დაბარბაცდა და ხელის ჰაერში უმწეო სავსავით დაეცა.

ერთი წუთით ბრბო უკან მოაწყდა მერე იგრიალა და გარს შემოეხვივნენ უმწეო მსხვერპლს.

— Бей его, бей!..—გრიალობდა ბრბო და სცემდნენ უმწეო ოფიცერს სცემდნენ...

მაზარები შეხოხოლავდნენ, შეგროვდნენ, აფუსფუსდნენ, ყველა შუაში მიიწევდა, რომ ჩაეწიხლა საცოდავი მსხვერპლი...

არავითარი შებრალება, არავითარი ადამიანობა მათ სისხლიან თვალეზში არ გამოკრთოდა...

საშინელმა ყვირილმა, არევიანებამ მოიცვა მთელი ქუჩა, ყველა ერთი-მეორეში ირეოდა, ადამიანი ადამიანს ვერა სცნობდა.

წესრიგის დამცველნი სადღაც გაჰქრნენ...

ანდრო კი იდგა და უცქეროდა ამ საშინელ სურათს ფერდაკარგული, ზარდაცემული. უეცრად მან ვილაც ბავშვს მოჰკრა თვალი, მეზღვაურის ლურჯ ტანისამოსში, რომელიც ამ ბრბოში საშინელ ფუსფუსით ირეოდა.

ანდროს თვალთ დაუბნელდა... ღმერთო, ეს ხომ ბარდლა, ბარდლა—მისი შვილი, რა უნდა აქ ბარდლას, თუ მასაც სისხლი მოსწყურდა.

— ბარდლა!.. ბარდლა!.. — იკივლა მან, მაგრამ მისი კივილი ბრბოს გუგუნმა დაჰფარა.

უეცრად ვიღაც ნახევრად ტანისამოს შემოხეული კაცი, მთლად დასისხლიანებული აბობოქრებულ ხალხისაგან შეუმჩნევლად და საშინელი განწირული კივილით გამოძვრა და გაიქცა.

— მიშველეთ!.. მიშველეთ!.. — ჰკიოდა იგი სულშეტაცებული შეშლილ თვალებითა და ხელის უმწეო სავსავით და მირბოდა, მირბოდა. ბრბო კი ირეოდა და ყველა სცდილობდა შუაში მოქცეულიყო და ჩაეწიხლა მსხვერპლი. ოფიცერი კი მირბოდა. ბარდლამ თვალი მოჰკრა მას.

— უუუ!.. — დაიღმუვლა მან საშინელი თვალებით და აბობოქრებულ ბრბოს გაქცეულზე ანიშნა და მერე საზარელი ჯოჯოხეთური სირბილით, მთელი ტანის რხევით დაედევნა სიკვდილის კლანჭებიდან გამოსხლეტილ მსხვერპლს.

— Вонъ онъ, нѣжить!.. — იგუგუნა ბრბომ და ნიავით ატაცებულ ფოთლენივით დაედევნა ოფიცერს.

— Бей его, бей!.. — ჰგუგუნობდა ბრბო და მისდევდა ფეხ-და-ფეხ გაქცეულს.

ანდრო გარეტებული იღვა და უცქეროდა ყოველივე ამას, უცქეროდა და გონს ვერ მოსულიყო რა იყო ყოველივე ეს სიცხადე თუ შეშლილის ბოდვა. რა უნდა აქ ბარდლას, ვინ ჩამოაგდო იგი აქ, რამ შეათვისა იგი ამ საზარელ გამხეცებულს ბრბოს, იგი შეირყევა ჯერ კიდევ შეშლილი თუ არ არის, შეირყევა...

— ბარდლა!.. ბარდლა!.. — დაიკივლა მან საშინელი განწირული ხმით და თმა გაჩეჩილი დაედევნა ბრბოს.

ქუჩა მთლად დაცარიელდა, დუქნები და მაღაზიები დაკეტეს და ისეთი სასოწარმკვეთი სიცარიელე იყო გამეფებული, როგორც მიცვალებულთა მკვდარ ქალაქში.

ოფიცერი რომელიღაც სახლში დაიმალა. ეძებდნენ გამხეცებული ჯარის კაცნი, ეძებდნე.

— ცეცხლი!.. ცეცხლი მივცეთ სახლს და თავივით გამოვწვათ შიგ, თავივით!.. — დაიძახა რამდენიმე ჯარისკაცმა და იქვე თავლიდან თივა გამოიტანეს, ყველას მოჰქონდა თითო სამკლავე თივა და მისცეს ცეცხლი სახლს და აბრიალდა იგი საშინელ ტკრციალით, აპარპალდა. ნაპერწკლები დაღლილ ძაღლის ენებივით სცივოდნენ ზევით. თითქოს დედოფლის ოქროს გვირგვინს ძვირფასი ლალის ქვები სცივოდა და მისი ვერცხლის ევენები წკრიალობდნენ.

ცეცხლი მთლად მოედო სახლს, შიგ მცხოვრები ხალხი ჰყრიდნენ ავეჯს, ვარეთ, აირია ყველაფერი, შეშლილ დედებს აკვნიანი ბავშვები გამოჰქონდად შე-

შლილ თვლებით. თავლაში მომწყვდევულ ცხენებმა ზარდამცემი კიხინი დაიწყეს, ცეცხლ მოდებული ვირთაგვები საშინელ წრიპინით გამორბოდნენ თავიანთ სოროებიდან, თავლიდან და სარდაფებიდან. ცეცხლი გუგუნობდა მეფური სიდიადით.

ანდრო კი იღვა და უცქეროდა საშინელ რღვევის სურათს. ბარდლა თვალით-ხედვიდან დაეკარგა.

— რაში მოდის, რაში!.. — იგრილა ბრბომ და საშინელი, საზიზღარი ღრიალით, მოწყვეტილ ნიაღვარივით დაეშენნენ ქუჩაზე და გაიფანტნენ.

სახლი კი იწვოდა და ტკრციალებდა, კისკასობდა ალი და ეალერსებოდა სახლის კედლებს, ელამუნებოდა.

რაშიც მოვიდა, და მაშინვე შეუდგა შუშაობას. ასხამდნენ წყალს, გამოჰქონდათ ცეცხლ მოდებული ნამორები და თავხეები.

ანდრო კი იღვა და უცქეროდა, გაფაციცებით ეძებდა ბარდლას და უეცრად თვალი მოჰკრა მას. იგი დარბოდა აქეთ-იქით საშინელ შფშლილ ფუსფუსით, ხტოდა, მაიმუნის ლეკვივით მალაყს გადადიოდა და ჰყრიდა უკანვე რაზმის მიერ გამოტანილ შეშებს, ცეცხლს უკეთებდა, უზრავდა. ხან გაჩერდებოდა, ცეცხლს ხელებს მიუცხუნებდა გასათბობად და მერე ხელების ფშენებით ხტოდა, იცინოდა და ღმუოდა იდიოტური, კკუის დამაბნელებელ ღმუილით.

— ბარდლა!.. ბარდლა!.. — იკივლა მან და გულშეწუხებული ვილაცის ხელზე გადაესვენა...

VIII

ანდრო სამი დღის განმავლობაში უგონოდ ეგდო ლოგინში. ლამაზი თავი ბალიშზე უძლოურად გადმოეკიდა და მისი გრძელი ლამაზი თმები შავ ნალველივით დაფრქვეულიყო ბალიშის თეთრ პირზე.

მყუდროება იყო სამარისებური, იდუმალი და ოდნავი ხმაურობა განსაკუთრებული მახვილობით გაისმოდა ამ სიწყნარეში და ვერცხლივით წკრიალობდა. მხოლოდ საათის ერთფეროვანი ხმაურობა არღვევდა ამ მყუდროებას.

ანდრომ თვალები გაახილა, მაგრამ სინათლეს ვერ გაუძლო და ისევ დახუჭა. ტანში რალაც ტკბილ ჟრუანტელსა ჰგრძნობდა და მთლად მიიბნადა.

ცოტა ხანს შემდეგ მან თვალები ისევ გაახილა. თავის ოთახში იწვა. ტკბილ ჟრუანტელთან ერთად ტანში რალაც მოსხლეტილ სისუსტესა და მტვრევასა ჰგრძნობდა. მან ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და მის წინ ბარდლა დაინახა, რომელიც საწერ მაგიდაზე იჯდა მაკრატლით ხელში და მას შესცქეროდა.

ბარდლა საწერ მაგიდიდან საშინელ მახინჯ ფუსფუსით ჩამოუცოცდა, მიიჭრა მის ლოგინთან და საშინელი სიხარულის გამომხატველ თვალებით... ანდროს თვალთ ღაუბნელდა და ყველაფერი გაჰჭრა... იგი ბურანში შეცურდა და ჰგრძობდა ყოველივეს, უცქეროდა, ყველაფერს ანგარიშს უწევდა, მაგრამ განძრევის თავი არ ჰქონდა.

მისი სხეული მოკვდა, გაიყინა და იწვა იგი ასე,—გაბრუებული. უეცრად მან თვალი მოჰჭრა, რომ ოთახის კარები შემოიღო და ის საშინელი ტვინდამთხვეული, დამბლა დაცემული აისორი შემოვიდა მის ოთახში იღუმალ დამაფრთხობელ ფეხ აკრეფით.

შემოვიდა იგი უშნო, სულ პატარა, ბარდლას ღიმილით შეჰხედა და მერე ანდროს დაუწყაო ცქერა დამცინავად გესლიან ღიმილით. ანდროს უნდოდა ყელში სცემოდა ამ აისორს, მაგრამ მას ეძინა, არ შეეძლო... ერთი პირობა სცადა წამოწევა, მაგრამ ვერ შესძლო.

მის პიროვნებაში საშინელი და სასტიკი გაორება მოხდა, მისი პიროვნება საოცარ ბილიკად გადაიქცა, რომელზედაც ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ სიცხადე და სიზმარი, აზრი და ბოდვა იღუმალ როკვით.

მერე მან დაინახა რომ აისორმა ბარდლას რალაც ანიშნა, ბარდლა მაშინვე სამზარეულოში გაიჭრა, იქიდან დიდი სანავეთე ძლივს შემოათრია და მერე აისორის დახმარებით დაუწყეს ანდროს ნავთის მოსხმა, მისი საბანი და სხეული გაიკონა ნავთის ცივი სისველით.

ბარდლამ იქვე საწერ მაგიდაზე დაგდებულ წუქწუმას გაჰჭრა და მისცა მის ქვეშაგებს. ანდროს უნდა იყვიროს, მაგრამ არ შეუძლია ყელი ეკეტება... და უცქეროდა იგი, ამ საშინელებას, უმწეო...

ალი ჯერ ნელა შემოეალერსა საბნის ყურს, მერე ნელ-ნელა გაიწია და უეცრად საშინელი ცეცხლი ავარდა, მოედო ანდროს, მოეხვია თავისი მწველი სხეულით და ეალერსებოდა, ჰკოცნიდა მას საშინელი ალურ ალერსით.

ანდრომ საშინელი გაბრძოლების შემდეგ ძლივს დაიკვილა და ფეხზე წამოიჭრა, ალი კიდევ უფრო მოედო და იგი საშინელ დამწვრის ტკივილით, რომელსაც სული ყელში ამოაქვს გაიჭრა გარეთ. ბარდლამ საშინლად დაიღმუვლა და დაედევნა მას მხეცური წივილითა და აღტაცებით.

შწვადისა და დამწვარი რქის სინი ავარდა ყველგან.

აისორი კი იდგა და იცინოდა, იცინოდა გესლიანად, იცინოდა...

მირბოდა ანდრო, მირბოდა ცოცხალი ცეცხლი და მისდევდა უკან მახინჯი, იდიოტი ბარდლა, შვილი ამ ცეცხლისა, ნაყოფი ალმურისა.

მთელი ბაზარი გარეთ გამოეფინა და მისდევდნენ ამ ცეცხლს, რომ ჩაექროთ იგი, მისდევდნენ, მაგრამ ცეცხლი კიდევ უფრო პარპალობდა, ენთებოდა და გაურბოდა ამ ხალხს, გაურბოდა...

ბარდა კი მისდევდა, მისდევდა ალტაცებული, საშინელი მანქვით, მთელი ტანის უშნო რხევით, ხელებ გაწვდილი, მისდევდა, უნდოდა დაეჭირა იგი, შეეპყრო ცეცხლი, რომელიც მის წინ ლამაზად მიფრიალობდა და ცეცხლის ნაკვალევს სტოვებდა გზაში, მას უნდოდა ჩაეკრა იგი გულში, მაგრამ ცეცხლი გაურბოდა მას, უსხლტებოდა ხელში და მიფრიალობდა წინ აღისფერ ლამაზ დროშასავით.

უეცრად ბარდლამ შესახვევში შეუხვია, ცეცხლს თავი დაუსწრო, გაშალა ხელები შუა ქუჩაში და მისკენ გამოქანებული დაბრმავებული, გახელებული ტარტაროსის აღისფერ ენასავით მოპარპაღე ცეცხლი გულში ჩაიხვია...

მოისმა საშინელი წივილი ბარდლასი და ორივე, მამაშვილნი საშინელ ძალით დაეცნენ მიწაზე და სანამ ბაზრის ხალხი მოუსწრებდა ისინი უკვე დაფერფლილნი ეწყვნენ ჩახუტებულნი მიწაზე...

დედა ქალაქი
1919 წ., შემოდგომა.



ੴ ਸਤਿ ਨਾਮੁ ਕਰਤਾ

ივ. გომართელი

გასული წლის სიტყვაკაზმული მწერლობა

რევოლიუციის თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის ანგრევს ძველ ურთიერთობას ცხოვრებაში და მის ალაგას ამყარებს ახალს. ვინც რევოლიუციას წიგნითა სწავლობს, მას წარმოდგენილი აქვს ეს დამყარება ასე: რევოლიუციის მეორე დღესვე დაიწყება ახალი წყობილების შენება. ტანჯული და ჩაგრული მალე ჰპოვებს შევებასო.

სინამდვილეში დამყარება ახალი ცხოვრებისა ხანგრძლივი მოქმედებაა და მასთან დასდევს მრავალ-გვარი დაბრკოლება, გაჭირვება, უსამართლობა, აქედან გამომწვეული გაცურება ბევრის იმედებისა და სხვ.

ასეა დღეს ჩვენს ცხოვრებაშიაც. დიდი, მეტათ დიდი საქმე კეთდება ყველგან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ საქმეს აფერხებს და ჩრდილავს ბევრი წარმავალი დაბრკოლება, წინააღმდეგობა და სიმანხინჯე.

ცხოვრება წინ მიდის. ყოველივე ამას მოედება ბოლო.

ასე იყო სხვაგან, ასეა ჩვენშიაც.

ვიმეორებ, სანამ ახალი ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგებოდეს, ბევრი ქარიშხალი გადიქროლებს ჩვენს თავზე.

უნდა გავუძლოთ.

ვინც ვერ გაუძლებს, დაიღუპება.

ასეთია წესი და კანონი რევოლიუციისა.

ასეთ პირობებში დიდი დაბრკოლება ელოდება წინ ყოველგვარ შემოქმედებას და მით უმეტეს ხელოვნებას.

დღევანდელ დღეს ახასიათებს საერთოთ ადამიანის დაწვრიმალეობა, დაქვეითება. ეს გამოწვეულია საშინელი სიძვირით.

მთელი ყურადღება ადამიანისა კუქს დაემორჩილა. ვერ შოვილობ იმდენს, რომ კუქი ოდნავ მაინც დაიკმაყოფილო და ასეთ გარემოებაში ვიღას ცალია სულისათვის!

მიუხედავად ამისა ხელოვნების დარგშიაც სწარმოებს ჩვენში დიდი მუშაობა. ქართული ოპერა, ქართული დრამა, ქართული მხატვრობა ბრძოლით იკაფავს გზას წინ.

სიტყვაკაზმული მწერლობაც ვითარდება; სწარმოებს გადასინჯვა ძველი გზებისა, ძიება ახალისა, ბრძოლა.

ყოველივე ეს უტყუარი ნიშანია წინმსვლელობისა.

რაც უნდა გაურბოდეს მწერლობა ცხოვრების სინამდვილეს, ამ სინამდვილეს მაინც ვერსად დაემალება,—ისე ჭოგორც ადამიანი ვერსად გაექცევა თავის ჩრდილს.

სინამდვილე თავის დაღს აჩენს მწერლობას.

სინამდვილე ერთფეროვანი და სადა არ არის,—რთულია, მასში გადახლართულია ადამიანთა, კლასთა და წოდებათა ინტერესები, წინააღმდეგობანი.

აი ყოველივე ამის სარკეს, აჩრდილს, ხმაურს ან ანარეკლს ჩვენ ვხედავთ სიტყვაკაზმულ მწერლობაშიაც.

ყოველ მწერალს თავისი სული შეაქვს შემოქმედებაში. სული კი შეგნებულად და შეუგნებლად ატარებს კლასის ან წოდების სახეს.

ამიტომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში უსათუოდ არის კლასობრივი, წოდებრივი სული, მაგრამ ყოველგვარი მიმართულების სიტყვაკაზმულ მწერლობას ახასიათებს საერთოთ მშვენიერება. მშვენიერება კი ყველა კლასისათვის მისაღებია.

შეიძლება, არ ვიზიარებდე ამა თუ იმ პოეტის მსოფლმხედველობას, მაგრამ იმის პოეზიის მშვენიერებას, მისი შემოქმედების ხელოვნებას თაყვანსა ვსცემდე.

ვეფხვის ტყაოსანში თქვენ ნახავთ ზოგიერთ აზრს, რომელიც ჩვენს დროში ყოვლად მიუღებელია, შეერაზმულიც არის, მაგრამ პოეზია რუსთაველისა ყველა კლასისა და წოდებისათვის მისაღებია. აშკარაა, რომ სხვა და სხვა მიმდინარეობის პოეზიას ბევრი რამ აქვს საერთო, მაგრამ მიუხედავად ამისა ყოველ კლასსა და წოდებასა ჰყავს მწერალი, რომელიც განსაკუთრებით მისთვის არის ძვირფასი.

ასეთი იყო ჩვენი მუშათა კლასისათვის ნოე ჩხიკვაძე; რომლის კალამიც უდროოდ გადატყდა გასულ წელს.

ამ უბრალო ადამიანში, რომელიც ზოგჯერ მშვიერი იყო, ზოგჯერ ქუჩაში ათენებდა, ნამდვილი ცეცხლი იყო ქეშმარიტი პოეტისა.

პოეტის ლექსთა პირველ კრებულსა აქვს ორი წარწერა: ცისა და მიწის, სი-ცოცხლეა სიყვარული. აი ამ ორ აზრში მთელი შინაარსია ჩხიკვაძის პოეზიისა და მასთან გარკვეული მსოფლმხედველობა.

პოეტის გული დედამიწის მწუხარებით არის დაღარული, მაგრამ ის მაინც ცისავენ იყურება და იქითკენ უხმობს ყველას.

ვაი მას, ვისაც ცის გალობა არა ჰსმენია.

რა თქმა უნდა, პოეტის ცა არ არის შორწმუნე ადამიანის ცა, არამედ ამალღებული ცხოვრება სულიერი ნეტარებით სავსე.

გარეშე სიყვარულისა პოეტს არა სწამს სიცოცხლე. მთელი მისი პოეზია გაცხოველებულია ადამიანისადმი სიყვარულით.

— მერე რა ჰქვია ესრედ ტანჯვით ჩემში შობილსა?

— ადამიანი!

— ამინ! შევსძახე უკვდავების სულსა სათვისოთ.

და შემიყვარდა საუკუნოთ, სამარადისოთ!

პოეტის სიყვარული არ არის უძრავი, უმოქმედო. მისი სიყვარული მოძრავია, მას სწყურია ადამიანის ბედნიერება.

მაგრამ იბადება შემდეგი საკიოხი: რა არის ბედნიერება, რაში გამოიხატება ის?

ცისა და დედამიწის დაკავშირებაში, უპასუხებს პოეტი.

დაკავშირება თუ რომ შესძლო მიწის და ცისა,

ზეცის საუნჯე, საიდუმლო მიწას აჩვენა,—

იგი დარჩება საუკუნოთ გამარჯვებული.

როგორც კი ამ დასკვნამდე მივა პოეტი, თავს წამოაჭყოფს მეორე საკითხი: რითი, რა გზით, რა საშუალებით შეიძლება ცისა და დედამიწის დაკავშირება?

უანგარო სიყვარულითა და თავისუფლებით, უპასუხებს პოეტი.

ცხოვრებაში უნდა გამეფდეს უანგარო სიყვარული და თავისუფლება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ცისა და მიწის დაკავშირება.

მრწამს ერთი რამე: უანგარო თავისუფლება...

და სიყვარული, სიცოცხლისა სასუფეველი.

პოეტის ძიება აქ არ ჩერდება, რა გზით შეიძლება თავისუფლებისა და სიყვარულის გამეფება ცხოვრებაში? ეკითხება თავისთავს. არსებობს მხოლოდ ერთი გზა — ეს არის გზა ბრძოლისა

ბრძოლა ყოფნის ქარია, რღვევის ქარიშხალია:

მიზანი გარკვეულია, გზაც გამონახული. მაგრამ საქმე იმაშია, ვინღაა ეს მე-ბრძოლი?

მებრძოლები არიან მხოლოდ დაჩაგრულები, შრომის შვილები, მუშათა კლასია, რადგანაც ბრძოლის ცეცხლი მხოლოდ ოფლისა და ცრემლის შეერთებით ჩნდება.

ვინაც კვნესის, იმან იცის ყოფნის ვალი!

აწმყოსაგან მსხვერპლსა ითხოვს მომავალი;

და როდესაც სამსხვერპლოზე იგი დნება,
როცა ოფლსა ცხარე ცრემლი ეთვისება,
ის ნალველი ბრძოლის ცეცხლათ უნდა იქცეს,
ძველი ყოფნა ჩაიტანოს და დაიქცეს.

ამიტომ, რომ პოეტს განსაკუთრებით უყვარს მუშათა კლასი.
გაუმარჯოს მაშ შრომის შეილს,
გაუმარჯოს ჩაგრულთ კერას!

პოეტი ჩაგრულთა მგოსანია, მაგრამ მისი ჩანგის ამ თვისებით არ აიხსნება მისი სიყვარული მუშათა კლასისადმი. მუშა ხალხში ის ჰხედავს მებრძოლს, რომლის მოწოდებაც არის ცხოვრების გარდაქმნა, სიყვარულისა და თავისუფლების მოპოება და ამით ცისა და დედამიწის დაკავშირება.

ჩხიკვაძის პოეზია სავსეა ბრძოლის ცეცხლით. ანთებული ჩირაღდნებით მიუძღვის ის მუშა ხალხს წინ და სევდით სავსე კილო ქექა-ქუხილათ იცვლება.

დაჰკარ, დაჰკარ მტრისა გულს აღსასრულის ლახვარი,
რომ ბედისგან დაჩაგრულს შეშრეს ცრემლისა ღვარი!
დაჰკარ, დაჰკარ ბოროტ სულს, ცოდვით გაღალღებულსა,
სანამ ძმობა-სიყვარულს ვპოვებთ გამარჯვებულსა!
დაჰკარ, დაჰკარ! დაეცეს სიმართლისა მტარვალი!
შემდეგ ძირს საზარელი სისხლი, ომი და ხმალი!..
დაჰკარ, დაჰკარ! დაღეწე ტანჯვის კიხე-ბორკილი,
მკედრეთით აღსდგეს მწუხარე მონა წელში მოხრილი!
დაჰკარ, დაჰკარ სიკვდილსა, რომ სიცოცხლე იწამოს,
სიყვარულის ნათელი მოეფინოს მიდამოს!
რომ დამყარდეს: სიმართლე, შრომის შვება-უფლება.
დაჰკარ, დაჰკარ! ნეტარი ვპოვოთ თავისუფლება!

მარტო ბრძოლის მგოსანი არ არის ჩხიკვაძე — ის ამავე დროს სევდის მგოსანიც არის, სევდის ნალველი და ბრძოლის ცეცხლი ერთათ არის შეზავებული იმის პოეზიაში.

მე მიცნობდა მხოლოდ ერთი ქმუნვა და დარდი;
ტანჯვა იყო ჩემი მოძმე ია და ვარდი.

მისი კენესა გულისა; სულიერი ტანჯვა თავისი ზიღრმითა და წარმტაცი სიწაზით ბევრგან გვაგონებს ბარათაშვილის მარტოობას და სულის ობლობას.

უკანასკნელ ლექსებში პირდაპირ გასაოცარია პოეტის წინათ გრძნობა სიკვდილისა: ის დარწმუნებულია, რომ მისი ბოლო ახლოს არის, სიკვდილს ნათლათ ჰხედავს და ხელითაც ეხება.

მე სიკვდილს ველი, ჩემს გარშემო ყამი ბნელდება.

საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას,

ნოე ჩხიკვაძის სევდას ერთი რამ ახასიათებს: პოეტი მეტის-მეტათ გულწრფელი და ბუნებრივია.

მისი სევდა ამავე დროს არ არის შედეგი უიმედობისა, სასოწარკვეთილებისა და გულგატეხილობისა. რწმენა და იმედი წინ მიუძღვის მას. ის დარწმუნებულია, რომ ცხოვრება წინ მიდის, სიმართლედ და სამართლიანობა იმარჯვებს:

ბოროტებისა ბოლო მაინც აღსასრულია.

ასეთის რწმენით, განმტკიცებული მოუწოდებს შრომის შეილებს იმედიანის ყიყინით.

შორს მონის ხუნდი! გაბედულათ ასწიე ქელი

და გამოსქედდე, დაჩაგრულო, შენ შენი ბედი!

ასეთივე საერთოთ მუშათა კლასის ყოველი მგოსანი, იმიტომ რომ ფვითონ მუშა ხალხია ამგვარი.

ნოე ჩხიკვაძის პოეზია გამოხატავს მუშათა კლასის სულისა.

პოეტის სიმღერაში არის სევდის კილო, მაგრამ იქ არ არის სასოწარკვეთილება განწირულისა.

ასეთია ბუნებაც თვით მუშათა კლასისა: მან იცის სევდა, მაგრამ ფარხმალის დაყრა კი არასოდეს; სევდაში ის მხოლოდ სულის აკაეებს და ახალ ძალას, ხალხის ჰპოებს ახალი ბრძოლისათვის.

ნოე ჩხიკვაძის სევდის სათავე არის პირადი ცხოვრება.

ღუბჭირ ბედმა სიჭაბუკე არ გამივარდა.

პირად სევდას აღრმავენს და აძლიერებს საზოგადოებრივი, ცხოვრების სიმანჯრითა და უსამართლობით გამოწვეული.

რადგანაც ცხოვრების უსამართლობის ბრწყალებში მუშა ხალხი იტანჯება, ამიტომაც პოეტის სევდა კლასობრივია იმდენათ, რამდენათაც ის მუშა ხალხის ბედს დასტრიალებს თავსა და იმის განთავისუფლებას უგალობს.

სევდა სწვევია ყოველ კლასს—პროლეტარიატსაც, ბურჟუაზიასაც. პოეტის სევდის გულში ჩახედვა ჩვენ ამავე დროს გვიჩვენებს, თუ ვინ ზის ამ გულში. ნოე ჩხიკვაძის გულში მუშათა კლასია და პოეტიც მუდამ დარჩება ამ კლასის საყვარელ მგოსნათ.

დაჩაგრულთა ტკბილ მომღერალს, ამაყს, გატაცებულს, გაუტეხელს, ადამიანისადმი სიყვარულით აღსავსეს, საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლს არ დასცალდა, ამოეწურა თავისი უნაზესი გრძობებით სავსე გული.

დიდება იმას, ვინც დაიწვა ნათლის ძიებით.

ნათელს ეძებდა პოეტი, ნათლისაკენ უხმობდა ყველას — ქება და დიდება მას. სიტყვაკაზმული მწერლობა ხელოვნების ნაწილია და ხელოვნების დანაკლისი ამავე ოროს დანაკლისია მწერლობისაც.

ჩვენმა ხელოვნებამ გასული წლის ბოლოს დაჰკარგა დიდი განძი — მსახიობი ლადო მესხიშვილი.

მსახიობი სასცენო ხელოვნების მსახურია, მაგრამ დიდი კავშირი აქვს სწორეთ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან, რადგანაც მწერლობის აზრსა და იდეალებს ხორცს ასხამს, სულს უდგამს და ასახიერებს, თვალსაჩინოთ ხდას მაყურებლისათვის. ამ მხრით ლადო მესხიშვილი დიდი ჯადოსანი იყო და ღირსეული ქურუმი სასცენო ხელოვნებისა.

დიდი მსახიობისათვის ყოველისფერი უხვათ ჰქონდა მას მომადლებული ბუნებისაგან: იშვიათი გარეგნობა, მოქნილი სახე, მატყვევებელი თვალები და მეტათ მუსიკალური ხმა, რაც ბოლო ხანებში ყელის ავთამყოფობამ დაჩრდილა, და დიდ ნიჭი პირველ ხარისხოვანი მსახიობისა.

ყოველივე ეს მსახიობმა მოიტანა ჩვენი თეატრის სამსხვერპლოზე, დასწვა სრულად და თვითონაც დაიწვა, დაიფერფლა. არავის არ ეხერხებოდა მაყურებლის სულისა და გულში ისე ღრმათ, ისე მძლავრათ ჩაწდომა, როგორც ლადო მესხიშვილს და არავის არ აუტოკებია ჩვენი ახალგაზრდობის გულ და ოცნება, არავის არ მიუცია მისთვის ისეთი სანეტარო განცდა, როგორც ამ მსახიობს.

ნამდვილი ჯადოსანი იყო, რომელიც სულხიერი ნეტარების წყაროს აკურებდა ყველას.

ამავე დროს ის იყო ღირსეული მოქალაქე და ჰემმარტი დემოკრატი. ხელოვნების დროშა თუ მალლა ჭკირა, არა ნაკლების გატაცებით ემსახურებოდა დემოკრატიის დროშას საჭიროების დროს.

ცხრაას ხუთ წელში ქუთაისის სცენა მან გადააქცია სარევილიუციო ტრიბუნათ და მისმა სარევილიუციო პიესებმა მთელი ქარიშხალი დაატრიალეს მაშინდელ ახალგაზრდობასა და დემოკრატიაში.

მისი გზა ეკლითა და ვარდებით იყო მოფენილი. ეკალს ვარდი სჰარბობდა და ეს თაყვანისცემა მან ღირსეულათ დაიმსახურა.

გასულ წელს გამოვიდა ლექსთა კრებული გ. ქუჩიშვილისა, ბალდახინი კოლაუ ნადირაძისა, დაბინდული ქარვები რაყდენ გკეტაძისა, მინანქრები შალვა ამირეჯიბისა, რაულ გოგოხიას ზამთრის ჩუქურთმა, ერთაწმინდელის ლექსები.

ერთი წლისათვის ეს საკმაოთ მოზრდილი ტვირთია და ჩვენი პოეზია ნაყოფიერი გამოდგა.

გ. ქუჩიშვილი უკვე სახე გარკვეული მგოსანია და თავისი ნიჭის თვისებით უახლოვდება ნოე ჩხიკვაძეს.

ქუჩიშვილი პირადი განცდის პოეტია და მისი შემოქმედება გრძნობაზე არის აგებული. ეს ღირსებაა, მაგრამ ცალმხრივი.

ერთ ლექსში (ჩემი ვედრება) ვაჟა-ფშაველას შემდეგი საგულისხმო სტრიქონები აქვს:

გულს დარღი გაშიდიადე
იმ სანეტარო საგანზე;
დაწერე ფიქრი ღრმა, მწვავე
ჩემი გონების საბანზე
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავედეს ძლიერი.
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი.

აქ მოკლეთ და მკაფიოთ მთელი დახასიათება ნამდვილი პოეზიისა: გულს ძლიერი ცეცხლი უნდა სწვავედეს, გონებას ღრმა და მწვავე ფიქრი უნდა სტანჯავდეს,—მაშინ არის სრული პოეზია.

ქუჩიშვილის პოეზიაში პოეტური ცეცხლი საკმაოდ ძლიერია. მწვავე ფიქრიც არის შიგ, მაგრამ ამ ფიქრს სიღრმე და სიძლიერე აკლია.

ეს ნაკლია, დიდი ნაკლი, მაგრამ ქუჩიშვილის ბრალი არ არის.

ქუჩიშვილი მუშათა კლასის მგოსანია, ნიჭით, გრძნობით, პოეტური ხასიათით დაჯილდოებული. ბრძოლის საყვირით, ქვეა ქუხილით წინ მიუძღვის მშრომელ ხალხს, მაგრამ მისი სიმღერა მეტათ მარტივია, თუმცა გრძნობით სავსეა.

პოეტს მარტო გრძნობათა ძაფები კი არ უნდა ეპყრას ხელთ, არამედ გონების ლამბარიც.

დღეს განსაკუთრებით სავალდებულოა ეს მუშათა კლასის პოეტისათვის. მუშა ხალხი თანდათან იპყრობს პოლიტიკურ ასპარეზს და აქ მარტო ბრძოლა აღარა კმარა, საჭიროა წინდახედულ, გონივრულ ბრძოლასთან ერთად შემოქმედებაც, მეტათ დიდი, ძნელი და საპასუხო შემოქმედება.

ამ საქმეში მარტო გრძნობა, ათასი ნაზი და წარმტაცი იყოს ის, შორს ვერ წაგიყვანს; საჭიროა გონების სისრულე და აზრის სიღრმე.

მუშათა კლასი მარტო ფიზიკური ძალა არ არის, ის უნდა იყოს ამავე დროს დიდი ზნეობრივი და გონებრივი ძალა.

უამისოთ მისი გამარჯვება უნაყოფო იქნება და შეიძლება სასტიკი დამარცხებითაც დამთავრდეს ბევრჯერ.

ქუჩიშვილი უმთავრესათ ლირიკოსია, მისი პოეზია გრძნობათა კრიალოსანია. სევდის ხმები ხშირათ გაისმის პოეტის სიმღერაში, მაგრამ მისი სევდა მუშური სევდაა, ბრძოლის ცეცხლითა და იმედით სავსე.

ქუჩიშვილში საკმაოთ განვითარებულია ბუნების გრძნობა. პოეტი ბუნების შვილია და მან იცის ბუნების სილამაზის ამოცნობა და ბუნების სიმშვენიერით დათრობა.

ნიჭის ამ თვისებით პოეტი უახლოვდება ვაჟრომ რუხაძეს და ბუნების დიდ მესაიდუმლეს ვაჟა-ფშაველას.

ფიქრი და სიყვარული პოეტისა შრომის შვილებისავენ არის.

ქუჩიშვილის ლექსი მდიდარია თავისებური მუსიკით; იმას მღერა უფრო შეფერება, ვიდრე კითხვა.

მე ხარი ვარ მოგუგუნე,
მოწოდების ხარი,
და ჩემს რეკას ყველგან ისმენს
შრომის შვილთა ჯარი.

ასე ახასიათებს თავის პოეზიას თვით პოეტი.

შრომის შვილთა ჯარის სმენას მართლაც დაატკობს მისი ახალი კრებული.

კოლაუ ნადირაძე და რაჭდენ გვეტაძე ერთი მიმართულების, ერთი სკოლის პოეტები არიან; ამიტომ მათ ბევრი რამა აქვთ ერთმანეთში საერთო: ერთგვარი ხასიათი წერისა, რიტმი, რითმა, შეხედულება და ხშირათ შინაარსიც.

ჩვენებური სიმვოლიზმის გამო მე გამომითქვამს ჩემი შეხედულება, ქვევით უფრო ვრცლათ დავუბრუნდები ამ საგანს.

კოლაუ ნადირაძის ერთ თვისებას შეადგენს ბუნდოვანათ, გაუგებრათ წერათ თვითონ სიმვოლისტები ამაში ღირსებას ჰხედავენ და ამიტომ განზრახ ცდილობენ აზრის გახვევას გაუგებრობის ჩადრში.

დევ მკითხველმა თვითონ იმტერიოს თავი და ისე გაიგოს, როგორც შეუძლია, ჩვენი რა საქმეაო.

ასეთს ხასიათს წერისას აქვს თავისი საზოგადოებრივი გამართლება. ასეთ წერას ითხოვს შეშინებული და სასოწარკვეთილებათაში ჩაჭედილი სული, რომელსაც იმედის სხივი სამუდამოთ ჩაქრობია. აქ მთელი კლასის სულიერი ტრადედიია, მაგრამ რომელი კლასისა?

ამის გამოც ქვევით გვეჩვენა ლაპარაკი. ბუნდოვანობა უარყოფათ სინამდვილისა და სიმვოლისტებსაც ეს ახასიათებს: ისინი არა თუ უარყოფენ სინამდვილეს, ეშინიათ იმისი და გაურბიან მას.

სიცხადის ნაცვლათ—ბუნდოვანობა; სინამდვილის ალაგას—ქიმერები; სალი აზროვნების ალაგას—ბოდვა; სილამაზის ალაგას—სიმახინჯე; ჯანსაღობის ნაცვლათ სნეულება; სიცოცხლის სიყვარულის ნაცვლათ—სიცოცხლის სიძულვილი და უარყოფა; სალი ადამიანების ნაცვლათ—შეშლილები, თავის მკვლელები.

ამგვარია ესთეტიკა სამვოლისტებისა; ასეთია კოლაუ ნადირაძეც.

მატყუარია სამყაროს სახე. აცხადებს პოეტი ერთ ლექსში.

ამიტომ უნდა უარვყოთ სამყარო მთელი მისი სინამდვილით და ვეძიოთ მხოლოდ ფარული, იდუმალი; ასე მსჯელობს პოეტი:

იწამე ყოფნა ჩვენი ლანდური. სიცოცხლე უნიქო პიესაა, სწერს ის ერთგან; მაგრამ ისეა მოწყობილი, რომ არსაიდან გამოსავალი გზა არ არის:

არ არი სხვა გზა, არ არი არსად:

ეს მასკარადი მოეწყო ისთე!

დაფერფლე სული და ეცვი ჯვარსა,

ვით ავაზაკი და როგორც ქრისტე.

ამ უილაჯო სასოწარკვეთილების რკალიდან რომ ადამიანი შეშლილებსა და თავისმკვლელებს შეტრფოდეს, ბუნებრივია.

პოეტი ძლიერია, როდესაც თავის ჩვეულებას ჰღალატობს და გულიდან ამოხეთქილ ნაკადულს წრფელი გრძნობისას ბუნებრივ გამოსავალს აძლევს.

მაშინ სულიერი განწყობილებაც პოეტისა სხვანაირია. თუ სხვა დროს მას სიცოცხლე სძაგს, მზათ არის თავის თავს სილა გაართყას და ღმერთს ევედრება:

ო, ღმერთო ჩემო, დაასრულე ჩემი წამება.

და დააჩქარე ეს დღეები და ეს წამები!

ასეთ იშვიათ წუთებში კი პოეტი ბედნიერია და სულით დამშვიდებული:

მე ვგრძნობ სიცოცხლეს, სისუფთავეს მივარდნილ ქვაშიც.

ღმერთო ძლიერო, მე შენთან ვარ, მე ყველა მიყვარს!

როდესაც პოეტი ბუნებრივ სახეს უბრუნდება, მაშინ ის გვაძლევს წრფელსა და ძლიერ განცდას, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტის თვისებაა.

ლექსი ცოცხალი არსებაა: ისახება, იბადება, იზრდება, ცოცხლობს და კვდება, თუ ჩვეულებრივია, ხოლო უკვდავია, როგორც გენიოსი, თუ არაჩვეულებრივია.

ლექსს სხეულიცა აქვს, ტანისამოსიც. მისი სხეული—აზრია; მისი ტანისამოსი—გარეგანი მოკაზმულობა, ფორმა.

შიშველი ლექსი მკვდარია; უსხეულო ლექსიც ცარიელი ტანისამოსია.

ცხადია, ლექსს უნდა ჰქონდეს როგორც სხეული, ისე სამოსიც: ორივე აუცილებელია და სავალდებულო ლექსისათვის.

შემცდარია, ვინც მარტო სხეულს აქცევს მთავარ ყურადღებას; შემცდარია არა ნაკლებათ ისიც, ვინც მარტო ტანისამოსს აქცევს მთელ თავის ყურადღებას.

ლექსში ზოგი მარტო აზრს აფასებს,—შეცდომაა; ძონძებსა და ჯღანებში გამოწყობილ ლექსს ვერავითარი აზრი ვერ გაამართლებს.

ზოგი მხოლოდ ტანისამოსს სინჯავს,—ესეც შემცდარია: ვერავითარი ლამაზი სამკაული უაზრობას ვერ გაამართლებს.)

ახლო წარსულში ჩვენს პოეზიას ჰქონდა დიდი ნაკლი: გარეგნობას, ტანისამოსს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ილია დატვირთულია ამ ნაკლით.

აკაკისა და ვაჟას სულ ადვილათ შეეძლოთ მისი მოცილება თავიდან, მაგრამ არა ცდილობდნენ.

აკაკი და ვაჟა ორი დიდი ნიქია, როდესაც ვკითხულობ ზოგიერთ მათ ლექსებს, ბრაზი მომდის. ცოდვა არ არის, რომ ასეთი სხეულისათვის შესაფერი სამკაული არ ეძებეს!

ახლგაზრდა პოეტებმა მიაქციეს ამ გარემოებას დიდი ყურადღება და ლექსის გალამაზებას შეუდგნენ. ამ გზაზე დიდი ნაყოფი მოგვცეს გრიშაშვილმა, აბაშელმა, სხვებმაც.

მაგრამ ყველაზე უფრო მტკიცეთ, მხნეთა და გარკვეულათ დადგენ ამ გზაზე სიმვოლისტები.

მათი ძიება ლექსის ფორმის სფეროში, თავისებური ელფერის შეტანა რიტმში, მეტრში, რითმაში, სიტყვების დახვეწა და სხვ. ზოგჯერ ახირებულია თავისი უჩვეულობით, მაგრამ საჭირო და აუცილებელი:

ასეთ ძიებას ყოველთვის თან ახლავს შეცდომები, გადაჭარბებაც, მაგრამ ყოველივე ეს ბუნებრივია.

ასეთი გზა აუცილებელია, მაგრამ თავ-დატყერილობა და ზომიერება არის საჭირო. სიმვოლისტებს სწორეთ ეს აკლიათ და ხშირათ მეორე უკიდურესობაში ვარდებიან: ივიწყებენ ლექსის სხეულს და მთელ თავის ყურადღებას სამკაულს აქცევენ; კარგი რითმისათვის მზათ არიან აზრი გასწირონ.

ეს ნაკლი თან დასდევს ყოველ მათგანს; თან დასდევს კოლაუ ნადირაძესაც.

აიღეთ შემდეგი ტაეპი:

ჩვენი თვალები იმ ბეჭედში შეხვდნენ მგზავრებათ.

ო, სინამდვილე სანატრელი სპარსულ ნოხების!

მრავალი მთვარე ამაყობდა აქ ღვდელ-მთავრებათ;

თითქოს შეშურდათ მათ წარსული დიადოხების..

სამკაული კარგია, მაგრამ სხეული არ არის, — ლამაზი უაზრობაა. ვეკვონ, რომ აქედან მკითხველმა რამე გაიგოს.

ალაგ-ალაგ ლექსის მუსიკა მოშლილია, რიტმი დარღვეული. ბაღებში — ოთახებში, ქალებს — მწვერვალებს და სხვა ამგვარი რითმები მიუღებელია.

მიუხედავად ამისა ნადირაძის პოეზიის სამკაული, ფორმა საკმაოდ დამუშავებულია, დახვეწილი და მოხდენილი.

რაჟღერ გვეტაძე გამოვიდა „დაბინდული ქარვები“-თ.

პოეტი სიმვოლისტთა ძმობას ეკუთვნის, მაგრამ ამ მიმართულების ბევრ თვისებას მოკლებულია.

სიმვოლისტები საერთოდ უარჰყოფენ ძველსა და ახალ პოეზიას; შოთას, ბესიკსა და საკუთარ თავს გარდა არაფერია სწამთ.

ბოლო დროს ცდილობენ ძველ პოეზიასთან შერიგებას. მაგ. გაფრინდაშვილი ღირსეულად აფასებს გურამიშვილს.

შემდეგში რას იზამს რაჟღერ გვეტაძე, არ ვიცი; ხოლო თავის პირველ კრებულში ის ძველ პოეზიასაც ენათესავება, ახალსაც, სიმვოლისტებსაც.

მისი სულამიტ, უსათაურო ატარებს ნიშანს გრიშაშვილის გავლენისას.

ალაგ-ალაგ ბუნდოვანად წერა, რითმის გულისათვის აზრის გაწირვა გვეტაძესაც სჩვევია, მაგრამ საერთოდ მისი დედა აზრი ნათელია, მისი წერის ხასიათი რეალიზმზეა დამყარებული.

ზოგან მისი რეალიზმი გადაჭარბებულიც არის, როგორც მაგალითათ — ჯარის კაცი და მოსამსახურე გოგო.

პოეტს უყვარს სინამდვილე, სიცხადე, ბუნება და თავისი განცდისათვის ეძებს ახალ სამკაულებს. ამიტომ რაჟღერ გვეტაძე ერთგვარი შემრიგებელია, შემაერთებელი ხილია ძველი და ახალი პოეზიისა.

ამ მხრივ ის საინტერესო და უხვია, თუ არ გადაუხვია.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, სადითკენ წავა პოეტის ნიჭის განვითარება.

მისი სიმღერის საგანი მრავალფეროვანია, უმთავრესი ძარღვი კი — პირადი განცდა.

განცდათა შუაგულში პოეტის საკუთარი პიროვნებაა. საკუთარი სევდის სიმღერაში ალაგალაგ ნევრასტენია ხმაურობს.

ზოგიერთი მისი სურათი, როგორც ღამე სოფელში, ან მარტოობა შემოდგომის წვიმან ღამეში (საქართველოში დაიბეჭდა) საუცხოოა თავისი შესრულებითა და მიღწევით.

აღაგ-აღაგ პოეტსა აქვს ნაძალადევი რითმები, როგორც მერცხლების—ვერცხლების, მაგრამ ფორმა საერთოთ საკმაოთ დასრულებულია და შინაარსიც—ზოგიერთი ახირებულობისა და გადაქარბებული ნატურალიზმის გარდა—მისაღები.

შალვა ამირეჯიბს სიმვოლისტები თავისი წრის პოეტათ სთვლიან. მინანქრებში ძალიან ცოტაა ამისი დამამტკიცებელი საბუთი.

ზოგიერთი ლექსი, როგორც თუნდა მასკარადი თავისი ფორმით მოგვაგონებს სიმვოლისტურს, ხოლო საერთოთ „სხვაგან ჰქრის მისი გონება“.

რაჟდენ გვეტაძეს ერთ თავის ლექსში აქვს შემდეგი სტრიქონი:

მგზავრის სამოსზე წელს მიმშვენებს ძველი ქამარი.

ეს სიტყვები უფრო შალვა ამირეჯიბს შეეფერება.

იმის ლექსებში ძველი პოეზიის სურნელებას ჰყნოსავს მკითხველი.

მაჰარი ენის შეხებისათანავე გატკობსთ. სულ სხვაა ძველის-ძველი ღვინო: უნდა რამდენჯერმე გასინჯოთ, კარგათ დაწუწნოთ, ძარღვებში გაგიჯდესთ, მხოლოდ მაშინ დაათასებთ და იგრძნობთ სიამეს.

სწორეთ ასეთია მინანქრები. პირველი გადაკითხვით არ ახდენს შთაბეჭდილებას; აქ არ არის მყვირალა სიტყვები, გაბერილი გრძობა, აზრის წვალება, ყალბი ხმაურობა და მოჩვენებანი შთაბეჭდილების შესაქმნელათ.

სიდარბაისლე, თავდაპერილობა, ზრდილობა, სამწერლო არისტოკრატიზმი თან ახლავს შალვა ამირეჯიბის პოეზიას.

ის პატარა ზომისაა, მაგრამ რაც არის, ეულია, ხალასი, წმინდა.

მთელ პოეზიას წარსულის ნაზი აჩრდილი დასტურიალებს. პოეტს განსაკუთრებით უყვარს წარსული. ამ სიყვარულში, ძველი, გარდასული წოდების სულია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვუკიჟინო პოეტს,—მე მხოლოდ ახსნა მინდა მისი შემოქმედების ზოგიერთი თვისებისა.

როგორც ყოველთვის, ეხლაც ისე ვიმოკლებ დღესა!

ვიგონებ წარსულ ცხოვრებასა—განვლილს ოცნებით.

წარსულის მოგონება ტკბილი სევდის ზეწარშია გახვეული. ალბათ იმიტომ რომ ჩვენი წარსულის ბევრი მხარე სევდათა ამშლელია, თორემ ამირეჯიბი სევდის მგოსანი არ არის, არც ცხოვრებისა და მისი სინამდვილის უარყოფელი.

რა რიგ მახარებს მე ეს ქვეყანა.

ცა, მზის ამოსვლა, მის დასავალი.

პოეტი მართლაც სიხარულისა და სიყვარულის მომღერალია.

ხასიათი მისი წერისა, სტილი, რიტმი, მუსიკა, მეტრი უფრო ძველი მწერლებისაა.

ამ მხრივ ყველაზე მეტი გავლენა ბარათაშვილისაა; ზოგიერთ ძველ სიტყვასა და გამოთქმას ბარათაშვილისას ხმარობს. ალაგ-ალაგ პოეტს ემჩნევა ლექსის ძვირობა, მაგრამ საერთოთ აზრი და ფორმა საკმაოთ შეხამებული და შეწყობილია.

მეტათ ნაყოფიერი იყო გასულ წელს ობოლი მუშა.

ქართველ პოეტს ერთი დიდი ნაკლი აქვს: მას ზრდა არ ეტყობა.

თითქოს მისი ოცნება პირველი გაფურჩქვნისა თანავე გამოაცლის ნიქს მთელ შემოქმედებას და ამიტომ პოეტის პირველი ნაბიჯები უფრო შუქიანია, ვიდრე შემდეგი.

იშვიათ გამონაკლს წარმოადგენს ობოლი მუშა. დიდხანი არ არის, რაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, პირველი მისი კრებული ჩემი წინასიტყვაობით დაიბეჭდა; მას შემდეგ ეს ახალგაზრდა მგოსანი თანდათან იზრდება და სრულდება. მისი სული მუდამ ძიებაშია და ამ გზაზე მისი გრძნობა თანდათან ღრმავდება, აზრი ვითარდება და მალდება. ობოლი მუშა უხვათ არის დაჯილდოებული პოეტური ცეცხლით. მოუსვენარი სული, მეტათ ნაზი გრძნობა და მალალი აზრი—აი ობოლი მუშა. თუ პირველი ნაბიჯები პოეტისა ერთფეროვანი იყო და მხატვრულ სახეებსა და განცდას გალექსილი მსჯელობა სჭარბობდა, დღეს მისი შემოქმედება მდიდარია, მრავალფეროვანი შინაარსით და საკმაოთ გაშალაშინებული ფორმით. როგორც შინაარსით, ისე ფორმით პოეტმა მოკლე დროში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რაც შედეგია მარტო ნიქის კი არა, არამედ შრომის. პოეტში დიდი შესაძლებლობაა, მისი შემოქმედება ახლა იწყებს ფრთების გაშლას, ახლა ემზადება სრული ფრენისათვის.

ლამაზ ოცნების ყვავილებით შემოქარავული.

თავისი მსოფლმხედველობით პოეტი მუშათა კლასს ეკუთვნის, მუშების მგოსანია: მისი ფიქრი და გრძნობა მუშა ხალხის ბედის მაძიებელია, ამ ბედისათვის მებრძოლი, მაგრამ მისი ოცნება არ არის მოქცეული მარტო დღიური საკითხების ფარგლებში. პირიქით მას უფრო მსოფლიო საკითხები იზიდავს.

მარადისობის სხივთა ელვით გავიმსკვალე.

მისი „ორი სარკე“ თავისი შინაარსით ფილოსოფიურია და მდიდარია შინაარსით.

არის ძიება უფსკრულთა შორის.

წმინდა მიზნისკენ მიმავალ გზების.

და პოეტი შეპყრობილია ამ ძიებით. ძიების გზაზე ბევრი ამოუცნობი საკითხი შეხვდება პოეტს და ეს იწვევს იმის ნათესაობას დანიის პრინცთან:

მისი სული გაორებულია, —

გაორებულ სულის კენესით რისთვის ვმღელვარებ?

სულის გაორებას თან დასდევს სევდა, რაც საკმაოდ ახასიათებს პოეტის შემოქმედებას. მისი გული ტანჯვის ქსელშია გახვეული და აქედან იწყება მეტათნაზ და სათუთ გრძნობათა მშვენიერი ნაკადული.

მისი სევდის ბარათი საუცხოვოთ არის გადაშლილი „სამ ლექსში“, მაგრამ ისეთი გულწრფელი, ღრმა და უნაზესი სევდით სავსე განცდა, როგორსაც პოეტი იძლევა „უპასუხო აღერსში“, იშვიათია, ლუკმა-ლუკმათ დაქრილი გული ცრემლშია ამოვლებული და სათუთი გრძნობის ძაფზე ასხმული. არც ერთი ყალბი სიტყვა, არც ერთი ყალბი ამონაკვეთი. უდიდესი მიღწევა, გამოუთქმელი სევდის ჩამოსხმა უბრალო, ჩვეულებრივ სიტყვებში. აქ მთელი ცხოვრებაა, მთელი ტრადედია ადამიანისა.

ობოლი მუშის სევდა მუშური გულის კვნესაა, რაც უფრო ღრმა არის ის, მით უფრო ძლიერია რწმენა და იმედი ძლიერია და გამარჯვებისა.

სევდის ფურცელი მას კი არ უბზობს ოცნების კარს, პირიქით უფრო უღებს და პოეტი იმედ ვაცხოველებული და სახე გაბრწყინვებული მიისწრაფის წინ.

პოეტის ლექსი საკმაოდ მუსიკალურია და შინაარსი და გარეგნობა შეთანხმებული შიდიან სრული გამარჯვებისაკენ.

გასულ წელს ერთობა-სა და ცისარტყელა-ში იბეჭდებოდა ხარიტონ ვარდოშვილის ლექსები.

პოეტი ახალგაზრდაა და ამიტომ მისი სული მისი აზროვნება ქაოსიდან ახლა იბადება და ცდილობს გარკვევას.

იქვიანი, მოუსვენარი ფიქრი და მტანჯველი სევდა — აი მთელი შინაარსი ვარდოშვილის პოეზიისა.

არც სიხარული, არც ვარდები

ჩემს ბაღში ეხლა ლამაზ ფერებით.

პოეტი ებრძვის საკუთარ ბუდს, მაგრამ გამარჯვება არა სწამს, სიმტკიცე და იმედო დაჰლუპვია.

გადაშემტერა ქაროშხალები,

ფიქრებმა შავად იწყეს შეფერვა.

ბრძოლას ერთგვარი აზრიც ეკარგება, რადგანაც პოეტი წინდაწინვეა დარწმუნებული, რომ.

დახშული არის ბედის კარები

და სავლელ გზებზე ღმუის გრიგალი:

შინაგანი ხმა ეუბნება პოეტს:

შენ ღამეები მოგიპარავენ

და გაწამებენ კუდიანები.

ხანდახან მგოსნის სევდიან გულში იმედის სხივი ჩაესვენება და პოეტს სული გაუბრწყინდება:

ელვიან ცეცხლის ხარ მადევარი.

ასეთს წუთებში პოეტი შორს მიჰყავს ოცნებას, სტოვებს ძველ გზას ჯოჯოხეთის შავი სანთლებით მოფენილს და ეძებს ახალს, სპეტაკს, ბრწყინვალეს.

აინთე გრძნეულ იდუმალებით
და დაიცალე მზიურ ჰანგებათ.

მაგრამ წუთიერი გატაცება და იმედის გაელვარება გაივლის და პოეტის სულსა და გულს ისევ სევდა დაეპატრონება.

სევდის, უიმედობისა და იქვების ნიადაგზე იშლება ერთგვარი შიში.

მაგრამ შემოვა იქვთა გროვა ჩემს სულში ბნელი
და გამოუცნობ შავი შიშის ბინდით დამბურავს.

პირადი სევდის თვალსაზრისით უცქერის პოეტი საზოგადოთ ცხოვრებას.

ქვეყანა ცოდვით არის შემოქარგული, ძმობა და სიყვარული არ არსებობს, საწუთრო დაწყევლილია და ცხოვრება არ ღირს არაფრათ,—აი პოეტის შეხედულება.

მკითხველთ ადვილათ მიხვდება, რომ ვარდოშვილს ბევრი რამა აქვს საერთო სიმვოლისტებთან: საერთო მოტივები; საერთო კილოა, საერთო სულიერი განწყობილება და საერთო ფორმა.

მაგრამ ეს მგზავსება არის მხოლოდ დროებითი ნაყოფი სიმვოლისტების ძლიერი გავლენისა. ამ გავლენიდან ფორმა სიმვოლისტებისა სამუდამოთ შერჩება ვარდოშვილის პოეზიას. შინაარსი კი არა. იმიტომ რომ სიმვოლისტების სევდასა და გამოუცნობ შიშში სოციალური მოვლენა, მთელი კლასი იხატება.

ვარდოშვილის სევდასა და გამოუცნობ შიშში კი მხოლოდ და მხოლოდ ყრმობის დულილის ჩვეულებრივი, ბუნებრივი და წარმავალი სულისკვეთებაა. ამას ცხადათ ამტკიცებს ის წინააღმდეგობა, რომლითაც მდიდარია ვარდოშვილის პოეზია. ასეთი წინააღმდეგობანი ყრმობის სულიერი ძიების დამახასიათებელია.

ერთ წამს პოეტი სასოწარკვეთილებით არის შეპყრობილი:

სახრჩობელები შენთვის მზად არი
და გელოდება კორიანტელი.

შეორე წამს გრძნობს, რომ ელვაზე ჩამონათალ ცეცხლს ატარებს გულში, იმედით სავსე ჰგალობს:

ელვიან ცეცხლის ხარ მადევარი,
გიყვარს ვულკანის დიდი ანთება.

და ღრუბლებისაკენ მიისწრაფის, რომ იქ დააბინაოს თავისი ოცნება.

ჩემი ოცნება დავაბინავე

მაღალ ღრუბლებში, ვით ღმერთის ნება.

ასეთ წინააღმდეგობას სულიერი განწყობილებისას პატარა მანძილზე საზოგადოებრივი სარჩულით ვერ ახსნით, მასა აქვს—თუ ვნებავეთ—ფიზიოლოგიური სარჩული: ყრმის სხეული სრულდება, მწიფდება, გულში უცნობი გრძნობანი იშლება, ფიქრი თავს აიწყვეტს და გაურკვეველ ძიებაშია.

ასეთი ყრმობის ხანაში მყოფი სული პოეტისა აღარ კმაყოფილდება ძველი შინაარსითა და ფორმით, ის ახალს უცნობს, უხილავს ეძებს და ამ გზაზე შეხედება სიმვოლისტურ პოეზიას.

გაელენა და ერთგვარი გაბრუება, დამორჩილება აუცილებელია.

ხარტონ ვარდოშვილს ცხოველი ნიჭი აქვს, ტემპერამენტი, მდიდარი გრძნობა, აღმაფრენა, ხოლო ეს ნიჭი ჯერ დუღილშია და გარკვეული სახე ვერ მიუღია. მას ჯერ დიდი შრომა სჭირდება.

ქართულ ნიჭს ხშირათა აქვს ერთი ნაკლი: მე ვარ და ჩემი ნაბადი.

რაკი ახალგაზრდას ნიჭი აღმოაჩნდებოდა, ყოველივეზე გული აუცრუვდებოდა, ნიჭიც მეყოფაო. წამოახტებოდა ცარიელ ნიჭს და იმდენს ახრიგინებდა, რომ სულ მოკლე დროში გააძვალტყავებდა.

თავადიშვილს სწავლა რათ უნდაო, ჰფიქრობდა ძველათ თავადიშვილი,—
ყმა და მამულიც ეყოფაო.

პოეტს სწავლა რათ უნდა, ნიჭით გზას გაიკვლევსო, ჰფიქრობს ჩვენში ზოგიერთი ნიჭით აღბეჭდილი ახალგაზრდა.

მარტო ნიჭი, რაც უნდა ძლიერი იყოს, დამბული ლომია.

ყოველი პოეტისათვის წასაბადი მაგალითი უნდა იყოს დიდი გიოტე: დიდ ნიჭთან ერთათ მას ჰქონდა დიდი ცოდნა, დიდის შრომით შეძენილი. თავისი ცოდნის წყალობით მეცნიერებაშიაც კი დასტოვა კვალი.

ფაუსტი იმდენათ ძლიერია შინაარსით, და ღრმა და მდიდარი აზრით, რომ ვერავითარი ნიჭი ვერ შესძლებდა იმის დაწერას, თუ არ იქნებოდა შეიარაღებული დიდი ცოდნითა და განვითარებით.

მუხამბაზური ხანა, როდესაც პოეტისათვის მარტო გრძნობა იყო საჭირო, სამუდამოთ წავიდა და აღარ დაბრუნდება. დღეს პოეტისათვის საჭიროა დიდი ცოდნა, ყოველ მხრივი განვითარება.

ეს კარგათ უნდა ახსოვდეთ ახალგაზრდა მგოსნებს.

დინჯი, აზრიანი მგოსანია იასამანი, მაგრამ ძუნწია. გასულ წელს ის სევდარებით უხვი იყო და მისი ლექსები უმთავრესათ ცისარტყელაში დაიბეჭდა.

წარსულის სიღარბისლე და თავ დაჭერილობა, აღმოსავლეთის მხურვალე ლოცვა და ჩუმი, აზრიანი სევდა შეერთებულია იასამანის პოეზიაში. მხატვრული ზომიერება, აუჩქარებლობა თან ახლავს მგოსანს, და როგორც სევდაში, აგრეთვე ოცნებაში სიმშვიდე და სიმტკიცე გამოიჩინა.

გრძნობათა სადავე ხელში უჭირავს და ყოველგვარ მოვლენაში აზრს ეძებს.

მგოსნის შემოქმედება მდიდარია შინაარსით და განყენებული აზრისა და ბუნების დასურათება მას ერთნაირის სილამაზით ეხერხება.

პოეტის შემოქმედება სევდის ნაზ ბურუსშია გახვეული. მისი სევდის სარჩული არც პირადულია, არც საზოგადოებრივი, არამედ უფრო ფილოსოფიური. აზროვნების ამ თვისებით პოეტსა აქვს მგზავსება ბარათშვილთან, ამ მსოფლიო სევდის მგოსანთან.

ბარათაშვილის გულის თქმა ზეცას იქით „ეძიებს სადგურს, ზენაარსთ სამყოფს“, მას სწყურია მისწვდეს მთელი სამყაროს საიდუმლოებას. მაგრამ ფიქრი უძლეურია, სიძნელე დაუძლეველი, ბჭენი მსოფლიო საიდუმლოებისა მაგრამ ჩაკეტილი ადამიანის გონებისათვის.

აქედან იშლება ბარათაშვილის სევდა მიუწდომელისა და აუხსნელის გამო.

სწორეთ ამ გარდუვალ ბჭეთა გაღებას ცდილობს იასამანის მაძიებელი სულიც, მაგრამ

ამ ქვეყნის ტანჯვათ მე ვერ მივსცემ ანგარიშს ბეჯითს,
იღუმალია, მოკლებული კაცთა ცნობასა.

ამიტომ არის მშვიდი სევდით შეფერილი მგოსნის პოეზია.

ლექსი იასამანისა კარგათ არის დამუშავებული და მუსიკა საუცხოვრთ შეფერება შინაარსს.

ამეტყველდა გასულ წელს აბაშელიც, ეს მზის მგოსანი.

როდესაც აბაშელს ერთხელ ეს სახელი ვუწოდე, ზოგმა არ მიიღო: პოეტი, რომლის სიმღერაშიაც სევდის ჰანგები ისმის, მზის მგოსნათ არ ჩაითვლებათ.

სევდის გარეშე მყოფ მგოსანს ვუწოდებდი უფრო მზიურ მგოსანს. აბაშელმა მოგვცა საუცხოვო, მეტათ პოეტური სახე მზისა, უკვდავი, ყოვლად ძლიერი მზისა.

პოეტს უყვარს უძილო ღამე, სევდის წვეულება, მაგრამ ამავე დროს მზის თაყვანისმცემელია, მზისა შუქთა აღტაცებული მომლოდინე, მზის ამოსვლას ისე შეჰხარის, როგორც ტოროლა, ვარდის კოკორი ან ცვარი.

ბუნების მოვლენათა ამეტყველება და გადმოცემა შესაფერის ფერადებით უველაზე ძლიერათ აბაშელს ეხერხება.

აბაშელის შემოქმედებაში ორი ხანაა: პირველ ხანაში ის საზოგადოებრივ სევდით დანისლული და დიადი ბუნების ტრფობით ამღერებული მგოსანია; მეორეში კი—საკუთარი სულის მხატვარი.

უკანასკნელ დროს მისი შემოქმედება უფრო ამ სულიერი განცდის ხვეულებში ტრიალებს.

ლამის სარკეში და ლამის მხატვარში ძველი აბაშელია. აქ ის იძლევა დიდებულ სურათს ბინდისა და შელამებისა, როდესაც

სალამოს ჩრდილში დაისვენებს დღის მოჩვენება.

ხენი ცისაკენ ამართავენ ტოტებს მუდარით.

ლამისა, როდესაც

ჩამქრალ მნათობის გაბრწყინდება ცაში ხსენება.

იისფერ ნისლში გათეთრდება კოშკი ღრუბლისა.

განთიადისა, როდესაც

ბროლის ქალაქს უცებ აცხლი წაეკიდება,

და გათენებისა, როდესაც

დაინგრევა წითელ წვიმით თეთრი მშვენება.

სულიერი განცდა პოეტისა სევდის ნაზ ფერებშია დაფერილი.

კრემლმა დაპტვირთა ჩემი სიტყვები

დაუსრულებელ სიმწუხარეში.

და დამჩნა მხოლოდ ძვირფასი ქვები

მოგონებათა უცხო მხარეში.

გრძნობათა სინაზე, ღრმა სულიერი განცდა საუცხოვოთ არის შეთავსებული ტაძარში, რომელიც საუცხოვო სურათია თანამედროვე ინტელიგენტის გაორებული სულისა.

არა მწამს ღმერთი და მის სახლში რაღა მეტირება?

აბაშელი ქვიანი, აზრიანი და გრძნობით მდიდარი პოეტია. მას ადვილათ ეხერხება ჩვენი გულის უნაზეს გრძნობათა ტკბილათ, სათუთათ შეხება და სანეტარო განცდის სხივებში დაშვნიდება. ჩვენი სევდისაგან დაფორაჯებული სულია.

მუსიკა მისი ლექსისა ტკბილი და ალერსიანია, ფორმა დამთავრებული.

გასულ წელს ვარლამ რუხაძეს იმედის საყვირი ეპყრა ხელთ.

მისი პოეზია მუდამ ბრძოლისა და იმედის საყვირი იყო.

პოეტის შემოქმედება მეტათ სალი და მტკიცეა. ამ მხრივ ის უტყუარი გამო-
წახატველია მუშათა კლასის კვებებისა. ვარლამ რუხაძე ერთგვარი ფოკუსია, სადაც
თავი მოუყრია მუშურ აზროვნებას, ფიქრს, გრძნობას, სევდას, იმედს და სიმტკი-
ცეს.

პოეტის ფიქრი მუშათა კლასის ფიქრია; მისი კენესა გულისა—მუშათა კლა-
სის სევდაა; მისი გულის წყრომა—მუშათა კლასის გულის წყრომა; მისი ცეცხლი
და იმედი—მუშათა კლასის ცეცხლი და იმედი.

სევდის ალები მგოსანს სჩვევია, მაგრამ სევდა მას ვერ ერევა, ის თვითონ
სძლევს სევდას და ასეთი ბრძოლის შემდეგ.—

მეც ახალ ძალით, ახალ რწმენით შევიმოსები.

პოეტი სიცოცხლის მოტრფიალეა:

ქალარა მავიწყდება, გრძნობა ჩქეფს ნაკადებათ.

და ვიძახი: სიცოცხლე რა კარგია, რა კარგი!

იქვიანობა, შავი ფიქრები მგოსანსაც სჩვევია, მაგრამ სასოწარკვეთილება,
შიში, უიმედობის უღელქვეშ ქედის მოხრა და დაძაბუნება რა არის, არ იცის.

მაგრამ გული კვლავ მღერის,

სევდა არ ეკარება.

რატომ არ ეკარება? იმიტომ რომ პოეტის ბუნება მთლიანია და რწმენით
გაკაეებული, როგორც ბუნება თვითონ მუშა ხალხისა.

პოეტის სიმღერაში ძველებური ბრძოლის ყიჟინი ისმის:

მომეცით ცეცხლი! მომეცით ცეცხლი!

მინდა, დავბუგო ქვეყანა ძველი,

გავაცამტვერო ოქრო და ვერცხლი,

რომ არ ხარობდეს იუდა გველი!

მგოსანმა იცის, რომ რევოლიუციის ქარიშხალს ბევრი გაჭირვება მოაქვს თვით
მუშათა კლასისათვის, ფიქრი, ტანჯვა, შევიწროება, შიმშილი, სიცივე უფრო მა-
ტულობს მოკლების ნაცვლათ, მაგრამ ეს მოვლენა მას არ აშინებს: მას სწამს,
რომ ყოველივე ეს გაივლის და მუშა ხალხისათვის აღმოცენდება რევოლიუციის
ნანგრევებიდან ახალი ცხოვრება.

სადაც სევდა არ სტირის, არც კენესს ფიქრი ჩაგრული,

სიყვარულზე მღერიან შვების ფარშევანგები!

გასულ წელს გამოვიდა მგოსნის ზღაპრები, რომელიც პირდაპირ განძია ჩვენს
სახალხო და ყრმათათვის საკითხავ მწერლობაში. მსუბუქი, ცელქი, მხიარული ენა,

მოცუვავე სიტყვები, მუსიკა და აზრი საუცხოვოთ არიან ერთათ შეწყობილი. თავის ზღაპრებში პოეტი მაგონებს ჩვენს აკაკის.

რა კარგი იქნებოდა, რომ ამ წლიდან ვარლამ რუხაძე უფრო ნაყოფიერი იყოს!

დიდ რევოლუციას თან მოსდევს დიდი ნგრევა; დიდ ნგრევას თან ახლავს დიდი გაჭირვება.

ჩვენი მუშათა კლასის მდგომარეობა აუტანელია. გოლიათის სულგრძელობა და მოთმინება ჰქონია მას.

რომ არ მოითმინოს, რა უნდა ჰქნასო, იტყვის მკითხველი.

თუ ვერასფერს იზამს და ვერას გახდება, გულს ხომ მოიფხანს, აბობოქრებულ სულს ხომ დაიოკებს, დაღეწავს ყველაფერს და მერე აღარას დაეძებს.

არა გვაქვს შეშა, არა გვაქვს პური,

ვყრივართ უმწეოთ ბედის ამარა...

როდემდე ვზიდოთ სიცოცხლე კრული?!

როდის შეგვშრება ცრემლთა კამარა?!

ასეთი გოდება დღითი დღე მატულობს მუშათა კლასში და სწორეთ ასეთად როს საჭიროა, რომ მუშათა კლასს ყოველ დღე სწვდებოდეს ვარლამის გამამხნეებელი, იმედითა და ცეცხლით სავსე სიმღერა.

გასულ წელს დაიბეჭდა სხვა და სხვა ახალგაზრდა მგოსნის ლექსები. ზოგიერთი რიგიანი იყო, მაგრამ.

მას მელექსე არა ჰქვია,

რომელმა სთქვას ერთი, ორი.

მოვუცადოთ,—დრო წაშლის უვარგისს და იგივე დრო გამოაჩენს კეშმარტ ნიქს.

გამოვიდა რამოდენიმე ნომერი ბარკადისა, რომელიც ცდილობს ახალი გზების გაყვანას ჩვენს პოეზიაში.

მეტათ დიდი, პასუხსაგები და საპატოო საქმეა. ვინც ასეთ სამუშაოს ჰკიდებს ხელს, ის ნაცარქექიას კორიანტელს არ უნდა იმეორებდეს. სერიოზულ საქმეს სიღინჯე შეშვენის, ყვირილი, ჰაი-ჰუი, ხმაურობა და ბაქი-ბუქი კი არა.

ეს სხვათა შორის, ახლა თვით საგანზე გადავიდეთ.

ახალი გზის გამკაფველნი პოეზიაში არიან ჩვენში ცნობილი სიმელოისტები.

ჰყავთ მათ ნიქიერი წარმომადგენლები.

ერთია ნიჭი, მეორე—სკოლა, მიმართულება. ჩვენში ხშირათ ამ ორ სრულე-
ბით სხვა და სხვა მოვლენას ერთმანეთში ურევვენ. თუ მოსწონთ მიმართულება,
ყველა ნიჭიერი ჰგონიათ; თუ მიმართულებას არ იზიარებენ, ნიქსაც უარჰყოფენ.

ნიჭიერი და უნიჭო წარმომადგენელი ყოველგვარ მიმართულებასა ჰყავს. ერთია აგრეთვე ნიჭი, მეორე საქმეა მისი მიღება სრულათ.

პოეზიაში უნდა ვარჩევდეთ შინაარსსა და ფორმას.

აიღეთ შოთას სიტყვები:

ვინცა მოჰკვდეს მეფეთათვის,

სულნი მათნი ცათა ჰრბიან.

შინაარსი უაღრესათ მონარქიულია და რეაქციონური დღეს (შოთას დროს ფეოდალების ბატონობის ხანაში სწორეთ ძლიერი მეფე იყო საჭირო და მეფის იდიის განმტკიცება ფეოდალების დასამხობათ), ფორმა კი ლამაზი. ამიტომ აზრს უარვეყოფთ, ფორმას კი ვღებულობთ.

ყოველი მიმართულების პოეზიაში საზოგადოებრივი სული ლაპარაკობს.

ვისი სულია სიმვოლისტების პოეზიაში, რომელი საზოგადოებრივი კლასის სულიერი განწყობილებაა შიგ გახვეული?

ჩვენში სიმვოლიზმი გადმონერგულია ევროპიდან, უფრო საფრანგეთიდან.

დასავლეთში სიმვოლიზმმა ფრთები გაშალა რევოლუციის ხანაში, ბურჟუაზიის ბატონობის დროს, რევოლუციის ქარიშხალში უმთავრეს მომქმედ კლასათ გამოვიდა პროლეტარიატი.

ბურჟუაზიის დაეკარგა წმენა საკუთარი ტახტის სიმტკიცისა. შრომისა და კაპიტალის სრული წინააღმდეგობა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის აუცილებლობა, პროლეტარიატის ზრდა და გაძლიერება, კაპიტალიზმის აუცილებელი დამარცხება—აი როგორი სურათი გადიშალა ბურჟუაზიის წინ.

სულიერი სიმტკიცე ბურჟუაზიისა დაირღვა, შავი აჩრდილები გაჩნდნენ, ის შიშმა შეიპყრო.

ამას წინეთ ბურჟუაზიის საუკეთესო წარმომადგენელმა ლოიდ-ჯორჯმა ერთ თავის საჯარო სიტყვაში ნათლათ გამოაშკარავა ეს შიში: შავი აჩრდილი იზრდება ჩვენი ქვეყნის ცაზელო.

აქედან უკვე იბადება იქვიანობა, ტანჯვა, სასოწარკვეთილება, პესიმიზმი, სარწმუნოებრივი გრძნობის გაძლიერება, სრული უნგეშობა, სულიერათ გაორება, ლანდებით, ქიმერებით, ოცნებით, ცრუმორწმუნეობითა და მაგარი ნივთიერების საშუალებით აზროვნების გაბრუება სინამდვილის დასაფიწყებლათ.

თავისთავათ ცხადია, ასეთი სულიერი განწყობილება მთელი კლასისა ბუნებრივია, როდესაც ამ კლასმა სულიერი სიმშვიდე და მყუდროობა დაჰკარგა და პროლეტარიატის ძლევა-მოსილება საშინელი სინამდვილის აუცილებლობას უხატავს წინ.

ეს კლასობრივი სულიერი ვითარება გადადის პოეზიაშიაც.

რა უნდა შეიტანოს შიგ. აუცილებლათ?

ყველა თავისი თავისება.

მივმართოთ ახლა ჩვენს პოეზიას.

იტანჯი მალვით და გაშინებს შენც დაღამება;
ჰკანკალებ ჩუმათ, როს გაიარს ლანდი სიკვდილის:
როდესაც დაღლილს აღარსად მაქვს გზა წასასვლელი,
და ველარ შევსძლებ გამოუცნობ შიშის ატანას,
გავრბივარ შენგან: მეჩვენები ჯალათი, მკვლელი.
და თრთოლვით ველი, რომ ბეჭებში დამარტყამ დანას.
მაშინ ეს ქუჩაც ფეხს აიდგამს, გამოიქცევა,
შავი სახლები დასაქერათ მიწვდიან ხელებს;
ავ მოჩვენებათ ეს ქალაქი გადაიქცევა,
გამომაკიდებს შთვარეულებს და თავის მკვლევებს.

ვისი სულიერი განწყობილებაა აქ?

დამარცხებული და საშინელი სინამდვილის წინაშე მდგომი ბურჟუაზიისა.

ამ სტრიქონებში პირდაპირ სამაგალითო და მეტათ მხატვრული სურათია გამოუვალი შიშით და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი კლასობრივი სულისა და ეკუთვნის კოლაუ ნადირაძეს (ბალდაზნი. ჩემს სულს).

განა სევდა, სასოწარკვეთილება და მწუხარება პროლეტარიატმა კი არ იცის? იცის, როგორ არ იცის. გადაშალეთ ვარ: რუხაძე, ქუჩიშვილი, აბაშელი, ობოლი მუშა, ევდოშვილი, ჩხიკვაძე და თქვენ აქ ნახავთ მუშა ხალხის გულის კვნესას, სევდასა და მწუხარებას.

მაგრამ განსხვავება დიდიჲ, პრინციპიალური:

ბურჟუაზიის სევდიდან არავითარი გამოსავალი არ არის,—უნდა ჯვარს ეცვა და დაიღუპო აუცილებლათ.

პროლეტარიატის სევდიდან კი არის გამოსავალი: რწმენა გამოჯვებისა და თავგანწირული ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე..

ბურჟუაზიის ეს რწმენა არა აქვს და ამიტომ მუდამ შავი აჩრდილები ეღიანება წინ.

პროლეტარიატს ეს რწმენა აძლევს ძალღონეს და სევდა უფრო აძლიერებს მასში ბრძოლის ცეცხლს.

ვინაც კვნესის, იმან იცის ყოფნის ვალი!
აწმყოსაგან მსხვერპლსა ითხოვს მომავლი;
და როდესაც სამსხვერპლოზე იგი დნება,
როცა ოფლსა ცხარე ცრემლი ეთვისება,
ის ნაღველი ბრძოლის ცეცხლათ უნდა იქცეს,
ძველი ყოფნა ჩაიტანოს და დაიქცეს!

გვიგალობს ნოე ჩხიკვაძე, ეს არის მუშათა კლასის შეხედულება.

ვარლამ რუხაძესა აქვს ერთი ჰატარა ლექსი ვულკანის მლოოდინში.

მიწა გუგუნებს, მიწა ზანზარებს,
ხომ ხედავთ აგერ მის ღრმა ნაბზარებს?
ალბათ ვულკანიც ამოხეთქს მალე
და ნანგრევებში ჩაფლავს ამ ზარებს!
ბევრს ეშინია: თრთის და კანკალებს...
ჰე ეს მოვლენა ისე მახარებს,
მე ისე მიყვარს განწმენდის ცეცხლი,
რომ ჩემი სული ცეკვავს, ხარხარებს!

აი სულიერი განწყობილება მუშათა კლასისა.

აქედან ჩემი ერთათ-ერთი დასკვნა ასეთია:

სიმვოლისტების პოეზია თავისი შინაარსით გამოჰჩატავს ბურჟუაზიის სულის კვეთებას და რეაქციონურია, ქართველი მუშათა კლასი მას ვერ მიიღებს და არც მიიღებს:

ბარიკადის პირველი ნომრის მეთაურში ვკითხულობთ:

„პროლეტარიატმა გამოიხმო საქართველო ახალი ცხოვრებისათვის და ის მისცემს მის ცხოვრებას ახალ რიტმს“.

ეს სრული ქეშმარიტებაა.

ქვევით გაზეთი განაგრძობს:

„ამ ახალ ცხოვრების ბარიკადებზე ვიბრძვით ჩვენ“.

აი ეს სრული გაუგებრობაა.

სიმვოლისტების პოეზიის სულიერი განწყობილება არ არის პროლეტარიატის სულიერი განწყობილება, მაშასადამე პროლეტარიატის ახალი ცხოვრება ვერ გახდება სიმვოლისტების ახალ ცხოვრებათ... ამიტომ ვერც იბრძოლებენ ისინი ერთ-ერთსა და იმავე ბარიკადებზე.

რა თქმა უნდა, სიმვოლისტებს გულწრფელათ ჰგონიათ, რომ ეს ასე იქნება. ჩემთვის კი საბუთია არა ის, თუ მათ რა ჰგონიათ, არამედ ის, რაც მათს პოეზიაშია.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიას მათ ქვა და გუნდა მიაყარეს, პოლიტიკას ემსახურებოდაო.

ისინი უარყოფენ პოლიტიკას პოეზიაში, წმინდა პოეზიას ემსახურებიან.

ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში განუხორციელებელი. სანამ საზოგადოება კლასებათ არის დაყოფილი, პოლიტიკაც იქნება: მაშასადამე ვერც პოეზია აცდება ამ პოლიტიკის გავლენას.

მაგრამ არის პოლიტიკა პროლეტარიატისა, არის პოლიტიკა ბურჟუაზიისა.

თქვენ გგონიათ, ჩვენი სიმვოლისტები ასცდენ პოლიტიკას?

სრულებით ვერა.

მათ მხოლოდ უნდოდათ, პოლიტიკა თავიდან მოეშორებიათ, მაგრამ როგორც კი ცხოვრების სინამდვილეს შეეჯახენ, ამ სინამდვილემ მათ მოახვია პოლიტიკა.

შალვა კარმელის ტრაპიზონი. განა პოლიტიკა არ არის?

საკითხავია მხოლოდ შემდეგი: ვისია ეს პოლიტიკა — პროლეტარიატისა, თუ ბურჟუაზიისა?

ამის პასუხს ბარიკადის მეორე ნომერი გვაძლევს:

„ჩვენ ვართ პირველი ქართველი იმპერიალისტები“. ვკითხულობთ იქ.

მე აქ არ შევუდგები იმის რკვევას, კარგია, თუ ცუდი იმპერიალიზმი. ვთქვათ, ძალიან კარგია, მაგრამ საქმე ხომ ამაში არ არის.

საქმე იმაშია, რომ ასეთი პოლიტიკის მომხრე ხალხი პროლეტარიატის ახალ ცხოვრებას ვერ შექმნის და ვერც მასთან ერთათ იბრძობეს საერთო ბარიკადებზე.

განა ჩვენი ცხოვრება არ გვიმტკიცებს, საითკენ არის სიმპატია სიმვოლისტებისა?

ნაციონალ-დემოკრატებისაკენ, რომლებთანაც მათა აქვთ იდეური კავშირი.

ნაციონალ-დემოკრატობა არც სათაკილოა, არც ხელწამოსაკრავია. გადაჭარბებული იმედებისა და ოცნების ხანა გაივლის და დავრწმუნდებით, რომ ამ პარტიას დიდხანს ექნება ნიადაგი ჩვენს ცხოვრებაში; ახლო მომავალში ის უფროც გაძლიერდება.

მაგრამ ვინც ნაციონალ-დემოკრატებთან არის ან მათ უახლოვდება, ის პროლეტარიატთან ვერ იქნება და იმის ახალ ცხოვრებას ვერ ემსახურება.

მიუხედავად ამისა სიმვოლისტებმა მაინც შეიტანეს ახალი ჩვენს პოეზიაში, ეს არის ლექსის სილამაზე, მისი ფორმა. ამ მხრივ ჩვენმა პოეზიამ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და სიმვოლისტებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ გზაზე.

ლექსის გარეგნობისათვის ისინი მუშაობენ მეტს, ვიდრე წინათ მუშაობდნენ. მათ მიერ შემუშავებულ ფორმას ლექსისას ზოგიერთ შესწორებით ჩვენი პოეზია ვერ აცდება.

ჩვენი დღევანდელი პოეზია ამას ჰმოწმობს. მათ მიგვითითეს ლექსის ბევრ ისეთ მხარეზე, რასაც ჩვენი პოეზია ან ვერ ამჩნევდა, ან ყურადღებას არ აქცევდა. ანდა არც იცოდა.

სიმვოლისტებსა აქვთ ერთი დიდი ღირსება: მათ შეჰქმნეს პოეზიის ორდენი, პოეტების ძმობა.

ერთი აზრით არიან გამსჭვალულნი, ერთი მეორე უყვართ, პატივსა სცემენ და ერთმანერთი ზეპირათ იციან, ერთი-მეორისათვის ცოცხალი წიგნები არიან და ერთმანერთს სიყვარულითა და დაყენებით ავრცელებენ.

სხვამ ვინ მოახერხა ეს ჩვენში?

ვინ იფიქრა, ან იზრუნა ამაზე?

ეს კი აუცილებელია; მისაბაძვია.

ამით გავათავოთ პოეზიის განხილვა და მივმართოთ ბელეტრისტიკას.

გასულ წელს ისიც შინაარსიანი იყო.

ბელეტრისტიკის ცას ჯერ ისევ ძველი მნათობნი ამშვენებენ. დიდიხნის სიჭუმის შემდეგ ხმა ამოიღეს არაგვისპირელმა, კლდიაშვილმა.

არაგვისპირელის გაბზარული გული თავისებური, აზრიანი და შინაარსიანი ნაწარმოებია. აუცილებელია, რომ ის ცალკე წიგნათ გამოვიდეს, რაც შეიძლება მალე. ორი მთავარი გმირია: მხარე და ეთერი. მათი სულიერი ტრადედია ორ ნაწილათ იყოფა,—ერთია ეთერის გათხოვებამდე, მეორე—ეთერის გათხოვების შემდეგ. პირველში მეტი ძლიერება, მეტი შემოქმედებაა, ვიდრე მეორეში. არაკის ხასიათიც არ არის ყველგან დაკული: ზოგან შინაარსი არაკისა არის, სხვა ალბანას კი სინამდვილის დამასურათებელი მოთხრობისა, ეთერის სურათშიაც არის ყალბი ხაზები;—მაგრამ ყოველივე ეს მცირეოდენი ნაკლია.

ოთარაანთ ქვრივის შემდეგ გაბზარული გული საუკეთესო ნაწარმოებათ მიმაჩნია ენის მხრით: შიო არაგვისპირელის ენა აქ საუცხოვო ქართულია.

დავით კლდიაშვილის ბაკულას ღორები დაიბეჭდა ცისარტყელას № 8-ში.

ეს მოთხრობა საუცხოვო და მეტათ ლამაზი სურათია იმერეთის ყოფაცხოვრებისა.

დავითი იმერეთის ცხოვრების საუკეთესო, შეუდარებელი მხატვარია. იმის მოთხოვნებში იმერეთის სინამდვილეა მისი ყოველი დამახასიათებელი თვისებით.

დავით კლდიაშვილის თვალს არ გამოეპარება უბრალო წვრილმანიც კი, რაც ამ ცხოვრებას რაიმე მხრით ახასიათებს.

მისი ნიჭის ღირსებას ის შეადგენს, რომ არ ეძებს უჩვეულოს, შეუძლებელს ან მეტათ რთულსა და დახლართულ კვანძს მოთხოვნიას. აიღებს სრულებით ჩვეულებრივ შემთხვევას და მოგცემთ დასრულებულ სურათს მთელი ცხოვრებისას.

გასაოცარია, რა ადვილათ და თავისუფლათ ემორჩილება ბელეტრისტს სიტყვა იმერეთის დასახატავათ.

ჩვეულებრივი შემთხვევა, უბრალო ამბავი, უბრალო სიტყვები, — მთელი მოთხოვნა კი. მეტათ ლამაზი.

რაშია საიდუმლოება, რომ კლდიაშვილი ამ უბრალო მასალით იძლევა სრულ ნაწარმოებს?

იმერეთის ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნასა და პოეტურ ზომიერებაში.

ბელეტრისტს შემოქმედის თვალი აქვს მეტათ მჭრელი და განვითარებული.

საკუთარი ფანტაზია დავითისა არ არის დიდრი. წაართვით მას სინამდვილე და ის ვერ მოგცემთ თავის სინამდვილეს.

ხოლო სინამდვილეში ის ერთის თვალის გადავლებით დაინახავს ყოველ ხაზს და გაიმეორებს სიტყვის შემწეობით ზედმიწევნითა და უნაკლოლოთ. კი არ ჰხედავს სინამდვილეს მარტო, გრძნობს, ჰყნოსავს ამ სინამდვილეს და ამიტომ მისი სურათიც დასრულებულია.

ამ შემთხვევაშიაც კლდიაშვილს აღებული აქვს უბრალო შემთხვევა: მეზობლის ღორების გადასვლა მეზობლისავე ბოსტანში.

მაგრამ ამ შემთხვევის ნიადაგზე ბელეტრისტი ჰხატავს საუცხოვო სურათს იმერეთის ყოფაცხოვრებისას.

ვასილ ბარნოვი რწმენისა და ოცნების მწერალია. არსებული სინამდვილე, ყოფა ნივთიერი, სხეულიანი მას არ იზიდავს. იმის ფიქრს უფრო უსხეულო სხეულთა, უნივთო ნივთთა არსებობა ასაზრდოებს.

ბელეტრისტსა სწამს, რომ არსებობს ასეთი სინამდვილე, ხოლო ყველას არა აქვს თვალი. იმის არსთა სანახავათ და ყური ზმის უცხო ხმათა სმენათა

ასეთი ბუნების მწერალს უფრო წარსული იზიდავს. ერთი იმიტომ რომ იქ მეტია რწმენაც, ოცნებაც, მეორე იმიტომ რომ წარსული კიდევ არსებობს და

არც არსებობს, ის უსხეულოა და შენახულია ჩვენს წარმოდგენაში, ჩვენს მეხიერებაში.

ბარნოვს უყვარს ამ წარსულიდან, „შავეთიდან“ ძველი სახეების გამოძახება. იმის თვალწინ „კაშკაშდებიან ძველი სახეები, იძვრიან, ცოცხლდებიან; მეორედებიან უწინდელი ამბები“.

ძველი ცხოვრება, ძველი ამბები—აი სად არის ბარნოვის გონება- ხოლო ხანდახან თუ ის აწმყოსაც მოჰკიდებს ხელს, მხოლოდ იმიტომ რომ არა ჩვეულებრივი, არა ბუნებრივი, უსხეულო არსებობის დამახასიათებელი რომ გვაჩვენოს.

ცისარტყელაში დაიბეჭდა მისი „განასკვილი სიმი“ და „ყვავილი მიმომავალი“.

ორივეში ბარნოვის ნიქის ძირითადი თვისებაა.

პირველში თითქოს აწმყოც არის, მაგრამ მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს აუცილებელია ძველი თბილისის მოქალაქის ძველი ცხოვრების აღსადგენათ.

ბარნოვს უყვარს ძველი მოქალაქე მისი მარტივი ცხოვრებით. ეს ცხოვრება გარდვიდა, აღარ არსებობს და ბარნოვის შემოქმედებაში ერთგვარი სევდაა ამის გამო.

„მიედიოდით პირ მხიარულნი, მწვანილ-ბოლოკი, მოთალი, თევზ-ხიზილალა; ტკბილი ლულუნი, თარზედ ღიღინი. მარჯვე დიასახლისი მოსიყვარულე. სხვებიც შეგვესწრებოდნენ ხანდისხან. სამხარი ვახშმად გადაგვექცეოდა, ჩემი შექცევა— ახმაურებულ მხიარულებად. მეტადრე, თუ აშულ მიქელა შემოგვესწრებოდა, რა თქმები, რა ხმები! საარშიყო ლექსები, ძველებური ამბები“.

ბარნოვი საუცხოვო მხატვარია წარსულისა, წარსულის სიყვარულითა და სევდით სავსე. წარსულის სახეებს ყველაზე უკეთ ბარნოვი ჰხდავს ჩვენს მწერლობაში, ყველაზე უკეთესათ უგდებს ყურს და გადმოგვცემს მათს ნაამბობს, სევდიან მოთხრობასა და სიმღერას.

„ყვავილი მიმომავალი“ აგებულია უსხეულო სინამდვილის არსებობაზე და ბევრათ უფრო მკრთალია, ვიდრე „განასკვილი სიმი.“ შეიძლება იმიტომ მეჩვენება ასე, რომ ჩემს საკუთარ ბუნებას არ ეგუება დედა აზრი ამ მოთხრობისა.

აქ გამოყვანილა ახალგაზრდა ქალი ნანო, რომელიც „სხვა რამეზედ ჰფიქრობს შორეულზედ, სულ ოცნებობს, ზღაპრულ არეში სცხოვრობს, თითქო ვერესმის, რა ხდება მის გარშემო, ან რას ამბობენ“.

ნანო მართლაც არა ჩვეულებრივია, ამ ქვეყნიური არ არის, მაგრამ საკითხავია; საღია ფიზიკურათ, სხეულით თუ არა? ავტორს ის მიაჩნია სრულებით ჯანსაღ ადამიანათ.

მე კი არ შიმაჩნია. იმის ოცნებას სარჩულათ უღვეს ერთგვარი სნეულება—
კპილესია, ავი ზნე.

ყური დაფუგდოთ თვითონ ნანოს: „მხოლოდ ხანდისხან დამავიწყდება, რასა
ემუშაობ და ხელში შემჩერდება საკეთებელი, შემოგვიანდება;—ხან სხვაგან მივდი-
ვარ, სხვა გზაზედ კი შევუხვევ“.

ასე გეგონებათ, ნერვების სნეულებათა სახელმძღვანელოდან არის ეს სიტყვე-
ბი ამოწერილიო. ეს არის ზედმიწევნით სწორი და ცნობილი ნიშნები ჯერ კიდევ
დაუმთავრებელი ავი ზნისა.

ცხადია, ნერვიული სისტემა ნანოსი სნეულია; ასეთი ნიადაგი და ქალის მჭ-
კათ ნაზი ბუნება ერთათ იძლევიან ავთამყოფ ოცნებას.

ავთამყოფობას მე არ ვხედავ იმაში, რომ ნანოსა სწამს უსხეულო სხეულთა
ზექვეყნიურ არსებობა, —ეს რწმენის საქმეა, მაგრამ ნანოს განა სწამს მარტო?
არა.

— უცნაურ სახეებს ვეალერსები ტურფა წალკოტში. გვიცხადებს ნანო.
ის ჰხედავს მას, რაც სხვებისათვის უხილავია, უსმენს, შეჰხარის, ვალერ-
სება.

ნანოს ეჩვენება, ელანდება და ეს არის ავთამყოფობა, გალუცინაცია.

ავტორს უნდოდა დაემტკიცებია, რომ შიძიმე წარმავალ სინამდვილეს გარდა
არსებობს უხილავი, მარადიული სინამდვილე.

ამის დასამტკიცებლათ მან დაგვიხატა ქალი, რომელიც ჰხედავს ამ მარადი-
ულ სინამდვილეს. ნანოს სახით ავტორს უნდოდა დაემტკიცებია, რომ ზოგიერთ
რჩეულს შეუძლია მარადიული ცხოვრების ცხადათ ხილვა.

ამის მაგიერათ ავტორმა დაამტკიცა, რომ ზექვეყნიურ არსთა ხილვა და მო-
სმენა თვისებაა მხოლოდ ნერვებით დასნეულებული ადამიანისა.

ეს კი მეცნიერებაში დიდხანია, დამტკიცებულია.

ავტორში ერთმანეთს დაეჯახა რწმენა და სამხატვრო ნიჭი. სამხატვრო ნიჭმა
გაიმარჯვა, რაც იმას ამტკიცებს, რომ ვასილ პარნოვი დიდი ბელეტრისტია.

დიდი სამხატვრო ნიჭია აგრეთვე ნიკო ლორთქიფანიძეში. მოხდენილი, და-
კვირვებული და აზრიანი მხატვარია.

მრავალ სიტყვაობა მას არ უყვარს; არც ერთი ზედ მეტი სიტყვა, არც ერ-
თი ზედმეტი ხაზი. შემოქმედება მას ეადვილება; ერთის შემოხაზვით იძლევა და-
მთავრებულ სახეს.

არც ერთი ყალბი მოხაზულობა, არც ერთი ყალბი ადგილი: წმინდა და თავი-
სებური ხელოვნება.

თავისებური, დროის შესაფერი ხასიათი წერისა.

„ყველა ძალი, ყოლა მამალი; სახურავიდან ამოდიოდა კვამლი, და იყო პატარა ოჯახი. ოჯახი იგი ეკუთვნოდა სილიბისტრო ქაშაძეს“.

ან კიდევ:

„ჯამებით ხარშო..

მერიქიფეები.. დოქები.. კათხები..

სუნი და ოხშივარი მოხარშულისა და შემწვარისა;

ჯერ კიდევ ჩუმი სმა;

გამალეული ქამა;

წვენი დასოლებული თითები;

გაქონილი უღვაშები;

მათხოვრების ურიგო სიტყვები, ჩხუბი ულუფაზე და იულონის მკაცრი ბრძანება ფარეშებისადმი:

— თქვენ თითონ დაურიგეთ და ყველა გაყარეთ ეზოდან!...

ნახევრათ ტიტველა ბავშვების სირბილი, მათი ყივილ-ყივილი და საკმლით გამოტენილი ლოყები.

ძაღლების ლაქუცი, კუდის ქნევა, საკმლის მოტაცება და გალახულების წავწყავი...“

საუცხოვო სურათია, რომლისთვისაც სხვას დასჭირდებოდა რამოდენიმე გვერდი.

ლორთქიფანიძის „ყამთა სიავე“-ს ქვეშარტი ხელოვანის ბექელი აზის და ფეოდალური წარსული ყველა მისი ღირსება—ნაკლით. მეტათ მკაფიოთ და ლამაზათ არის მარმარილოდან გამოკვეთილი.

ჟურნალ გაზეთებში დაიბეჭდა რამოდენიმე მოთხრობა რემონიძისა. იმის ნიქს უფრო აღწერა ეხერხება, ამიტომ ის სინამდვილის მხატვარია და მასალას თავისი შემოქმედებისათვის იღებს ცხოვრებიდან.

ბელეტრისტის მოთხრობებს დამუშავება და ბუნებრივი განვითარება აკლია. ავტორი მასალას ხშირათ შესაფერისათ იღებს ცხოვრებიდან, მაგრამ შემთხვევათა მსვლელობასა და განვითარებას არ აძლევს თავისუფალ გზას, თითონ ჩაერევა ხოლმე შიგ.

სულიერ განცდათა გადაშლა, ფსიხოლოგიური ანალიზი ავტორს არ ეხერხება, მისი რკალია—ამბავი, მოთხრობა, დასურათება ნახულისა და გაგონილისა.

აი ამ გზას უნდა დაადგეს რემონიძე

შქედლიშვილი პოეტი არის, ბელეტრისტიც. მისი ლექსი მოხდენილია, შინაარსიანიც, მაგრამ თავისებურობა, პოეტის „მე“ გასულ წელს არა სჩანდა

იმის პოეზიაში. სამაგიეროთ ეს თავისებურობა სჩანდა მკედლიშვილის „მეოცნებე გოგონა“ ამ მოთხრობაში თქვენ ნახავთ ისეთს ხასიათს წერისას, ისეთ სტილს, სიტბოს, სიყვარულს, სევდას და ოცნებას ერთათ შეხავებულს, რაც მკედლიშვილის შემოქმედებას ახასიათებს.

აღივ-ალავ მკედლიშვილსა აქვს კნუტჰამსუნის თვისება წერისა, ბელეტრისტი მკედლიშვილი ნიქიერი მწერალია, ოცნება და სინამდვილე საუცხოვოთ არის შედუღებული იმის შემოქმედებაში და თუ თავისი ნიქის ეს თვისება მწერალმა საკმაოთ დაათასა და განაფითარა, კარგ ნაყოფს გამოიღებს.

ლეო ქიაჩელი ესკალად-ი ლამაზი ნაპერწყალია ცხოველი ნიქისა.

პუბლიცისტისა და ბელეტრისტის მიზანი ხშირათ ერთი და იგივეა. ისინი ერთსა და იმავე საკითხს, მოვლენას აშუქებენ, ხოლო სხვა და სხვა საშუალებით: პუბლიცისტი მსჯელობის ლოდიკით, ბელეტრისტი—მხატვრული სახეებით.

თუ ბელეტრისტი მხატვრულ სახეებსა და მსჯელობას ერთმანეთში ურევს, ასეთი მწერალი სუსტი ხელოვანია: როცა მხატვრული საღებავი შემოაკლდება, ენას წააგძელებს.

ლეო ქიაჩელი საუცხოვოთ იცილებს ამ ნაკლს თავიდან. ის ბევრჯერ პუბლიცისტია, მაგრამ მხატვრული ფერებით მდიდარია და მშრალი მსჯელობის მოშველება არ სკირია.

კაცობრიობის ბრძოლა იდეალისათვის—აი დედა აზრი ლეო ქიაჩელის ესკალად-ისა.

ამ დედა აზრზე მან ააშენა ლამაზი, კეკლუცი მოთხრობა.

რა კარგი იქნებოდა, რომ ლეო ქიაჩელი ასეთი ძუნწი არ იყოს!

პუბლიცისტი და მხატვარი ერთი მეორეს ეჯიბრებიან მალაქიაშვილში.

ასეთია მისი „ბედნიერი კაცი“.

ეს მოთხრობა საყურადღებოა იმ მხრით, რომ აქ ინტელიგენტი და გლეხია დაპირისპირებული.

ერთის მხრით რყევა, ყოყმანი,—მეორეს მხრით სიმტკიცე.

ერთის მხრით იქვები, უიმედობა,—მეორეს მხრით რწმენა და იმედი.

ერთის მხრით დაუსრულებელი მსჯელობა,—მეორეს მხრით საქმიანობა. ერთის მხრით გაუბედობა,—მეორეს მხრით თქმა და ასრულება ერთათ. ერთის მხრით სულიერი გაორება,—მეორეს მხრით სრული მთლიანობა. აი დაახლოებით გამო და პაპუნა.

გაბოში ჰამლეტის ქია ზის და იმის სულსა ღრღნის; პაპუნაში კი დონკიხოტის კეთილშობილი რწმენაა და, რა უბედურებაც უნდა დატრიალდეს იმის თავზე, შაინც სწამს და უყვარს ცხოვრება.

პაპუნა საყურადღებო ტიპია, რომელსაც იძლევა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, პაპუნასთანა, კაცები დიდ როლს თამაშობენ ჩვენს ცხოვრებაში. ავტორი სრულებით მართალია, პაპუნები მუდამ წინ იხედებიან, გაბედულათ მიდიან და მათ იხსნეს დღემდე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა.

ერთშია ავტორი შემცდარი:

პაპუნას მსჯელობა მეტიმეტათ ინტელიგენტურია, რაც მხატვრული სახის მთლიანობას არღვევს.

განსაკუთრებული ალაგი უჭირავთ სიტყვაკაზმულს მწერლობაში თურდოსპირელსა და არჩილ რუხაძეს.

წერის ხასიათითა და შემოქმედების თვისებით ამ არ მწერალს ბევრი რამა აქვთ ერთმანეთთან საერთო.

თურდოსპირელი ბუნებისა და ცხოვრების შგონანია, ზოგჯერ კი სევდით დანისლული.

მასში გრძობა ლაპარაკობს და შთაბეჭდილებანი ფიქრთა ნაკადულათ გადმოსჩქევს.

შისი „ამირანის ცეცხლი“ გამთბარია ადამიანისა და მამულისადმი წმინდა, საღი სიყვარულით. ნაკლათ უნდა ჩაითვალოს, რომ შიგ მსჯელობას დიდი ადგილი უჭირავს.

არჩილ რუხაძე პირადრ შთაბეჭდილების მხატვარია. ის უფრო პოეტია, ვიდრე ბელეტრისტი და მის პატარა მოთხრობებში ნაზი, ტკბილი ლირიკაა საამო, სანეტარო ოცნებით შეზავებული, ხან კი წყნარ სევდაში გახვეული. ფიქრის ნაპერწკლები და გულის ამონაკენესი—თი არჩილ რუხაძე. ის არ არის პირდაპირი მხატვარი ბუნებისა ან ცხოვრებისა.

ის არის მხატვარი მხოლოდ იმ შთაბეჭდილებისა, რასაც მის არსებაში იწვევს ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა.

სტილი არჩილ რუხაძეს თავისებური აქვს და ხასიათი შისი წერისა დღევანდელი ცხოვრების სწრაფ მიმდინარეობაზეა ზედ გამოჭრილი.

დიდი რომანების დრო წავიდა. თანამედროვე ადამიანს აღარ სცალია მათ წასაკითხავათ. ის ითხოვს დროის დიდ ეკონომიას ყოველი მწერლისაგან: წერის სისხარტე, აზრისა და გრძობის სისრულე.

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ ორი მოზრდილი მოთხრობა ტ. ართმელაძისა: მარკოზა და შუამავალი ალათი.

პირველში დასურათებულია ის საშინელი ქსელი მექრთამეობისა, რომელშიაც უბმებოდა ყოველი ჯარში გასაწვევი ახალგაზდა.

სოფელი მექრთამეების ხელშია. სხვა და სხვა მუქთახორა წურბელასავით ჩაფრენია ხალხის სხეულს და სისხლსა სწოვს. ბოროტება დღესასწაულობს და საშველი არსად არის.

სოფლისავე შვილი მარკოზა აიმაღლებს ხმას და ებრძვის ხალხის მტრებს, მაგრამ მტერი ჯერ ძლიერია და მარკოზა დამარცხდება.

ხალხი თანდათან ერკვევა და არჩევს, ვინაა მოყვარე, მაგრამ ჯერ არ შესწევს საკმაო ერთსულოვანება და გამბედაობა ბოროტების დასამხოვბათ.

შუამავალი ალათი ჩვეულებრივი ამბავია ჩვეულებრივი ცხოვრებისა.

დამახასიათებელი, განსაკუთრებული რაიმე მხრით აქ არაფერია.

ალათი ცხოვრობს შუამავლობით.

მისი ერთათ-ერთი ქალი დედის უნებურათ გაჰყვება ალათის ნამოჯამაგირალს. შერიგდებიან. ოჯახი ბედნიერია, მაგრამ ალათის სიძე ჯარში გაჰყავთ და იქ ბრძოლის ველზე დაეცემა განგმირული. ამის გამო მთელი ოჯახი დაილუპება: ზოგი კვდება, ზოგი შეიშლება.

ორივე მოთხრობა უფრო მასალას წარმოადგენს, ვიდრე დამუშავებულ ნაწარმოებს. მოქმედი პირი აუარებელია; მოქმედების განვითარება ხშირათ ნაქალაქევი; მწუხარების გამო იმავე წამს უეცარი გაგიჟება მხატვრული საშუალება არ არის. ყოველივე ეს ნაკლია და მოთხრობებს სამხატვრო ღირსებას უკარგავს.

ბელეტრისტს დაკვირვების ნიჭი აქვს და ამ ნაკლის აცილებას შემდეგში შესძლებს.

რევოლიუცია ყველგან იძლევა დიდძალ მასალას ყოველგვარი შემოქმედებისათვის.

ასეა ჩვენშიაც. მაგრამ ჯერ ისევ რევოლიუციის მიმდინარეობაში ვიმყოფებით და მოვლენათა დასაფასებლათა და გასარკვევათ ცოტა მოშორებით დგომავსაჭირო.

ასეთ პირობებშია უფრო განვლილი 1-9-ის რევოლიუცია, რომლის მასალის დამუშავებას უკვე შეუდგენ ჩვენი ბელეტრისტები.

გამოვიდა ორი დიდი მოთხრობა: ქუთისპირელისა — „ტყის ძმები“ და ზოტიკისი „ახალი ტალღები.“

ორივეს შინაარსი — პირველი რევოლიუციაა.

ბელეტრისტებს უნდათ, მოთხრობის სახით დაგვიხატონ მხატვრულათ ის, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ალაგი. ამგვარათ შინაარსია ისტორიული სინამდვილე, ფორმა კი ბელეტრისტული.

ეს არის ისტორია ბელეტრისტულ კალაპოტში გამოყვანილი.

შეიძლება თუ არა მოთხრობის ან რომანის ჩარჩოებში ისტორიის მოთავსება?

შეუძლებელი აქ არაფერია, — ნიკის საქმეა.

რომელიმე ისტორიული მოვლენა თუ შეიძლება გახდეს პოეზიის საგნათ, რატომ არ შეიძლება, ბელეტრისტმა მიმართოს ისტორიას თავისი შემოქმედებისათვის. ხოლო ამ შემოქმედებასა აქვს ერთგვარი საზღვარი: ისტორიული სინამდვილე უნდა იყოს დასული.

როდესაც მხატვარი იღებს ისტორიიდან ერთ რომელიმე შემთხვევას მხოლოდ სახელოვნო მიზნით, ეს სულ სხვა საქმეა: მას შეუძლია ეს შემთხვევა ისე გარდაქმნას ოცნების გრდემლზე, როგორც ენებება.

სულ სხვაა, როდესაც ბელეტრისტი მთელ ისტორიას მოჰკიდებს ხელს, მით უმეტეს ახლობელ ისტორიას, რომლის მთავარი გმირები დღესაც ცოცხლობენ და მოქმედებს განაგრძობენ.

აქ ბელეტრისტი ვერ მისცემს დიდ თავისუფლებას ოცნების გრდემლს, რადგანაც თავი და თავი მაინც ისტორიაა, მისი გარდაქმნა და დამახინჯება ერთი და იგივეა.

ჟუჟისპირელის მიზანია გურიის რევოლუციის დასურათება. ავტორსა აქვს ბელეტრისტის ნიკი, შემოქმედება, ფანტაზია და სწორეთ ამ ფანტაზიას აძლევს მეტათ დიდ თავისუფლებას,

ამის გამო მისი ისტორია გურიის მოძრაობისა სინამდვილეს არ შეეფერება, წვრილმანებს მე არ ვედავები. ბელეტრისტი მისი ბელეტრისტია, რომ წვრილმანები გადააკეთოს, გამოაკლოს, მიუმატოს მხატვრობისათვის, მაგრამ უმთავრესი, დამახასიათებელი მხარეები ისტორიისა უნდა მკათიოთ, უცვლელათ წარმოუდგინოს მკითხველს.

ეს ნაკლი აქვს ჟუჟისპირელის მოთხრობას.

ზოტიკეს მიზანია 90წ წლის მოძრაობის ჩასახვა და განვითარება. ისტორიიდან ის იღებს მხოლოდ შინაარსსა და ხალხს, გმირებს კი არა.

მის მოთხრობაში თქვენ ვერ ნახავთ ისტორიულ გმირებს; არც შეადგენდა ეს ავტორის მიზანს. მას უნდოდა ხალხური მოძრაობის დახატვა რომანის სახით და ამ მიზანს აღწევს.

განვლილი მოძრაობის დაახლოებით სწორი სურათია ახალი ტალღები. ამ თხზულების შესახებ ორი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა: ერთი ბევრ ღირსებას ჰხედავს შიგ, მეორე კი სრულებით უარჰყოფს, მიწასთან ასწორებს. ბ. ჰაპაფას კრიტიკა ამ ნაწარმოებისა მეტათ უსაფუძვლოა და სტოვებს შთაბეჭდილებას იმ მოსამართლისას, რომელსაც წინდაწინვე გადაწყვეტილი აქვს ბრალდებულის გამტყუნება და დასჯა.

ბელეტრისტს ცალკე თავების სახელებსაც კი უწუნებს.

რა შუაშია აქ სახელი? განა არ შეიძლება, რომ სახელი შეუფერებელი, უხვირო იყოს, შინაარსი კი კარგი? ვისაც საზარელი ჰქვია, გლახა ან საძაგლი-შვილი, ყველა წყალში გადასაყრელი ყოფილა!

აიღეთ შემდეგი: ახალ ტალღებში ერთი ვაჭარი მეორეს ეუბნება, — ესა და ეს ნოქარი უშველებელი კეტით შემომივარდა და თვალებს აბრიალებდა, გეგონებოდა, ჩამყლაპავსო.

ბ. პაპავა დასძენს: ზოტიკეს ცუდი წარმოდგენა ჰქონია მოწინავე მუშებზე და სხვ.

ზოტიკეს კი არა ჰქონია ცუდი წარმოდგენა, ვაჭარსა ჰქონია და ავტორმაც სწორეთ ეს დაასურათა. როგორ შეიძლება ყოველი მომქმედი პირის აზრი და შტხედულება თვით ავტორს მიაწეროთ!

დღეს ჩვენს ცხოვრებაში ბევრია ისეთი, რომელსაც პროლეტარიატს უშველებელი უამი ურჩევნია. ვინც ასეთ პირებს დახატავს, გამოდის, მუშა ხალხს ამცირებს.

ბ. პაპავა ავტორს უკიჟინებს: რა საჭიროა პროგრამა მინიმუმის მოყვანა, როდესაც დღეს ეს ყველა ქუჩის კუთხეშია გაკრულიო.

ვერც ერთი მწერალი, რომელიც კი მოინდომებს 90წ-ის მოძრაობის დახატვას, ამ პროგრამას ვერ აცდება, თასი გაკრულიც იყოს ის დღეს ქუჩებზე.

რატომ ვერ აცდება?

იმიტომ რომ მოძრაობა ამ პროგრამით მიდიოდა და იმ მკითხველმა რომლის წინაშეც 90წ წელს არ გაუვლია, უნდა იცოდეს, როგორი მოთხოვნილებანი იყო მაშინ წამოყენებული.

რა თქმა უნდა, სინამდვილე მასალაა მწერლისათვის და ამ მასალას გარდაქმნა უნდა საკუთარ სულისა და გულში, მაგრამ ეს არ ითქმის ყოველ სინამდვილეზე.

რა მიზანი ჰქონდა ზოტიკეს? რომანის დაწერა?

არა.

მისი მიზანი იყო მოძრაობის დასურათება რომანის სახით. რომანი მისთვის მხოლოდ საშუალებაა, მეტი არაფერი. ის ვალდებული იყო, მოძრაობის სინამდვილე უცვლელათ, პროტოკოლურათ გადმოეცა და ასეც მოიქცა.

ავტორს ტიპები არა ჰყავს. განა ყველგან და ყოველთვის არის ტიპი საჭირო?

მას უნდოდა ხალხური, მუშური მოძრაობის დახატვა და ამ მიზანს მიაღწია, ახალი ტალღები სტოვებენ მთლიან და გარკვეულ შთაბეჭდილებას.

რა თქმა უნდა, აქ არც ღრმა ფსიხოლოგიური ანალიზია, ბევრგან გაქიანურებულია, ალაგალაგ ენასაც უნდა შესწორება, მაგრამ საერთოთ წიგნსა აქვს ბევრი ღირსება.

ენის მხრითაც ნაწარმოები მისაღებია. ამხელა მოთხრობაში რომ თოთო-ოროლა ცუდი გამოთქმა ნახოთ, რა გასაკვირველია! არც ერთი ჩვენგანი არა სწერს უნაკლო ქართულით. არც ვიციტ ჯერ გადაქრით და საბოლოოთ, რომელია სწორი, უნაკლო ქართული.

ჩვენი ქვეყნის მომავალი მუშა ხალხის შეგნებასა და გათვითცნობიერებაზეა დამყარებული. მუშა ხალხს უნდა მივაწოდოთ ყოველი დარგიდან საკითხავი წიგნი, რომ მას სულიერი მოთხოვნილება გაეზარდოს და დაეწაფოს ცოდნას, ხელოვნებას.

ახალი ტალღები სწორეთ სახალხო წიგნია, წერაკითხვის მცოდნე მუშებრისათვის საჭირო და სასარგებლო.

წერაკითხვის საზოგადოება მაღლობის ღირსია, რომ ასეთ წიგნებს აწვდის ხალხს.

გასულ წელს ამ საზოგადოებამ მეტათ დიდი საქმე გააკეთა, სიტყვაჯამული მწერლობა გაამდიდრა; გამოსცა ვეფხვის ტყაოსანი, არაგვისპირელი, გიორგი წერეთელი, ნინოშვილი, ლალიონი, კლდიაშებლი, ბარნოვი, მელანი და სხვ.

ერთი წლის განმავლობაში ასეთი ნაყოფიერი მუშაობა და გამდიდრება ჩვენი სალიტერატურო ბაზრისა პირველია ჩვენს ცხოვრებაში

გასულ წელს ჩვენი თეატრის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ოპერასა და დრამას რესპუბლიკის მთავრობა დაეპატრონა.

ამ რიგათ ჩვენი დრამის ბედი მტკიცე ნიადაგს დაეყრდნო, ახლა მუშაობაა საჭირო სათეატრო ხელოვნების ასაყვავებლათ.

დაიბეჭდა ერთაწმინდლის დრამა სადარაჯოზე, ტრიფონ რამიშვილის სტუმარ-მასპინძლობა და ფრთამოტეხილი ყორანი, გერგესელის გზაჯვარედინზე, იოსებ იმედაშვილისა და შალვა გომართელის პატარა პიესები,

ერთაწმინდელი უფრო ნიჭიერია პოეზიაში. გასულ წელს გამოვიდა მისი ლექსთა კრებული, რომლის გამო თავის დროზე გამოვთქვი კიდევ ჩემი აზრი. პოეზიაში მასა აქვს საკმაო გრძნობა, გატაცება, ცეცხლი. იმის პოეტურ ტემპერამენტს სამწუხაროთ მისი შემოქმედება ვერა სწვდება.

პოეტს უყვარს ჯამბაზობა რითმებში და ეს კი მეტათ სახიფათოა. შოთაც კი დიდის სიფრთხილითა და დაკვირვებით მიმართავს ხოლმე ამ საშუალებას.

ასეთი თვისება წერისა უფრო ხშირათ სილამაზის მაგიერ იძლევა. უაზრო რახარუხს სიტყვებისას და ყალბ ეფექტს.

ეს ნაკლი აქვს ერთაწმინდელს პოეზიაში, იგივეა იმის დრამაში. „სადარაჯოზე“ სავსეა ასეთი ყალბი ადგილებით და ამის გამო სუსტია.

ერთი ღირსება აქვს ავტორს: დიდი ენერჯიის პატრონია და იმის დრამაშიაც მოქმედება საკმაოთ არის განვითარებული.

გერგესელი ჯერ ახალგაზრდა მწერალია, იმის პიესაში არის კვანძი, დასაწყისი მოქმედებისა, სულიერი დრამისა, მაგრამ ზრდა, განვითარება კი არ არის. აქ ლაპარაკი უფრო მეტია, ვიდრე მოქმედება. სულიერი მოძრაობა და მისი გარეგანი სახე—მოქმედება დრამაში თანდათან უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს ისე, რომ ბოლო სრულებით ბუნებრივი და აუცილებელი იყოს.

იოსებ იმედაშვილისა და შალვა გომართელის პიესებში არის ცხოვრება, დაკვირვება, მაგრამ არ არის შემოქმედება.

ტრიფონ რამიშვილი ნიჭიერი დრამატურგია. იმის პიესებს ყოველთვის აქვს კვანძი და ავტორს ეხერხება სულიერი მოძრაობისა და მოქმედების განვითარება.

სტუმარ-მასპინძლობა კოცხლათ არის დაწერილი და დასცინის ჩვენებურ ჩვეულებას ახირებული და დაუსრულებელი უვადო სტუმრობისას.

ჩვენი მოქალაქე თავის ოჯახშიაც არ არის თავისუფალი და ბებია მისი ნათლულის მამიდაშვილსაც არ ეხამუშება მისი შეწუხება გაუთავებელი წვეულობით.

აი ეს დედა აზრია გატარებული სტუმარ „მასპინძლობა“-ში.

„ეს ყველაფერს გავუძლებდი, ამ ოხერ სტუმრებს რომ არ ამოვეკმე“ ჩივის ერთი გმირი კომედიისა.

ტიპები ცხოვრების სინამდვილეს შეეფერებიან გარდა არიმანისა, რომლის პიროვნება საიდუმლოებით არის მოცული.

შინაარსი უფრო სავოდევილოა.

სარეგოლიუციო ხანა არის ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ძველი შეხედულება და მისი წარმომადგენლები ერთბაშათ არ ისპობიან და დიდხანს ებრძვიან ახალს.

ეს ბრძოლა ხშირათ საშინელ სახეს ღებულობს.

ესაა შინაარსი ფრთამოტეხილი ყორნისა.

იასე ბროგიშვილი წარმომადგენელია ძველი ცხოვრებისა, ხალხის თავისუფლება ჭირივით ეჯავრება, ძველის დაბრუნებაზე ოცნებობს და ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს ახალი ცხოვრებისა და მისი აღმაშენებლის დასამხობათ.

ჯამლეთ ინგერაძე კი შეგნებული მუშაა, რომელიც თავგამოდებული იბრძვის სოფლის ასაყვავებლათ. იასე ბროგიშვილი დაუგებს მას მახეს და დაჰლუპავს.

პიესა შინაარსიანია და შთაბეჭდილებას ახდენს.

ტრიფონ რამიშვილს უყვარს ბევრი მომკმედი პირი, რაც თანამედროვე პიესაში არ არის სასურველი.

მაგრამ მისი მთავარი ნაკლი ის არის, რომ საზოგადოება გაყოფილი ჰყავს ორ ნაწილათ: ერთია თავიდან ფეხებამდე ბოროტებით აღსავსე, მეორე—უღრესათ კეთილი და პატიოსანი.

ეს მეტის-მეტი გამარტოვებაა ცხოვრებისა და სინამდვილეს არ შეეფერება.

სიტყვაკაზმულ მწერლობას და საერთოთ ხელოვნებას დაეტყო გამოცოცხლება და ახალი ცხოვრება უსათუოთ დააჩენს მას თავის ბეჭედს ახლო მომავალში.



სარედაქციო კოლეგია:

ივ. გამართელი
ს. აბაშელი
ვარ. რუხაძე
არ. რუხაძე
ობოლი მუშა